

გახსენით ლინკი და მოიწონეთ გვერდი

<https://www.facebook.com/eExistentialCrisisA1/>

ორასიო კიროგა

ორასიო კიროგა-----	1
ანაკონდა-----	3
ცალრქა ეშმაკი-----	30
სკაროსები და იაგუარები-----	34
თვითმკვლელი ხომალდები-----	42
წიანგების ომი-----	45
ამოება-----	52
ველური თაფლი-----	57
სამი ბარათი-----	61
მელოტი თუთიყუში-----	65
შიშის ძალა-----	69
ალიყური-----	73
ნადირობა მორებზე-----	79
პატარა ენოტის ზღაპარი-----	83
გიგანტური კუ-----	89
თანასწორობის შესახებ-----	94

ანაკონდა

სალამოს ათი საათი იყო; სულის შემხუთავად ცხელოდა. ქარი ჩაცხრა და ნახშირივით შავი, საავდრო ცა მძიმედ ჩამოწვა სელვის¹¹ თავზე. დროდადრო ჰორიზონტზე ელვა გაკრთებოდა და უკუნეთ წყვდიადს აპობდა; მაგრამ მჭექარე ტროპიკული თავსხმა ჯერ კიდევ შორს იყო.

ლანსეოლადა შხამიანი გველებისთვის დამახასიათებელი ზოზინით, ფრთხილად მიცოცავდა ბილიკზე თეთრი ცხრატყავას ბუჩქებს შორის. ეს იშვიათი სილამაზის მეტრნახევრიანი იარარა¹² გახლდათ, რომელსაც გვერდები ერთმანეთზე მიჯრილი შავი თანაბარი ქერცლებით ჰქონდა დაფარული. წინ მიიწევდა და გზას ენის გაორებული წვერით მიიკვლევდა, რაც, როგორც ცნობილია, გველის შეხების ორგანოა.

ლანსეოლადა სანადიროდ გამოვიდა. ორი ბილიკის გასაყარზე შეჩერდა, აუჩქარებლად დაიგორგლა, ერთხანს იტრიალა, უკეთ რომ მოწყობილიყო, ნელა დაუშვა თავი მოქნილი ტანის ხვეულზე და მოლოდინში გაირინდა.

წუთი წუთს მიჰყვა და ხუთი საათიც გავიდა, ლანსეოლადა თავს არაფრით ამჟღავნებდა. ამაღამ არ გაუმართლა! თენდებოდა და ის უკვე ხელცარიელი აპირებდა წასვლას, მაგრამ უეცრად

გადაიფიქრა. სწორედ მის წინ, ალიონის მკრთალ ცაზე ვეებერთელა უძრავი ჩრდილი გამოიკვეთა.

– სახლთან უნდა მივცოცდე, – დაისისინა იარარამ. – აგერ უკვე რამდენიმე დღეა, იქიდან ხმაური ისმის... სიფხიზლე მმართვეს... და ის ფრთხილად გასრიალდა ჩრდილისკენ.

სახლი, რომელმაც ლანსეოლადას ყურადღება მიიპყრო, ძველი ხის ბუნგალო გახლდათ, რომელსაც ჯერ კიდევ ეტყობოდა, რომ ოდესღაც შეეთეთრებინათ. გარშემო რამდენიმე ფარდული ჩანდა. შენობა უხსოვარი დროიდან მიეტოვებინათ და შიგ არავინ ცხოვრობდა. ახლა კი იქიდან უჩვეულო ხმები მოისმოდა: ფეხების ბრაგუნნი,

რკინის ღრჭიალი, ცხენების ჭიხვინი – ყველაფერი ადამიანის ყოფნას მოწმობდა. ვერ იყო კარგი საქმე...

მაგრამ ეჭვები უნდა გადაემოწმებინა, და ეს ლანსეოლადამ გაცილებით ადრე მოახერხა, ვიდრე ელოდა.

გველს გაღებული კარის ჭრიალი მოესმა. კისერი წაიგრძელა და განთიადის ბინდბუნდში

ბილიკით მისკენ მომავალი მაღალი, ჩასხმული ფიგურა გაარჩია. მტკიცე, გაბედული, თავდაჯერებული ნაბიჯების ხმა შორიდანვე მტრის მოახლოებას ამცნობდა.

«ადამიანი!» ლანსეოლადამ მყისვე დაიგორგლა და თავდასხმისთვის მოემზადა.

და აი, ჩრდილი უკვე თავზე წამოადგა. იქვე, სულ ახლოს უზარმაზარი ფეხი დაეშვა, და იარარამ, საკუთარი სიცოცხლის რისკის ფასად ხარბად წამოყო თავი და მაშინვე ისევ დამალა.

ადამიანი შეჩერდა; მოეჩვენა, თითქოს ფეხებზე უხილავი წვეპლადაჰკრეს. ადგილის მოუცვლელად ყურადღებით შეათვალიერა შამბნარი, მაგრამ განთიადის ბინდბუნდში საეჭვო ვერაფერი შენიშნა და მტკიცედ განაგრძო გზა.

და ლანსეოლადამ მიხვდა, რომ ამჯერად სახლში ადამიანთათვის ჩვეული ცხოვრება დაიწყო. მან თავის სოროს მიაშურა იმ რწმენით, რომ მისი ღამეული თავგადასავალი იმ დიდი დრამის მხოლოდ პროლოგი იყო, რომელიც უახლოეს დღეებში აუცილებლად გათამაშდებოდა.

II

მომდევნო დღეს ლანსეოლადამ მალევე გაახსენდა ის საფრთხე, რაც გველთა მოდგმას ადამიანის გამოჩენით დაემუქრა.

უხსოვარი დროიდან ცხოველთა სამეფოსთვის ორი ცნება – ადამიანი და განადგურება – ერთმანეთს შეერწყა. გველებისთვის ამ ორი ცნების განსახიერებად იქცა ფოლადის მაჩეტე, რომელიც დაუნდობლად იკაფავდა გზას უღრან სელვაში, და ცეცხლი, მის კვალდაკვალ რომ შთანთქავს საუკუნოვან შამბნარს და მასთან ერთად შიგ მიმალულ გველთა ბუნაგებს.

სწრაფი და გადამწყვეტი მოქმედება იყო აუცილებელი, მაგრამ დაღამებამდე უნდა მოეცადათ. ლანსეოლადამ ორი მეგობარი მოძებნა, რომლებიც საგანგაშო ამბის გავრცელებაში დაეხმარნენ. შუაღამემდე გველების ყველა საბუდარისა და სოროს მონახულება მოასწრეს და ორი საათისთვის კონგრესი შეიკრიბა, თუმცა კი არასრული შემადგენლობით, მაგრამ მაინც ხმების საკმარისი რაოდენობით შემდგომი მოქმედების საკითხის გადასაწყვეტად.

ხუთმეტრიანი კლდის ძირას, უღრან ტყეში, გვიმრის ბუჩქებს შორის გამოქვაბული მიმალულიყო.

უძველესი დროიდან იგი ტერიფიკას, ღრმად მოხუცებული ჩხრიალა გველის საცხოვრებელს

წარმოადგენდა. ტერიფიკას გრძელ კუდს ბოლოში ოცდათორმეტი ჩხარუნა ამშვენებდა. სიგრძით მეტრ-ნახევარს არ აღემატებოდა, მაგრამ ლუდის ბოთლის სისქის გახლდათ. მშვენიერ შხამიან მტაცებელს მთელი კუნთოვანი სხეულის გასწვრივ ყვითელი რომბები მიუყვებოდა. შეუდრეკელსა და მტკიცეს საათობით შეეძლო მტრისთვის ედარაჯა, რათა შემდეგ უეცრად ჩაესო მისთვის თავისი ბასრი ღრუ კბილები, რომლებიც ზომით თუმცა კი ჩამორჩება სხვა შხამიანი გველების ეშვებს, მაგრამ შინაგანი აგებულების სრულყოფით ბადალი არ მოეძებნება.

სწორედ ამ გამოქვაბულში, გარდუვალი საშიშროების წინაშე და ჩხრიალა გველის თავმჯდომარეობით გაიხსნა გველთა კონგრესის სხდომა. ლანსეოლადას და ტერიფიკას გარდა მას ქვეყნის სხვა გველებიც ესწრებოდნენ: ყველასთვის საყვარელი ციცქნა კოატიარიტა, რომელსაც წაწვეტებული თავი და მთელი ტანის გასწვრივ კაშკაშა წითელი ზოლი ამშვენებდა; ტანადი, თავდაჯერებული ლამაზმანი ზურგზე მოყავისფრო-თეთრი ნაყშითა და ორაგულისფერი გვერდებით, რომელსაც სახელი – ნოივიდი – მისი აღმომჩენი ნატურალისტის მიხედვით ერქვა; კრუსადა, მას სამხრეთში ჯვრიან ასპიტსაც ეძახიან, – ნოივიდის კადნიერი მეტოქე, რადგან მორთულობის სილამაზით არაფრით ჩამორჩება; ატროსიქსი, რომლის მხოლოდ სახელიც კი შიშს მოგვრით; გამოქვაბულის სიღრმეში კი ოქროსურუტუ განაბულა; მისი ირიბი ოქროსფერი ზოლებით დაფარული შავი ხავერდოვანი სხეული ას სამოც სანტიმეტრს აღწევდა.

უნდა ითქვას, რომ გველთა საშინელი საგვარეულოს ლახეზისის თუ იარარას ცალკეული ნაირსახეობები, რომელსაც, ტერიფიკას გამოკლებით, კონგრესის ყველა მონაწილე მიეკუთვნებოდა, ძველთაგანვე ეცილებოდნენ ერთმანეთს თავიანთი მოხატულობის სიმკვეთრესა და სილამაზეში. და მართლაც, ქვეყნად ბევრი არ მოიპოვება ისეთი სულიერი, ასე უხვად რომ იყოს დაჯილდოებული ბუნებისგან.

გველთა კანონების მიხედვით, არც ერთ ნაკლებად გავრცელებულ და მცირერიცხოვან სახეობას არ აქვს კონგრესის სხდომების თავმჯდომარეობის უფლება. ამიტომ ოქროს ურუტუს-მრისხანეს, შხამიან ასპიტს, რომელიც, ამასთან, საკმაოდ იშვიათად გვხვდება, – ამ პოსტის დაკავების არავითარი პრეტენზია არ ჰქონდა და ის ხალისით დაუთმო არანაკლებ ძლიერ ჩხრიალა გველს, რომელიც გველთა საგვარეულოს ფრიად ცნობილ და საკმაოდ ნაყოფიერ შტოს წარმოადგენდა.

ამგვარად, კონგრესის წევრთა უმეტესობა ადგილებზე იყო და ტერიფიკამ სხდომა გახსნილად გამოაცხადა.

– მეგობრებო! – თქვა მან. – ლანსეოლადამ ადამიანის დამღუპველი გამოჩენის შესახებ გვამცნო. ვფიქრობ, რომ გამოვხატავ საერთო სურვილს, თუკი მტრის შემოსევისგან ჩვენი იმპერიის

დაცვის საკითხს წამოვჭრი. ჩვენ მხოლოდ ერთი საშუალება გვრჩება, – აკი გვიჩვენა გამოცდილებამ, რომ ტერიტორიული დათმობები მდგომარეობას არ ცვლის. ეს ერთადერთი საშუალება, რაც თქვენ მშვენივრად მოგეხსენებათ, გახლავთ შეურიგებელი, დაუნდობელი ომი ადამიანის წინააღმდეგ, ომი, რომელიც ამაღამვე უნდა დაიწყოს, რაც თითოეულ ჩვენგანს თავისი ნიჭისა და უნარის გამომჟღავნების საშუალებას მისცემს. შექმნილ ვითარებაში ჩემთვის განსაკუთრებით სასიამოვნოა

მოვახსენო კონგრესს, რომ მე არ ვაღიარებ ადამიანის მიერ ჩემთვის შერქმეულ სახელს: მე არა ვარ ჩხრიალა გველი, მე ისეთივე იარარა ვარ, როგორც ყოველი აქ მყოფი. სასიკვდილო იარარა! ამრიგად, ძვირფასო მეგობრებო, ჩვენ სიკვდილის შავი ალამი უნდა აღვმართოთ! ახლა კი დაე რომელიმე თქვენგანმა სამხედრო მოქმედებათა გეგმა შემოგვთავაზოს.

არავისთვისაა საიდუმლო, ყოველი შემთხვევისთვის, გველთა იმპერიაში, რომ ტერიფიკას კბილების სიგრძე მისი გონებრივი შესაძლებლობების უკუპროპორციულია. მას ეს კარგად მოეხსენება და გამოცდილი დედოფალივით საკმაო ტაქტს იჩენს და სიტყვას არ ძრავს იმ დროს, როდესაც საქმე გეგმის შემუშავებას ეხება.

მაშინ კრუსადა წამოიძარტა ზანტად და სიტყვა ითხოვა: – მეც ტერიფიკას აზრს ვეთანხმები და მიმაჩნია, რომ გარკვეული გეგმის გარეშე არ უნდა ვიმოქმედოთ. ძალზე ვწუხვარ, რომ კონგრესს არ ესწრებიან ჩვენი უშხამო ნათესავები – ანკარები და მახრჩობელები.

ხანგრძლივი სიჩუმე ჩამოწვა. დამსწრეთ აშკარად არ ეჭაშნიკათ ეს შენიშვნა. კრუსადამ ნაძალადევად გაიღიმა და განაგრძო:

– ვწუხვარ, რომ ჩემი სიტყვები არ მოგეწონათ, მაგრამ მე მხოლოდერთ რამეს გაგახსენებთ: ნებისმიერი მახრჩობელა უფრო ძლიერია, ვიდრე ყველა ჩვენგანი, ერთად აღებული. მისი დამარცხება შეუძლებელია. სულ ესაა, რაც მინდოდა მეთქვა.

– თუ საქმე ეხება შხამისადმი მათი წინააღმდეგობის უნარს, – დაისისინა გამოქვაბულის სიღრმიდან ოქროს ურუტუმ, – ნება მიბოძეთ გავფანტო თქვენ ეჭვები...

– შხამი აქ არაფერ შუაშია, – დამცინავად შეიცხადა კრუსადამ. – ის მეც საკმარისად მაქვს... – დაამატა მან და შავ-ოქროსფერ ასპიტს ცერად გახედა. – მე მხედველობაში მაქვს მათი ძალა, მოხერხება და სისწრაფე! ვერავინ უარყოფს მათ ამ შესანიშნავ საბრძოლო თვისებებს. ვიმეორებ, რომ იმ ბრძოლაში, რომლის დაწყებასაც ჩვენ, გველები ვაპირებთ, ანკარებსა და მახრჩობელებს განსაკუთრებული სარგებლობის მოტანა შეუძლიათ; უფრო მეტიც, მათ გარეშე თავს ვერაფერს გავართმევთ.

მაგრამ ამ წინადადებას ჯერ კიდევ არავინ უჭერდა მხარს. – ანკარები რაში გვჭირდება? – შესძახა ატროსმა. – მერედა რა საზიზღრები არიან!

– თევზივით თვალები აქვთ, – დაიმანჭა თავწვეტა.

– როცა ვუყურებ, ზიზღისგან გული მერევა! – კბილებს შორის გამოსცრა ლანსეოლადამ.

– მე მგონი, შენ რაღაც სხვა რამის გამო გერევა გული! – შეეხმინა ჯვრიანი ასპიტი და თვალები ბრაზიანად დააჭყიტა.

– ვის? მე?! – წაისისინა ლანსეოლადამ, რომელსაც გულზე მოხვდა ეს სიტყვები. – გაფრთხილებთ, რომ ამ საპატო შეკრებაზე მაწანწალა ჭიაღუების დაცვით უღირს როლს თამაშობ.

– ეგ მონადირე ანკარებს უთხარი... – ირონიულად ჩაიდუღუნა კრუსადამ. სიტყვა «მონადირის» გაგონებაზე კრება აჩოჩქოლდა:

– სისულელეა! რისი მონადირეები! ჩვეულებრივი ანკარებია და სხვა არაფერი!

– თვითონ ეძახიან თავიანთ თავს მონადირეებს, – ცივად მოჭრა კრუსადამ. – და საერთოდ, გთხოვთ არ დაივიწყოთ, რომ კონგრესზე ბრძანდებით!

აღსანიშნავია, რომ უკიდურესი ჩრდილოეთის ასული ლანსეოლადა და სამხრეთის ბინადარი კრუსადა ძველი დროიდანვე მტრობდნენ ერთმანეთს. ანკარების აზრით, მათი შეუპოვარი ბრძოლის მიზეზი ქალური მეტოქეობა გახლდათ.

– აბა, საკმარისია! – ჩაერთო ტერიფიკა, – რადგან ასეა, კრუსადამ უნდა აგვიხსნას, რაში სჭირდება ანკარების დახმარება ან რა აქვთ მათ საერთო ჩვენთან – სიკვდილის ქვეშევრდომებთან.

– იმისთვის არის საჭირო, – მიუგო წყნარად კრუსადამ, – რათა გავიგოთ, რას აკეთებს იმ სახლში მცხოვრები ხალხი. ამ მიზნით სახლთან რაც შეიძლება ახლოს უნდა მივიდეთ. ეს კი ადვილი როდია. ჩვენი დევიზი თუ სიკვდილია, ადამიანებსაც იგივე დევიზი აქვთ და ჩვენზე უფრო სწრაფიც. ანკარები კი ყოველ ჩვენგანზე ბევრად მოქნილები არიან. კონგრესის ყოველ მონაწილეს შეუძლია იმ სახლისკენ გაემართოს და სცადოს ბედი, მაგრამ უკან დაბრუნდება თუ არა – ეს კიდევ საკითხავია. ამ საქმეში ნიაკანინა შეუდარებელია. ასეთი შეტევა მისთვის ჩვეული ამბავია. ის სახურავზე აცოცდება და იქიდან თავისუფლად დაინახავს და გაიგებს ბევრ საინტერესო რამეს, გათენებამდე კი ყველაფერს შეგვატყობინებს.

წინადადება იმდენად გონივრული ჩანდა, რომ კრება, თუმცა კი რაიმე განსაკუთრებული ენთუზიაზმის გარეშე, მაგრამ მაინც იძულებული გახდა დათანხმებოდა.

– მას ვინ გაჰყვება? – გაისმა შემახილები.

– მე, – განაცხადა ხის ტოტიდან ჩამოცოცებულმა კრუსადამ და გასასვლელს მიაშურა, – ახლავე გავფრინდები!

– რატომაც არა? ერთმანეთს სულში იძვრენთ! აბა, რას იზამ! – მიაძახა ლანსეოლადამ. კრუსადამ პასუხად მხოლოდ თავი მოაბრუნა და ენა გამოუყო.

III

ნიაკანინა კრუსადამ იმ დროს იპოვა, როცა ის ხეზე ადიოდა. – ეი, ნიაკანინა! – შესძახა თავის მეგობარს.

ნიაკანინას მოესმა თავისი სახელი, მაგრამ სიფრთხილის მიზნით მაშინვე არ შეეხმიანა.

– ნიაკანინა! – უფრო ხმამაღლა დაიყვირა კრუსადამ. – ვინ არის მანდ? – ჩამოსძახა ნიაკანინამ.

- მე ვარ, კრუსადა!..
- ჰოო! შენა ხარ, დაიკო? აბა, რა გნებავს, ჩემო კარგო? – ნიაკანინა, ხუმრობისთვის არ მცალია. იცი, რა ხდება იმ სახლში?
- ჰო, ვიცი, ადამიანი დასახლდა... მერე რა? – იცი, რომ კონგრესი მოვიწვიეთ?
- ჰოო, არა, არ გამიგია, – უპასუხა ნიაკანინამ და ხიდან ისე ჩამოსრიალდა, თითქოს სწორ მდელზე გაირბინაო. – რამე სერიოზული ხომ არ მოხდა? რა ამბავია?
- ჯერჯერობით, არაფერია. ყოველი შემთხვევისთვის, კონგრესი მოვიწვიეთ. მოკლედ, გავიგეთ, რომ სახლში ადამიანები დასახლდნენ და იქ დარჩენას სამუდამოდ აპირებენ. ადამიანი კი – სიკვდილია! ჩვენთვის, პირველ რიგში!..
- მე კი მეგონა, რომ სიკვდილს თქვენ ემსახურებოდით! სულ ამას არ გაიძახით?! – დამცინავად შეაწყვეტინა მონადირემ.
- ახლა ამას შევეშვით! ნიაკანინა, შენი დახმარება გვჭირდება. – რისთვის? თქვენს საქმეებში არ ვერევი.
- მაგრამ, შენდა სამწუხაროდ, ძალიან გვგავხარ ჩვენ, ასპიტებს. ნუ დაივიწყებ, რომ ჩვენი ინტერესების დაცვით შენს ინტერესებსაც იცავ.
- გასაგებია! – თქვა ნიაკანინამ და გაიფიქრა, რომ ამ მსგავსების შედეგი შესაძლოა მისთვის საბედისწერო გამხდარიყო.
- ასე რომ, შეიძლება შენი დახმარების იმედი გვქონდეს?
- რა უნდა ვქნა?
- ისეთი არაფერი. იმ სახლში უნდა შეაღწიო და გაიგო, რა ხდება.
- ეგ ადვილია, ძალიან ადვილი! – გულგრილად უპასუხა ნიაკანინამ და ტოტზე თავი მოიქექა, – მაგრამ უბედურება ისაა, რომ ზემოთ, ხეზე, ნაღდი ვახშამი მეკარგება... გუშინ ტყის ინდაურს ხეზე ბუდის გაკეთება მოსვლია აზრად.
- გზაში ისადილებ, – დააიმედა კრუსადამ. ნიაკანინა კიდევ დიდხანს ყოყმანობდა.
- აბა, წავედით! – აჩქარდა იარარა, – ოღონდ ჯერ კონგრესზე შევიაროთ.
- ეგ უკვე ზედმეტია! – გაჯიუტდა ნიაკანინა. – იქ რა მესაქმება! მე გეხმარებით და ეს სავსებით საკმარისია. კონგრესზე აქეთა გზაზე შევივლი, ცოცხალი თუ დავრჩი, მანამდე კი ნუ დამანახვებ ტერიფიკას დანაოჭებულ გოგრას, ლანსეოლადას ვირთხის თვალებს და თუნდაც კორალინას ბრიყვულ სიფათს; ამაზე – ბოდიში მომითხოვია...
- კორალინა არ არის იქ!
- სულ ერთია, არც სხვები არიან ნაკლები!
- კარგი, კარგი, – დაუყვავა კრუსადამ, – მაგრამ ასე ნუ გარბიხარ. ძლივს გეწევი. და მართლაც, ლაღად მქროლავი ნიაკანინას უკან მიჩანჩალებდა.

– ჯობს აქ დარჩე, დანარჩენებთან ერთად, – ურჩია ნიაკანინამ, წინ გაიჭრა და უკან კარგა მანძილით ჩამოიტოვა თავისი ახლობელი.

IV

თხუთმეტი წუთიც არ იყო გასული, რომ მონადირემ სახლს მიაღწია. იქ ჯერ კიდევ ფხიზლობდნენ. გაღებულ კარიდან შუქი იღვრებოდა. ნიაკანინამ შორიდან მოჰკრა თვალი მაგიდასთან მშვიდად მსხდომ ადამიანებს.

ხიფათისთვის თავი რომ აერიდებინა, ძაღლებს უნდა მორიდებოდა. ნეტავ თუ ჰყავთ ძაღლები? ნიაკანინას ეშინოდა მათი. ის ძაღზე ფრთხილად მიცოცდა აივანთან, საფეხურებს აუყვა და იქაურობა ყურადღებით დაათვალიერა: ძაღლები არსად ჩანდნენ, არც მარჯვნივ, არც მარცხნივ, არც წინ. მხოლოდ საპირისპირო ტერასაზე, ადამიანების უკან, გამზლართულიყო შავი ნაგაზი და მშვიდად ეძინა.

– მამ ასე, შეიძლება ვიმოქმედო!

მონადირეს თავისი სამალავიდან ხმები კარგად ესმოდა, მაგრამ ადამიანებს ვერ ხედავდა. ჭერს სწრაფად მოავლო თვალი და უცებ შენიშნა ის, რასაც ეძებდა. ეს იყო ტერასის კედელზე მიყუდებული კიბე. მზვერავი მყისვე ზევით აძვრა და სახურავსა და კედელს შორის კოჭზე მოკალათდა. მართლაც, უზომოდ ფრთხილად მიცოცავდა, მაგრამ აივანზე დაგდებულ ძველ ლურსმანს მაინც გამოედო. ერთ-ერთმა ადამიანმა თავი ასწია.

«დავიღუპე!» – გაიფიქრა ნიაკანინამ და გაინაბა. მეორე ადამიანმაც აიხედა ზემოთ.

– ეს რა იყო? – იკითხამან.

– არაფერი, – უპასუხა პირველმა, – მომეჩვენა, თითქოს იქ რაღაც შავმა ჩრდილმა გაირბინა.

– ვირთხა იქნებოდა.

– შეცდა ადამიანი! – დაისისინა ნიაკანინამ. – ან გველი.

– ეს კი მიხვდა, – ისევ დაისისინა მონადირემ და გადაწყვიტა თავისი სიცოცხლე ძვირად დაესვა ადამიანებისთვის. მაგრამ, საბედნიეროდ, მათ ისევ ჩაქინდრეს თავები და ნიაკანინას მთელი ნახევარი საათი შეეძლო მათი საუბარი მოესმინა. V

სახლში, რომელმაც ძაღზე შეაშფოთა სელვის ბინადარნი, მეტად მნიშვნელოვანი სამეცნიერო დაწესებულება განლაგდა. ფედერალურმა მთავრობამ კარგად იცოდა, რომ ქვეყნის ამ შორეულ კუთხეში უამრავი გველი იყო და გადაწყვიტა აქ სეროთერაპიის¹⁴¹ ინსტიტუტი დაეარსებინა გველის შხამის საწინააღმდეგო შრატის დასამზადებლად. როგორც ცნობილია, შრატის ფართო

წარმოების მთავარი შემაფერხებელი მიზეზი შხამიანი ქვეწარმავლების ნაკლებობაა. სამეცნიერო ინსტიტუტთან არსებობდა ლაბორატორიები, სერპენტარიუმი შხამიანი გველებით და აგრეთვე სამი ცხენი, რომელთა იმუნოზაცია თითქმის დასრულებული იყო, მაგრამ მეცნიერ-თანამშრომლებს ჯერ არ შეეძლოთ მუშაობის დაწყება; საჭირო იყო სერპენტარიუმის შევსება, რადგან იმუნოზაციის საბოლოო სტადიაზე

თითოეული ინიექცია ექვს გრამ შხამს მოითხოვს. აღსანიშნავია, რომ შხამის ასეთი რაოდენობა სასიკვდილო დოზაა ორას ორმოცდაათი არაიმუნიზებული ცხენისთვის.

სელვაში ინსტიტუტის განლაგებაზე მომუშავე მეცნიერი თანამშრომლები გვიან ღამემდე იხდნენ და ლაბორატორიის გეგმებსა და სხვა მნიშვნელოვან საკითხებზე მსჯელობდნენ.

– როგორ არიან დღეს ცხენები? – იკითხა შავსათვალისანმა კაცმა, რომელიც, როგორც ჩანდა, ინსტიტუტის დირექტორი იყო.

– მთლად დასუსტდნენ, – უპასუხა მეორემ. – თუ უახლოეს დღეებშიც უშედეგოდ ვინადირეთ...

ნიაკანინა კოჭს მიეკრო და გაქვავდა, მოსაუბრეთა არც ერთი სიტყვა და მოძრაობა არ გამორჩენია.

– როგორც ჩანს, ჩემი შხამიანი დაიკოები გვარიანად შეშინებულან, – დამშვიდებით წაისისინა მან, – ამ ხალხს არა მგონია რაიმე სერიოზულის თავი ჰქონდეს.

მან კისერი წაიგრძელა, კოჭიდან ცხვირი გამოყო და მოსაუბრენი ყურადღებით დაათვალიერა. ადამიანებს სხვა პრობლემებიც ჰქონდათ.

– დღეს ძალიან დავითარსეთ, ხუთი ამპულა გაგვიტყდა. – განაგრძო ერთ-ერთმა მათგანმა.

ნიაკანინა სულ უფრომეტად თანაუგრძნობდა ადამიანებს. – საწყლები! – ჩაიბუტბუტა მან. – ხუთი ამპულის გატეხვა!..

ის უკვე სამალავის დატოვებას და ამ უწყინარი სახლის გამოკვლევას აპირებდა, მაგრამ უცებ ეს სიტყვები მოესმა:

– სამაგიეროდ აქ გველები გრძნობენ თავს ჩინებულად... როგორც ჩანს, აქაური პირობები ძალიან უხდებათ.

– რაო? – მონადირემ ორკაპა ენის წვერი გაასავსავა და კინალამ ძირს დაენარცხა. – რას ყბედობს ეს თეთრხალათა ქაჩალი?

ადამიანი კი განაგრძობდა:

– მათთვის უკეთეს ადგილს ვერ ინატრებ... ჩვენ და ცხენებს კი ახლა ისინი ძალიან გვჭირდება.

– ჩვენდა საბედნიეროდ აქ ნამდვილი გველების ქვეყანაა. უთუოდ, ბევრ გველს დავიჭერთ.

– ჰმ... ჰმ... ჰმ... – ჩაიხითხითა ნიაკანინამ და შეუმჩნევლად კოჭზე დაეხვია, – საქმე სხვაგვარადაა... ამ შესანიშნავ საზოგადოებაში ცოტა დიდხანს უნდა ვიყო, ბევრ საინტერესო ამბავს გავიგებ.

მართლაც, იმდენი საინტერესო რამ გაიგო, რომ ნახევარი საათის შემდეგ, თავშესაფრის დატოვებისას, სიფრთხილე სულ გადაავიწყდა და ერთი მოუქნელი მოძრაობით გასცა თავი: ძირს ჩამოვარდა და ფიცრულ ტიხარს დაენარცხა, მაგრამ მაშინვე მუქარით წაიგრძელა თავი, ხახა დაალო და ენა გადმოაგდო.

ნიაკანინა ხანდახან სიგრძით სამ მეტრს აღწევს და ძალზე გულადია. ამერიკულ გველებს შორის ის სამართლიანად ითვლება ყველაზე შეუპოვრად. მართალია, ადამიანი ყველაზე ძლიერია, მაგრამ არც მასთან შერკინებას გაურბის. საკუთარ თავში იმდენადაა დაჯერებული, რომ ჰგონია, ჩემი ყველას ეშინიაო, მაგრამ ახლა მის დანახვაზე ყველამ გულიანად გადაიხარხარა და ამიტომ ჩვენმა ჯამშუმმა შეურაცხყოფილად იგრძნო თავი.

- ეს ნიაკანინაა... ძალიან კარგი; სახლში ვირთხებს გაანადგურებს.
- ვირთხებს? ვერ მოგართვით... – გამომწვევად ჩაისისინა ქვეწარმავალმა და ადგილიდან არ დაძრულა. მაშინ ერთმა ადამიანმა ველარ მოითმინა და წამოდგა.
- სასარგებლო კია, მაგრამ მაინც გველია... ერთიც ვნახოთ და ღამით ლოგინში შემოგვიძვრეს...

მან ჯოხს სტაცა ხელი და ნიაკანინას მთელი ძალით სტყორცნა. ჯოხმა დაუპატიჟებელი სტუმრის თავზე გაიზუზუნა და კედელს მიეხეთქა. ნიაკანინა მხდალი არიყო, მაგრამ ტყისგან შორს, ოთხი ადამიანის პირისპირ დარჩენილს ნირი ეცვალა და სწრაფად მოკურცხლა. სისწრაფე ხომ, სიმამაცესთან ერთად, მათი ძირითადი ღირსებაა.

ნაგაზი უკან მიჰყვა და ყეფით დაედევნა, რაც ადამიანთა განზრახვას ააშკარავებდა. ლტოლვილმა, გასავათებულმა ნიაკანინამ მღვიმემდე ძლივს მიაღწია, შემდეგ ლანსეოლადსა და ატროსს გადააცოცდა და სულის მოსათქმელად დაეხვია.

VI

- როგორც იქნა! – შესძახეს ერთხმად და ქანცგაწყვეტილ მზვერავს შემოეხვივნენ. – ჩვენ კი ვიფიქრეთ, ძველი მეგობრობის ხატრით ადამიანებთან ხომ არ დარჩაო.
- ჰმ... – ჩაიბუზღუნა ნიაკანინამ.
- აბა, რა ამბებია? – იკითხა ტერიფიკამ.
- ადამიანების თავდასხმას ველოდოთ, თუ, უბრალოდ, მოვერიდოთ მათთან შეჯახებას?
- კაცმა რომ თქვას, ეგ ყველას აჯობებდა... აუცილებლად მდინარის მეორე ნაპირზე უნდა გადავსახლდეთ, – უპასუხა ნიაკანინამ.
- რაო?.. როგორ?.. – აღმოხდა ყველას. – ხომ არ გაგიჟდი?
- ჯერ ყური დამიგდეთ. – ჰო, თქვი!

და ნიაკანინა ყველაფერს მოჰყვა, რაც ნახა და გაიგონა სეროთერაპიის ინსტიტუტის შექმნის, მისი მიზნებისა და გეგმების თაობაზე. ისიც დაამატა, რომ ადამიანები ამ მხარეში ყველა შხამიანი გველის დაჭერას აპირებენ.

– ჩვენი დაჭერა სურთ?! იქნებ შეგეშალა და დახოცვას გვიპირებენ! – ვეღარ მოითმინეს უაღრესად გულნატკენმა ლანსეოლადამ, კრუსადამ და ოქროსფერმა ურუტუმ.

– არა, მხოლოდ დაჭერა უნდათ! დაგამწყვდევენ, კარგად გაჭმევენ და ყოველ ოც დღეში შხამს ამოგაცლიან. ცხოვრება კი არა, ზღაპარია!

გველები გოაცებისგან გაშტერდნენ. ნიაკანინამ დაწვრილებით განმარტა, რისთვის ამზადებენ

შხამს, მაგრამ ვეღარ მოასწრო ეთქვა იმ საშუალებათა შესახებ, რომელთა მეოხებითაც შრატს მოიპოვებენ.

გველის შხამის საწინააღმდეგო შრატი! სხვა სიტყვებით, უებარი წამალი, ადამიანთა და ცხოველთა სრული შეუვალობა შხამის ზემოქმედებისადმი; გველებისთვის კი – შიმშილისგან გარდაუვალი დაღუპვა მშობლიურ, აყვავებულ სელვაში! – სწორედ ასეა, – მშვიდად დაადასტურა ნიაკანინამ, – ამაზეა ლაპარაკი.

მას არ აშინებდა მომავალი. რაში ედარდება, თუ ტყის ცხოველებს შხამი ვეღარაფერს დააკლებს? მისთვის ტომთ ხომ მხოლოდ თავიანთი კბილებისა და კუნთების იმედი აქვთ. მათ ოჯახს მხოლოდ ერთი საფრთხე ემუქრება – შხამიან გველებთან დიდი მსგავსება. ვაითუ ეს მსგავსება საბედისწერო გახდეს მათთვის. აი, რატომ იყო ნიაკანინა ასე ძლიერ დაინტერესებული ინსტიტუტის განადგურებით.

– საბრძოლო მოქმედებების დაწყებას ჩემს თავზე ვიღებ, – განაცხადა კრუსადამ.

– საომარი კამპანიის გეგმა თუ გაქვს? – ჰკითხა ტერიფიკამ, რომელსაც საკუთარი აზრი არასოდეს ჰქონია.

– არავითარი. ხვალ საღამოს უბრალოდ ვეცდები ადამიანს დავუდარაჯდე.

– ფრთხილად იყავი! – მრავალმნიშვნელოვნად მიუგო ნიაკანინამ. – ადამიანებს ჯერ კიდევ ბევრი ცარიელი გალია აქვთ ჩვენთვის... ჰო! დამავიწყდა მეთქვა, – მიმართა კრუსადას. – რამდენიმე წუთის წინ სახლთან შავ ბანჯგვლიან ძაღლს შევეჩხე... როგორც ეტყობოდა, გველებზე სანადიროდაა დაგეშილი... ფრთხილად იყავი!

– რა გაეწყობა, ვნახოთ! ერთი სათხოვარი მაქვს – ხვალ საღამოს კონგრესი სრული შემადგენლობით მოიწვიეთ. მე თუ ვეღარ დავესწრები, მით უარესი... ამასობაში შეკრებილები გოაცებას ვერ მალავდნენ.

– გველზე სანადიროდ გაწვრთნილი ძაღლი! შენ თუ გჯერა?..

– შეიძლება. ფხიზლად უნდა ვიყოთ. მას უფრო მეტი ზიანის მოტანა შეუძლია, ვიდრე ყველა ადამიანს, ერთად აღებულს!

– მაგას ჩემს თავზე ვიღებ! – შესძახა ტერიფიკამ. იგი ძალზე კმაყოფილი იყო იმით, რომ განსაკუთრებული გონებრივი დამაბულობის გარეშე შეეძლო აემოქმედებინა მომაკვდინებელი ჯირკვლები, საიდანაც შხამი ოდნავი გალიზიანების შედეგად კბილებისკენ მისწრაფოდა.

გველებს მოთმინება აღარ ჰყოფნიდათ, ერთი სული ჰქონდათ, რაც შეიძლება სწრაფად გაეგრცვლებინათ ახალი ამბავი მთელ თავიანთ სამფლობელოში. ნიაკანინამ, როგორც ვირტუოზმა ხეზე მცოცავმა, განსაკუთრებული დავალება მიიღო – განგაშის დროს ხეებზე მცხოვრები გველები დაერაზმა.

დილის სამ საათზე სხდომა დასრულდა. გველები თავიანთ ჩვეულ ცხოვრებას დაუბრუნდნენ. თითქოს ერთმანეთს არ იცნობნენ, პირქუში დუმილით გასწიეს სხვადასხვა მიმართულებით. გამოქვაბულის სიღრმეში კი ჩხრიალა გველი თვლემდა, რგოლებად დახვეულიყო და მისი შუშისებური, უსიცოცხლო მზერისგან გაქვავებული შავი ძაღლების მთელი ხროვა ეზმანებოდა.

VII

დღის პირველი საათი იყო. კრუსადა სახლისკენ მიცოცავდა, ცხრატყავას ბარდებს ეფარებოდა

და ისე მისრიალებდა გავარვარებულ მიწაზე. ერთი სურვილი ამოდრავებდა – მოეკლა პირველივე შემხვედრი ადამიანი. სხვა არაფერზე ფიქრობდა. როდესაც აივანს მიაღწია, დაეხვია და მოლოდინით გაიტრუნა. ასე იყო ნახევარი საათი. პაპანაქება სიცხისგან, რაც უკვე მესამე დღეა გრძელდებოდა, რული ერეოდა. უეცრად ოთახის მხრიდან ვიღაცის დინჯი ნაბიჯების ხმა გაისმა. გაღებული კარიდან, იარარასგან სულ რამდენიმე სანტიმეტრის დაშორებით, ნამძინარევი შავი ბანჯგვლიანი ძაღლის ამღვრეული თვალები გამოჩნდა.

– წყეული! – ჩაიბუზღუნა კრუსადამ, – ნეტავ ადამიანი ყოფილიყო.

ამ მომენტში ძაღლი შეჩერდა, თავი მოაბრუნა და ჰაერი დაყნოსა... მაგრამ უკვე გვიანი იყო! შესაბრალისი წკმუტუნით დააბზრიალა ნაკბენი დრუნჩი.

– ეს ერთი, – დაისისინა გველმა და ისევ დაიგრაგნა. ის-ის იყო კბენისგან გონსმოსული ძაღლი საპასუხო თავდასხმისთვის მოემზადა, რომ პატრონის ფეხის ხმა გაისმა. ნაგაზი დაჭიმული სიმივით გაშეშდა და თავის მტერს გაავებით დაუწყო ყეფა. კრუსადას გვერდით შავსათვალიანი კაცი გამოჩნდა.

– რა მოხდა?! – დაიყვირა ვიღაცამ ტერასიდან.

– ეს მშვენიერი ეგზემპლარია, ალტერნატუს... – უპასუხა მან და გველმა თავდაცვისთვის მომზადებაც ვერ მოასწრო, რომ იგრძნო, როგორ წაუჭირეს ყელში, – კაცმა გრძელი ჯოხის ბოლოში დამაგრებული მარყუჟით დაიჭირა გველი.

იარარა ენით გამოუთქმელმა დამცირებამ გააცოფა; ბორგავდა, იკლაკნებოდა, ცდილობდა აეწია მოქნილი სხეული და კუდით ჯოხს შემოხვეოდა. მაგრამ ამაოდ! მას საყრდენი წერტილი არ ჰქონდა, ის აუცილებელი საყრდენი წერტილი, რომლის გარეშე უძლიერესი მახრჩობელაც კი განწირული, დამცირებული და უსუსურია.

იარარა ჭოკის ბოლოში აქეთ-იქით აწყდებოდა, სანამ ადამიანმა სერპენტარიუმში არ მოისროლა.

გლუვი თუთიის ფურცლებით შემოღობილ მცირე მონაკვეთზე სამი-ოთხი ათეული გველი ჰყავდათ გალიებში დამწყვდეული. კრუსადა მიწაზე დაენარცხა და რამდენიმე ხანს დაგრაგნილი უგონოდ იწვა მცხუნვარე მზეზე.

სერპენტარიუმში, ეტყობოდა, ყველაფერი ნაჩქარევად გაეკეთებინათ; გველების საცურაოდ დაბალი გაფისული ყუთები იდგა, ღამის გასათევად კი ამ სახელდახელოდ შექმნილი სამოთხის ბინადრებისთვის გალიები და აქა-იქ მიმოფანტული ქვეები იყო განკუთვნილი.

მალე იარარას რამდენიმე ასპიტი დაადგა თავს, რომლებიც მოურიდებლად ზედ აცოცდებოდნენ და მისი ვინაობის დადგენას ცდილობდნენ.

კრუსადამ ყველა იცნო, გარდა ერთი დიდი გველისა, რომელიც მავთულის ბადის მეორე მხარეს წყალში გრილდებოდა. ვინ იყო ეს უცნობი? კრუსადა მას პირველად ხედავდა, ბოლოს ცნობისმოყვარეობამ თავისი გაიტანა და ბადისკენ ნელა გაცოცდა.

იგი ისე ახლოს მივიდა, რომ უცნობმა მუქარით ასწია თავი. კრუსადამ უკან დაიხია და გაოცებით დაისისინა: მძლავრი გველის კისერი მის თვალწინ გაიბერა და სასწაულებრივი კაპიუშონი წარმოქმნა, უფრო დიდი, ვიდრე მის ძმისწულ ბოიპევას ჰქონდა. ასე უცნობი მართლაც დიდებული სანახავი იყო!

– შენ ვინა ხარ? – დაინტერესდა კრუსადა, – ალბათ ჩვენივე გვარის ხარ. ჩვენსავით შხამიანი.

როდესაც დარწმუნდა, რომ კრუსადა მასზე თავდასხმას არ აპირებდა, გველმა ნელნელა აალაგა თავისი ფართო საყელო.

– დიახ, მაგრამ აქაური არ ვარ. ჩემი სამშობლო აქედან შორსაა... ინდოეთში.

– რა გქვია?

– ჰამადრია, ანუ სამეფო კობრა. – მე კი – კრუსადა.

– ვიცი, ვიცი, შეგიძლია არაფერი მითხრა. შენი დები აქ უკვე მრავლად არიან... შენ როდის შეგიპყრეს?

– ახლახან. ადამიანის მოკვლა მაინც ვერ მოვახერხე.

– უკეთესი იყო თვითონ მომკვდარიყავი...

– მაგრამ ძალი მაინც გავისტუმრე...

– რომელი ძალი? აქაური? – დიახ.

კობრამ დამცინავად გადაიხარხარა, კრუსადა კი შეკრთა ბანჯგვლიანი ნაგაზის ყეფის გაგონებაზე. მას ხომ იგი კარგა ხნის მკვდარი ეგონა...

– გიკვირს, ხომ ასეა? – განაგრძო ჰამადრიამ... – შენ არც პირველი ხარ...

- მაგრამ მე ხომ პირდაპირ თავი დავუგესლე... - უპასუხა ალელვებულმა კრუსადამ. - ერთი წვეთიც აღარ დამრჩა. ჩვენ, იარარები, მთელ შხამს ერთ ჯერზე ვანთხევთ.
- მას კი შენი შხამისგან არაფერი დაჰკლებია...
- ის რა, უკვდავია?
- არა, მაგრამ ჩვენ ვერაფერს მოვუხერხებთ. იმუნიტეტი აქვს. თუმცა შენ არც იცი, ეს რა არის.
- როგორ არა, ვიცი. - ფიცხად შეიცხადა კრუსადამ. - ნიაკანინამ ყველაფერი გვიამბო. სამეფო კობრამ ყურადღებით შეათვალიერა.
- სულელი არ ჩანხარ...
- ყოველ შემთხვევაში... შენზე სულელი არა! - კბილები გააღრჭიალა კრუსადამ. აზიურ გველს კისერი ისევ გაებერა და იარარაც კვლავ თავდასაცავად მოემზადა. ისინი დიდხანს შეჰყურებდნენ ერთმანეთს. სამეფო კობრას კაპიუშონი ნელ-ნელა დაცხრა.
- საზრიანი და მამაცი ხარ... - განაგრძო მან. - შეიძლება შენთან ლაპარაკი... იცი, რას ეძახიან ჩვენი გვარის წარმომადგენლებს?
- ჩემი აზრით, სათვალთან გველებს.
- ანუ ბენგალურ ასპიტებს... ან სამეფო კობრებს. უბრალო ინდურ კობრასთან შედარებით ჩვენ იგივე ვართ, რაც შენ ვილაც თავწვეტასთან შედარებით... თუ იცი, რით ვიკვებებით?
- არა.
- სხვათა შორის... ამერიკული გველებით, - დაამთავრა აზიელმა სტუმარმა და კრუსადას ცხვირწინ ტანი ნელა შეარხია. კრუსადამ სწრაფად გათვალა თავისი სისხლისმსმელი მეზობლის ზომები.
- ორი მეტრი და ორმოცდაათი, არა? - ჰკითხა მან.
- სამოცი, ორი და სამოცი, ჩემო პაწიავ, - შეუსწორა კობრამ და კრუსადასთვის თვალი არ მოუცილებია.
- არა უშავს! დაახლოებით, ანაკონდას, ერთ-ერთი ჩემი ბიძაშვილის ზომის ხარ. თუ იცი, ის რით იკვებება? შენ წარმოიდგინე, - აზიური გველებით! - თქვა კრუსადამ და ისიც მიაშტერდა ჰამადრიას.
- კარგი პასუხია! - ჩაიდუდუნა გველმა და ნარნარად შეირხა. წყალში თავი გაიგრილა და ზანტად დაამატა: - შენ ამბობ, ბიძაშვილსო?
- ჰო.
- მაშ, შხამი არა აქვს?

– სწორედ რომ... ამიტომაც ეტანება შხამიან უცხოელებს. მაგრამ ფიქრებში ჩაძირულ კობრას თითქოს არც გაუგია. – მომისმინე! – თქვა მან უეცრად. – მე ყელში ამომივიდა ადამიანები, ძაღლები, ცხენები და მთელი ეს უგუნური და უაზრო სისასტიკე. შენ შეგიძლია გამიგო, ამათგან განსხვავებით... უკვე წელიწადნახევარია, ვირთხასავით გალიაში ვარ ჩაკეტილი. დავიღალე ამდენი ტანჯვითა და აზუჩად აგდებით.

საძულველი ადამიანები ბინძური ჩვარივით მექცევინან... და მე, რომელსაც საკმაო სიმამაცე, ძალა და შხამი მაქვს, რათა ყველა ერთად მოვსპო, იძულებული ვარ გავიღო შხამი იმ წყეული შრატების დასამზადებლად. ვერც კი წარმოიდგენ,

როგორ მოქმედებს ეს ჩემს თავმოყვარეობაზე! ნეტავ, თუ გესმის ჩემი? – დაასრულა მან და თანამოსაუბრეს თვალი თვალში გაუყარა.

– ჰო, – უპასუხა მან. – რა უნდა გავაკეთო?

– მხოლოდ ერთი რამ; სამაგიეროს გადასახდელად მხოლოდ ერთი საშუალება გვაქვს... ახლოს მოიწიე, არავინ გაგვიგოს... შენთვის ხომ ცნობილია, რომ საყრდენი წერტილის გარეშე, ჩვენ, გველები, უმწიონი ვართ. ჩვენი გადარჩენა მთლიანად საყრდენ წერტილზეა დამოკიდებული. მაგრამ, შესაძლოა...

– რა? სამეფო კობრა ისევ დაჟინებით მიაშტერდა კრუსადას.

– მაგრამ შესაძლოა... შენ დაიღუპო...

– მხოლოდ მე?

– ოჰ, არა! იმ საძულველი ადამიანებისგანაც მოკვდება ვინმე...

– ეგ ერთადერთია, რაც მე მსურს! შემდეგ! – ახლოს მოიწიე... კიდეც!

რამდენიმე ხანს საუბარი ისე ჩუმად გაგრძელდა, რომ იარარა იძულებული იყო თავისი ქერცლიანი სხეულით მჭიდროდ მიჰკვროდა მავთულის ბადეს. უეცრად კობრა კრუსადას ეცა და სამჯერ დაგესლა. გველები, რომლებიც შორიდან აკვირდებოდნენ ამ სცენას, აშიშინდნენ.

– შეხედეთ! მოკლა ამ მოღალატემ!

კისერში დაკბენილი კრუსადა გაჭირვებით გაცოცდა, მაგრამ მალე გაჩერდა და გაირინდა. სწორედ მას წამოჰკრა ფეხი დარაჯმა, რომელიც სამი საათის შემდეგ შევიდა სერპენტარიუმში. ჩექმის წვერით გველი თოკის ნაგლეჯივით აისროლა ჰაერში და მის თეთრ მუცელს დახედა.

– რა გაეწყობა, მოკვდა... მაგრამ რატომ? – ჩაიბუტბუტა ადამიანმა და დაიხარა, რათა ასპიტი ახლოდან შეეთვალაიერებინა. გასინჯვა დიდხანს არ გაგრძელებულა: კისერსა და კეფაზე შხამიანი კბილების კარგად ნაცნობი კვალი ჩანდა.

– ჰმ, ეს კობრას ხელწერაა, – თქვა ადამიანმა. – ხედავ, როგორ მიყურებს, თითქოს მე ვიყო რაღაც ALTERNATUS...

განა მართალი არ ვიყავი? რამდენჯერ ვუთხარი დირექტორს, უფრო ხშირი ბადე გავაკეთოთ-მეთქი, მაგრამ, არა უშავს, ერთი გველხოკერათი ნაკლები იქნება, –

დასძინა მან, კრუსადას კუდში ჩაავლო ხელი და თუთიის ღობის იქით მოისროლა. და დირექტორთან გასწია.

– კობრამ იარარას უკბინა, რომელიც იქ ახლახან მოვათავსეთ. ახლა ბევრ შხამს ვეღარ გამოვუღებთ.

– ძალიან სამწუხაროა, – მიუგო დირექტორმა. – შხამი სიცოცხლედ გვიღირს. დღესვე გვჭირდება... შრატის მხოლოდ ერთი ამპულა დარჩა. ALTERNATUS, ალბათ, მოკვდა.

– დიახ, გადავაგდე. კობრა მოვიყვანო?

– სხვა გზა არა გვაქვს... მხოლოდ მეორე პარტიასთან ერთად, სამი საათის შემდეგ.

VIII

...კრუსადა ღონემიხდილი, დაღეწილი ეგდო. ენაზე სისხლში არეული მიწის გემო იგრძნო. ვერ გაეგო, სად იყო.

თვლებიდან ნელ-ნელა ჩამოსცილდა სქელი ბინდი და იარარამ გარშემომყოფი საგნების გარჩევა დაიწყო. თუთიის ფურცლების ნაცნობი ღობის დანახვაზე გველს უეცრად ყველაფერი გაახსენდა: შავი ძაღლიც და ყელზე შემოჭერილი ყულფიც, უზარმაზარი აზიელი სტუმარიც და მისი ბრძოლის გეგმაც, რაც კრუსადას დაღუპვას უქადდა. ახლა, როდესაც შხამით გამოწვეული დამბლა ნელ-ნელა გადიოდა, ეს ყველაფერი მკვეთრად აღუდგა მეხსიერებაში. დიახ, ახლა იცოდა, რა უნდა გაეკეთებინა, მაგრამ დრო თუ ეყოფა?

იარარამ ცოცვა სცადა, მაგრამ ამაოდ. გველის სხეული იკლავებოდა, მაგრამ ადგილიდან არ იძროდა. კიდევ რამდენიმე ხანმა გაიარა; კრუსადა სულ უფრო მეტად შფოთავდა.

– სულ რაღაც ოცდაათი მეტრი! – ჩურჩულებდა იგი. – ორი... არა, სიცოცხლის სულ ერთი წუთი და მე ზუსტად დროზე მოვასწრებ!

ნებისყოფის ახალი დამაბვიტ მან სისუსტე დაძლია და სასოწარკვეთილი კლავნით ლაბორატორიისკენ გაცოცდა.

მან ეზო გადაჭრა და კართან სწორედ იმ მომენტში აღმოჩნდა, როდესაც ერთ-ერთმა თანამშრომელმა ჰამადრია ლაბორატორიაში შეიყვანა. იგი ორივე ხელით ეჭირა და გველის სხეული იატაკამდე დასთრევდა. შავსათვალისკაცმა ჰამადრიას ხახა გაუღო, მრგვალი ჩაზნექილი მინა ჩასჩარა და ის იყო თითები კობრას ჯირკვლებზე უნდა დაეჭირა, რომ კრუსადა ზღურბლზე გადაცოცდა.

– ვერ მოვასწრებ! – დაისისინა სასოწარკვეთილმა და უკანასკნელი ძალ-ღონე მოიკრიბა, ქათქათა ეშვები გააშიშვლა და წინ გაიჭრა. თანამშრომელმა შიშველ ფეხზე უეცარი წვა იგრძნო, წამოიყვირა და ხელები აუცახცახდა; კობრამ დრო იხელთა – მისი უსიცოცხლო სხეული შეირხა და მაგიდის ფეხს ელვისებურად შემოეჭდო. მან საყრდენი წერტილი იპოვა, მოსამსახურეს ხელიდან დაუსხლტა და თავისი მომაკვდინებელი კბილები შავსათვალისკაცს მარცხენა მაჯაში ძირებამდე ჩაასო. კბილები პირდაპირ ვენას მოხვდა და ხმამაღალი ყვირილი გაისმა.

- როგორც იქნა! – აზიურმა კობრამ და იარარამ, რომელთაც არავინ მისდევდა, მთელი ძალით მოკურცხლეს.
- საყრდენი წერტილი! – ჩურჩულებდა კობრა და მინდორზე მისრიალებდა. – მხოლოდ ეს მჭირდებოდა და ბოლოს მაინც მოვიპოვე!
- ჰო, – კვერს უკრავდა ჭრილობებისგან დასუსტებული იარარა, რომელიც ძლივს მისდევდა უკან. – მაგრამ მსგავსი ფოკუსის კიდევ ერთხელ გამეორებას ვედარ გავრისკავდი...

ლაბორატორიაში კი დირექტორის მაჯიდან უკვე მოწვეთავდა წებოვანი შედედებული სისხლი. სამეფო კობრას კბენა გარდაუვალ სიკვდილს იწვევს. დაჭრილს ნელ-ნელა ჩამოუვარდა თავი მკერდზე და თვალები სამუდამოდ დახუჭა.

IX

კონგრესი სრული შემადგენლობით შეიკრიბა. ტერიფიკასა და ნიაკანინას, აგრეთვე იარარას გვარის წარმომადგენელთა – ოქროს ურუტუს, თავწვეტას, ატროსისა და ლანსელოდას გარდა კორალინაც მობრძანდა, რომელსაც ნიაკანინა სულელს ეძახდა; ამის მიუხედავად, მისი ნაკბენი საოცრად მტკივნეული, ხოლო წითელი და შავი რგოლებით მოხატული მოქნილი სხეული საოცრად ლამაზი გახლდათ.

გველები, როგორც ცნობილია, ძალზე მედიდურნი არიან სილამაზის საკითხებში; აი რატომ გაუხარდა კორალინას, როცა თავის დას – ფრონტალს ვერსად მოჰკრა თვალი. ფრონტალს

მეწამულ ფონზე სამმაგი შავ-თეთრი რგოლი ამშვენებდა, რომლის წყალობითაც იგი პირველ მზეთუნახავად ითვლებოდა გველთა არისტოკრატიაში.

მონადირეებს ამჯერად პირველ რიგში წარმოადგენდა დრიმობეეი, რომელსაც ტყის იარარაკუსუს ეძახიან, თუმცა მისი გარეგნობა აბსოლუტურად ვერ ამართლებს ამ სახელწოდებას, ასევე ესწრებოდნენ: სიპო – ლამაზი ხასხასა მწვანე შეფერილობის დახელოვნებული ფრინველმჭერი; რადინეა – მუქი მომცრო გველი, რომელიც არასოდეს ტოვებს ჭაობებსა და მცირე წყალსატევებს; ბოიპევა – მას საოცარი უნარი აქვს საფრთხის მოახლოებისას მიწას შეერწყას; და, ბოლოს, ტრიგემინა და ესკულაპია სხვა მესვეურებთან ერთად.

მაგრამ კონგრესზე არ იყო წარმოდგენილი შხამიანი გველებისა და ანკარების ყველა სახეობა და მათი არყოფნა განსაკუთრებულ ახსნა-განმარტებას მოითხოვს.

კონგრესის სრულ შემადგენლობაზე საუბრისას მხედველობაში გვექონდა უმეტეს ნაირსახეობათა და, რაც მთავარია, მათი დასწრება, ვისაც «გარკვეული წონა» აქვს. ჯერ კიდევ გველთა პირველ კონგრესზე დაადგინეს, რომ გველების შედარებით გავრცელებული სახეობების გადაწყვეტილება, რომლებიც საპარლამენტო უმრავლესობასს შეადგენენ,

ყველასთვის სავალდებულო კანონის ძალას იღებს. მხოლოდ ამ აზრით შეიძლება ვილაპარაკოთ კონგრესის სრულ შემადგენლობაზე, თუმცა მას, სამწუხაროდ, არ ესწრებოდა იარარა სურუკუკუ, რომელიც ვერსად იპოვეს; ფაქტი იმიტომაც იყო

დასანანი, რომ ეს ასპიტი, რომელიც სიგრძეში ზოგჯერ სამ მეტრს აღწევს, ამერიკის დედოფლად ითვლება და ამავე დროს გველთა მსოფლიო იმპერიის ვიცეიმპერატორის ტიტულსაც ატარებს, რადგან მას მხოლოდ სამეფო კობრა აღმატება სხეულის ზომებითა და შხამის სიძლიერით.

კრუსადას გარდა კონგრესზე კიდევ ერთი გველი არ გამოცხადდა; მაგრამ ყველა ასპიტს ისე ეჭირა თავი, თითქოს ვერ ამჩნევდნენ მის არყოფნას.

მაგრამ ისინი მაინც მიტრიალდნენ, როდესაც გვიმრის ფოთლებიდან დიდი, მოციმციმეთვალეზიანი გველის ნაცნობი თავი გამოჩნდა.

– შეიძლება? – თამამად იკითხა სტუმარმა.

ასპიტებმა გაფაციცებით წაიგრძელეს კისრები ამ ხმის გაგონებაზე, თითქოს სხეულში ელექტროდენმა დაურბინათო.

– რისთვის მოეთრიე? – ასისინდა გაცოფებული ლანსეოლადა.

– შენ აქ არაფერი გესაქმება! – წამოიძახა ოქროს ურუტუმ და გამოცოცხლების ნიშნები პირველად შეეტყო.

– გაეთრიე აქედან! გაეთრიე! – ყოველი მხრიდან ისმოდა აღელვებული ხმები. მაგრამ ტერიფიკამ ხმამაღალი წყვეტილი სისინით შეძლო წესრიგის აღდგენა.

– მეგობრებო! – თქვა მან, – ნუ გავიწყდებათ, რომ კონგრესის სხდომაზე ვიმყოფებით, ხოლო მისი კანონები ყველასთვის ცნობილია: ძალის გამოყენების უფლება აქ არავის აქვს. შემოდი, ანაკონდა!

– ოქროს სიტყვებია! – შესძახა ნიაკანიანამ ოდნავ შესამჩნევი ირონიით. – შენს უშიშროებას ჩვენი დედოფლის კეთილშობილური მფარველობა უზრუნველყოფს. შემოდი, ანაკონდა!

გამოქვაბულში ანაკონდას ეშხიანი თავი გამოჩნდა, რომელსაც ორ-ნახევარი მეტრის მუქი ელასტიკური კუნთები მოჰყვა. ნიაკანიანას ყურადღებით გახედა, შეკრებილებს გვერდით ჩაუარა და ჩუმი, კმაყოფილი სისინით დაიგრაგნა ტერიფიკასთან ახლოს, რომელსაც ოდნავ გააჟრჟოლა ასეთი მეზობლობით.

– ხელს ხომ არ გიშლი? – თავაზიანად ჰკითხა ანაკონდამ.

– არა, არა! – უპასუხა ტერიფიკამ. – ჩემი ჯირკვლები მიშლის ხელს, შხამისგან ლამის დამისკდეს.

ანაკონდამ და ნიაკანიანამ ისევ გადახედეს ერთმანეთს და სმენად იქცნენ.

შეკრებილთა მტრულ განწყობას ახალი სტუმრის მიმართ თავისი მიზეზი ჰქონდა, რაზეც აუცილებლად უნდა ითქვას ორიოდ სიტყვა. ანაკონდა უძველესი დროიდანვე იყო და დარჩება დედამიწაზე ყველა გველის დედოფლად, სახელგანთქმული ძალაური პითონის ჩათვლით. იგი გამორჩეული ძალის პატრონია და არ არსებობს ხორცისა და ძვლებისგან შექმნილი ისეთი არსება, მის მომაკვდინებელ ჩაკონებას რომ გაუძლოს. მთელი სელვა იმალება და სულს ნაბავს შიშისგან, როდესაც დიდი, შავი

ხავერდოვანი ლაქებით დაფარული მომწვანო ათმეტრიანი სხეული ზანტად ეშვება ხიდან. საკუთარ ძალაში დარწმუნებული ანაკონდა არავის მიიჩნევს თავისი სიძულვილის ღირსად, ერთი გამონაკლისის გარდა, – და გამუდმებით ინარჩუნებს ადამიანთან ძველ მეგობრობას. ეს გამონაკლისი კი შხამიანი გველები გახლავთ, რომლებიც, სრულიად გასაგები მიზეზების გამო, საშინლად სძულს. აი რითი აიხსნება ის ალიაქოთი, რომელიც ასპიტებმა დიადი ანაკონდას გამოჩენისას ატეხეს.

ანაკონდა ამ ქვეყანაში არ დაბადებულა. დიდი ხნის წინ ადიდებული პარანას აზობოქრებულ ტალღებს მოჰყვა, სიამოვნებით დარჩა ამ მხარეში, დაუმეგობრდა ნიაკანინას და აქაურ ბინადართ შეეგუა. ანაკონდა ჯერ კიდევ ძალიან ახალგაზრდა იყო და, ცხადია, თავის სვებედნიერ ათმეტრიან წინაპრებს ვერ შეედრებოდა; თუმცა უზარმაზარი ძალის წყალობით ამ შესანიშნავი გველის ორნახევარი მეტრი ხუთადაც ღირდა, რომელიც ბინდბუნდში ცელქობისას ამაზონს სერავს ხოლმე, წყლიდან ამაყად ყელმოღერებული.

ამგვარად, კონგრესის ყურადღება ანაკონდას გამოჩენამ მიიპყრო, მაგრამ ამ დროს სიტყვა ატროსმა მოითხოვა.

- მე მგონი, დროა დავიწყოთ, – თქვა მან, – უპირველეს ყოვლისა, უნდა გავიგოთ, რა შეემთხვა კრუსადას. ის ხომ შეგვპირდა, რომ წუთი წუთზე აქ გაჩნდებოდა.
- ასე არ არის, ის შეგვპირდა, რომ მაშინვე გამოჩნდებოდა, როგორც კი ამას მოახერხებდა, – გაუსწორა ნიაკანინამ. – უნდა დაველოდოთ.
- რისთვის? – შეიცხადა ლანსეოლადამ და მონადირისკენ არც გაუხედავს.
- როგორ თუ რისთვის? – ვეღარ მოითმინა ნიაკანინამ და თავი მუქარით წამოსწია, – ასეთ სისულელეს მხოლოდ შენ თუ იკითხავ... ყელში ამომივიდა ყოველგვარი აზღაუბდის მოსმენა! შეიძლება იფიქრო, რომ აქ ხმის უფლება მხოლოდ შხამიან გველებს აქვთ! ამ ქალბატონის გარდა, – და მან კუდის წვერით ლანსეოლადაზე მიუთითა, – არავისთვისაა საიდუმლო, რომ კრუსადას მიერ მოტანილ ცნობებზე ბევრადაა დამოკიდებული ჩვენი გეგმის წარმატება... და ამის მერე კიდევ კითხულობენ, რისთვის უნდა ვუცადოთ!... კარგად კი წაგვივა საქმე, თუ ჩვენს კონგრესზე ისეთებს დავუჯერეთ, რომლებიც ასეთ კითხვებს იძლევიან!
- ცოტა ზრდილობიანად ილაპარაკე, – მკაცრად მიუგო თავწვეტამ. ნიაკანინა ფიცხად მიუბრუნდა.
- შენ კი ნუ ეჩრები, სადაც არ გეკითხებიან!
- ზრდილობიანად ილაპარაკე, – ღირსეულად გაუმეორა პატარა გველმა. ნიაკანინამ გახედა ღირსების მგზნებარე დამცველს და ერთბაშად დაუწია ხმას.
- ჩემი პაწია დაიკო მართალია, – უკვე მშვიდად თქვა მან, – მაპატიე, ლანსეოლადა.
- არაფერია! – ბოროტად ჩაიდუღუნა იარარამ.
- მე მაინც გთხოვ პატიებას...

საბედნიეროდ, ამ დროს გამოქვაბულის შესასვლელთან დადარაჯებულმა კორალინამ ხმამაღლა დაისისნა:

– აგერ კრუსადა მოცოცავს!

– როგორც იქნა! – მხიარულად შესძახეს კონგრესის წევრებმა, მაგრამ მათი სიხარული სწრაფად შეიცვალა დიდი გაკვირვებით, როდესაც იარარას კვალდაკვალ უზარმაზარი უცნობი გველი დაინახეს.

სანამ კრუსადა ატროსის გვერდით მოთავსდებოდა, უცნობი აუჩქარებლად და ღირსების გრძნობით მღვიმის ცენტრში დაიგრაგნა და მოლოდინით გაირინდა. – ტერიფიკა! – თქვა კრუსადამ. – სტუმრები მიიღე! ის ჩვენი თვისტომია.

– რასაკვირველია, ყველანი დები ვართ! – სასწრაფოდ აღნიშნა ჩხრიალა გველმა, რომელიც შეშფოთებით უმზერდა უცნობს. ამ დროს ცნობისწადილით ატანილი გველები უკვე შემოხვეოდნენ ახალ ნათესავს.

– ის, როგორც ჩანს, ანკარების გვარისაა, – გაისმა ოდნავ ზიზღნარევი ხმა.

– ჰო, ცხადია, – დაუმოწმა მეორე გველმა. – ნახეთ ერთი, რა მრგვალი თვალები აქვს.

– და რა გრძელი კუდი.

– გარდა ამისა...

მაგრამ უეცრად უცნობის კისერი საოცრად გაიბერა და ყველა შიშისგან გაქვავდა. ეს სულ ერთ წამს გაგრძელდა; საზარელმა გველმა კაპიუმონი მოიშორა, მძვინვარება დაიოკა და მეგობარს მიმართა:

– კრუსადა! მაგათ გადაეცი, თვალში არ შემეჩხირონ!.. ჩემს თავზე პასუხს არ ვაგებ.

– ჰო, თავი დაანებეთ! – შესძახა კრუსადამ. – მაგან სიკვდილს გადამარჩინა. და მარტო მე კი არა,

ალბათ, ყველა თქვენგანი.

გველები დადუმდნენ. კონგრესმა სული განაბა და კრუსადას ნაამბობი მოისმინა ძალღთან შეხვედრის, შავსათვალისანი კაცის, კობრას ეშმაკური გეგმისა და მისი საშინელი კბენის შესახებ, რამაც კრუსადა ღრმა ძილით მიაძინა, და ბოლოს, თუ როგორ გაჩნდა იგი ლაბორატორიაში.

– ამრიგად, ორი ყველაზე საშიში ადამიანი ვედარაფერს გვავენებს, – დაამთავრა მან. – ახლა დანარჩენები უნდა მოვიშოროთ.

– ან ცხენები! – თქვა ჰამადრიამ.

– ანდა ძაღლი! – დასძინა ნიაკანიანამ.

– ჩემი აზრით, ცხენები, – დაიჟინა სამეფო კობრამ. – და აი, რატომ: სანამ ცხენები ცოცხლები არიან, ერთი ადამიანიც საკმარისია იმ წყეული ვაქცინის ათასობით

ამპულის დასამზადებლად, რომელიც არარაობად აქცევს ჩვენს შხამს. კარგად მოგეხსენებათ, რომ ვენაში კბენას ხშირად ვერ ვახერხებთ; როგორც გნებავთ, მაგრამ ჯერ მაინც ცხენებს უნდა მივხედოთ. დანარჩენ დრო გვიჩვენებს! ძაღლის შიში კი – სიცილად არ მყოფნის! – დაამატა მან და ცერად გახედა ნიაკანინას.

ამკარა იყო, რომ აზიელ სტუმარსა და ნიაკანინას პირველივე შეხვედრისთანავე დიდად არ ეპიტნავათ ერთმანეთი. კობრა, რომელიც შხამიანი გველის ქცევებით ძლიერი და მარჯვე მონადირის ზიზღს იწვევდა, მას სიავითა და ერთგვარი შურით პასუხობდა. შხამიან და უშხამო გველებს შორის ძველთაგანვე არსებული მეტოქეობა კონგრესზე შესაძლოა ახალი ძალით გამწვავებულიყო.

– მე კი მგონია, – უპასუხა ნიაკანინამ, – რომ ამ ბრძოლაში ცხენები და ადამიანები მეორეხარისხოვანია. მათი განადგურება იოლია, მაგრამ ძაღლი კიდევ უფრო იოლად გაგვანადგურებს, როდესაც ადამიანები ნამდვილად შეუდგებიან თავიანთ საქმეს. ეჭვი არ შეგეპაროთ, სულ მალე ისინი შეტევაზე გადმოვლენ. ძაღლი, რომელსაც არანაირი კბენის არ ეშინია, და მათ შორის არც ამ კაპიუშონიანი სენიორას კბილების, – დასძინა მან და კობრაზე მოურიდებლად მიუთითა, – უფრო საშიში მტერია, ვიდრე თქვენ გგონიათ; ის ხომ გველებზე სანადიროდაა გაწვრთნილი. შენ რას ფიქრობ, კრუსადა?

კონგრესის მონაწილეებისთვის კარგად იყო ცნობილი ის დიდი მეგობრობა, რაც მონადირესა და ჯვრიან გველს აკავშირებდა; ეს მეგობრობა ორი მონათესავე ინტელექტის ღრმა ურთიერთპატივისცემას ეფუძნებოდა.

– მე ვეთანხმები ნიაკანინას, – უპასუხა კრუსადამ. – თუ ისინი ძაღლს მოგვიქსევენ – დავიღუპებით.

– უნდა დავასწროთ! – შეეპასუხა კობრა.

– სულ ერთია, ვერ მოვასწრებთ!.. მე გადაჭრით ვემხრობი ბიძაშვილის აზრს.

– ამაში ეჭვი არ მეპარებოდა, – მშვიდად თქვა ნიაკანინამ. ჰამადრიას აღარ შეეძლო მსგავსი თავხედობის ატანა და გაშმაგება მხურვალე ტალღად მიაწვა მის კბილებს შხამთან ერთად.

– არ ვიცი, რამდენად მართალია ეს ყბედი ქალბატონი, – აენტო იგი და ნიაკანინას ცერად გადახედა, მაგრამ ამჟამად საფრთხე მხოლოდ ჩვენ, შხამიან გველებს გვემუქრება, რომლებსაც ადამიანებისთვის სიკვდილი მოგვაქვს. ანკარებმა და მახრჩობელებმა კარგად იციან, რომ ადამიანებს მათი არ ეშინიათ, ისინი ხომ უწყინარნი არიან და ვერც ვერავის შეაშინებენ.

– კარგი ნათქვამია! – გაისმა ხმა, რომელიც აქამდე არავის გაეგონა.

ამ მშვიდ ხმაში ჰამადრიამ მსუბუქი ირონია ამოიცნო, სწრაფად მიაბრუნა თავი და ორი მოელვარე თვალი დაინახა, რომლებიც გულლიად უმზერდნენ.

– ამას მე მეუბნები? – ზიზღით იკითხა მან.

– დიახ, შენ, – გაისმა მოკლე პასუხი. – ეგ სიტყვები კი არა, შთაგონებაა!

სამეფო კოზრამ უცნობის ტონში ისევ მსუბუქი ირონია იგრძნო და თითქოს რაღაცის გახსენებას ლამობსო, სწრაფად მოავლო თვალი თანამოსაუბრეს, რომელიც გამოქვაბულის სიღრმეში დახვეულიყო.

– შენ... ანაკონდა ხარ?!

– გახლავარ, – დაუმოწმა გველმა და თავი ოდნავ დახარა, მაგრამ ნიაკანინას მოთმინება აღარ ჰყოფნიდა ერთხელ და სამუდამოდ გაერკვია ვითარება.

– ერთი წუთით! – შესძახა მან.

– არა! – გააწყვეტინა ანაკონდამ. – ახლა მე გთხოვ ნებართვას, ნიაკანინა! როდესაც ბუნებამ ლამაზი, ძლიერი და მოქნილი სხეული გარგუნა, შენ, ისევე როგორც ყველა მეომრად დაბადებული, მტერს პატიოსან ბრძოლაში ამარცხებ, შენი მტკიცე ნერვებისა და კუნთების

მემვეობით. ასე ნადირობენ ქორები, ფოცხვერები, ვეფხვები, – ერთი სიტყვით, ცხოველთა სამყაროს ყველა კეთილშობილი წარმომადგენელი, და მათ შორის – ჩვენიც, მაგრამ მოუქნელი, ბრიყვი არსებები, რომელთაც ვაჟკაცი ბრძოლა არ შეუძლიათ, შხამიან ეშვებს იყენებენ, ისინი ჩასაფრებით კლავენ, როგორც ეს უცხოელი ქალბატონი, რომელიც თავისი უჩვეულო თავსაბურავით ცდილობს ჩვენს გაცეცხას.

და მართლაც, სიბრაზისგან თავგზაარეულმა სამეფო კოზრამ სასწაულებრივად გაბერა კისერი და მზად იყო უტიფარ ანაკონდას დასტაკებოდა, მაგრამ აქ მთელი კონგრესი მუქარით აჩოჩქოლდა.

– ფრთხილად! – ერთდროულად გაისმა რამდენიმე ხმა, – დეპუტატები ხელშეუხებელნი არიან!

– ძირს კაპიუშონი! – თვალებიდან ნაპერწკლებს ყრიდა ატროსი. კოზრა გაშმაგებული სისინით მიუბრუნდა.

– ძირს კაპიუშონი! – კვერს უკრავდნენ ლანსეოლადა და ოქროს ურუტუ.

კოზრას ჯერ გიჟურმა აზრმა გაუელვა – განურჩევლად დარეოდა მეტოქეებს და ერთმანეთის მიყოლებით ნაფლეთებად ექცია ისინი, მაგრამ როდესაც გაიაზრა, რომ მთელ კონგრესთან მოუწევდა შებმა, კაპიუშონი ნელ-ნელა დაუშვა და გაბრაზებით დაისისინა:

– კარგი! კონგრესი კონგრესია, მაგრამ როცა დასრულდება... ჯობს არავინ მაწყენინოს!

– შენს წყენას არც არავინ აპირებს, – მიუგო ანაკონდამ. სიძულვილით სულმეხუთული კოზრა თავის მოპაექრეს მიუბრუნდა.

– შენ რაღა გინდა, ჩემი ისედაც გეშინია! – მე?.. მეშინია... – ანაკონდა წამოიმართა.

– დაწყნარდით! დაწყნარდით! – ისევ გაისმა შეძახილები. – რა მაგალითს ვიძლევი?! ბოლოს და ბოლოს, გადავწყვიტოთ, რა ვიღონოთ!

- დიდი ხანია, დროა! - თქვა ტერიფიკამ. - ორი გეგმა გვაქვს: ერთი ნიაკანინამ შემოგვთავაზა, მეორე - ჩვენმა ახალმა მოკავშირემ მოგვაწოდა. ძალით დავიწყეთ, თუ ჩვენი მთელი ძალები ცხენებისკენ მივმართოთ?

უნდა ითქვას, რომ უმრავლესობა, არსებითად, პირველ გეგმას უჭერდა მხარს, მაგრამ აზიური გველის გარეგნობამ, ზომებმა და საზრიანობამ კონგრესზე უკვე მოახდინა საკმაოდ დიდი შთაბეჭდილება. ყველა აღფრთოვანებული იყო ინსტიტუტის თანამშრომლებზე კობრას გაბედული თავდასხმით; კარგი იყო თუ ცუდი მისი ახალი გეგმა, სწორედ კობრამ გაანადგურა ორი ადამიანი. ამას ისიც უნდა დაემატოს, რომ ნიაკანინასა და კრუსადას გარდა, რომლებიც საქმის კურსში იყვნენ, ვერც ერთ ასპიტს ვერ წარმოედგინა, რა საშინელი მტერი იყო მათთვის გველებზე დაგეშილი და ყოველგვარი კბენის მიმართ შეუვალი ძალი. აი, ბოლოს და ბოლოს, რატომ გაიმარჯვა სამეფო კობრას გეგმამ. გადაწყდა, რომ თუმცა კი გვიან იყო, დაუყოვნებლივ გაელაშქრათ, რადგან მათი სიკვდილ-სიცოცხლის საკითხს მოქმედების სისწრაფე წყვეტდა.

- მაშ ასე, ბრძოლას ვიწყებთ! - თქვა ჩხრიალა გველმა. - კიდევ ვის სურს აზრის გამოთქმა?

- არავის! - დაიყვირა ნიაკანინამ. - მაგრამ სანანებელი არ გაგვიხდეს!

და შხამიანთა ბრბო, რომელიც განუწყვეტლივ ივსებოდა მღვიმიდან გამომძვრალი სულ ახალი და ახალი გველების ხარჯზე, ინსტიტუტისკენ დაიძრა.

- ერთი კიდევ! - ძლივს მოასწრო გაფრთხილება ტერიფიკამ. - სანამ საბრძოლო მოქმედებები

გრძელდება, ჩავთვალოთ, რომ კონგრესის სხდომაზე ვართ და ერთი მეორისთვის ხელშეუხებელიც. გასაგებია?

- ჰო, ჰო! გვეყოფა ლაპარაკი! - დაისისინეს მებრძოლებმა. როცა ანაკონდამ სამეფო კობრას გაუსწრო, მან პირქუშად შეანათა თვალები და უთხრა:

- მაგრამ სამაგიეროდ შემდეგ...

- თქვენს სამსახურში მიგულეთ! - მხიარულად გააწყვეტინა ანაკონდამ და წინ გაიჭრა.

X

ინსტიტუტის პერსონალს ერთი წუთითაც არ მოუხუჭავს თვალი და იარარას მიერ დაკბენილი ავადმყოფის საწოლს არ შორდებოდა. თენდებოდა. ახალმა დირექტორმა ფანჯარა გამოაღო და ღამის თბილ ჰაერს ხარბად ისუნთქავდა. უეცრად გარედან რაღაც ხმაური შემოესმა. ყური დაუგდო. - მგონი, თავლაშია... ფრაგოსო, აბა ნახეთ.

ფრაგოსომ ფარანი აანთო და გავიდა. დანარჩენები მდუმარედ უგდებდნენ ყურს.

ერთ წუთსაც არ გაუვლია, რომ ეზოში აჩქარებული ნაბიჯების ხმა გაისმა და ოთახში შიშისგან ფერმიხდილი ფრაგოსო შემოვარდა.

- თავლა გველებითაა სავსე! - თქვა მან.

- სავსეა? – იკითხა ახალმა დირექტორმა. – ეს როგორ?... რა მოხდა?
- არ ვიცი... – წავედით! და ისინი ოთახიდან გამოცვივდნენ.
- დაბოი! დაბოი! – დაუძახა დირექტორმა ძაღლს, რომელიც ავადმყოფის საწოლქვეშ იწვა და ძილში ხმადაბლა წკმუტუნებდა...

თავლაში შევარდნილმა ადამიანებმა ფარნის შუქზე გაგიჟებული ცხენები დაინახეს, რომლებიც

ჩლიქებით იგერიებდნენ გველებს. ქვეწარმავლებს მთელი შენობა გაეცსოთ. ცხოველები ჭიხვინებდნენ, წიხლებს ისროდნენ და გობებს აპირქვავებდნენ, ხოლო ასპიტები, გაშმაგებით გესლავდნენ ცხენებს და მარჯვედ იცილებდნენ მათ დარტყმებს.

ადამიანები დაუფიქრებლად შეიჭრნენ ბრძოლის შუაგულში. სინათლით დაბრმავებული გველები წამით დაიბნენ, მაგრამ შემდეგ სისინით ისევ შეტევაზე გადავიდნენ და ველარ არჩევდნენ, თავს ვის დასხმოდნენ, რადგან ადამიანები და ცხენები ერთმანეთში აირივნენ.

გველები გარს შემოერთყნენ ინსტიტუტის თანამშრომლებს. ფრაგოსომ ჩექმის კიდესთან, მუხლთან ახლოს შხამიანი ეშვების დარტყმა იგრძნო და მტერს უმაღვე მოქნილი, დრეკადი ხელჯოხი დაუშინა, რომელსაც სელვის მცხოვრებლები არასოდეს იშორებენ. მეორე გველი ახალმა დირექტორმა შუაზე გააპო, ხოლო ერთ-ერთმა თანამშრომელმა დიდ გველს გაუჭეჭყა თავი, რომელიც დაბოის ელვის სისწრაფით შემოეხვია ყელზე.

ყველაფერი რამდენიმე წუთს გაგრძელდა. გველებს გაშმაგებით ურტყამდნენ, ისინი კი კვლავინდებურად წინ მიიწევდნენ, უხემ ჩექმებს კბენდნენ და ცდილობდნენ ადამიანებს ფეხებზე შემოხვეოდნენ. ცხენების ჭიხვინი, ადამიანთა ყვირილი, ძაღლის ყეფა და გველების მრისხანე სისინი არემარეს აყრუებდა; თავდამსხმელთა იერიშები სულ უფრო ძლიერდებოდა.

ფრაგოსო უზარმაზარგველს დაედევნა, რომელიც რატომღაც ეცნო, მაგრამ ფეხი რაღაცას წამოჰკრა, დაეცა და ფარანი ნამსხვრევებად იქცა. საჯინიბოში წყვდიადი ჩამოწვა.

- უკან დაიწიეთ! – იყვირა დირექტორმა. – დაბოი, ჩემთან! ადამიანები ეზოში გაცვივდნენ და თან ძაღლიც გაიყოლიეს, რომელმაც რაღაც სასწაულით მოახერხა გაშმაგებული გველების მთელი გროვა ჩამოებერტყა.

ლტოლვილებმა ერთმანეთს გადახედეს. სახეზე ყველას მკვდრისფერი დასდებოდა და დაღლილობისგან სულს ძლივს ითქვამდნენ.

- საოცარია... – ჩაიბუტბუტა დირექტორმა. – მსგავსი არასოდეს არაფერი მინახავს... რა ემართებათ აქაურ გველებს? გუშინ ორი გველის თავდასხმა თითქოს წინასწარ გათვლილი მათემატიკური სიზუსტით მოხდა... დღეს... საბედნიეროდ, არ იციან, რომ თავიანთი თავდასხმით ჩვენს ცხენებს სიცოცხლე შეუნარჩუნეს... მალე გათენდება, და მაშინ გველებს ცუდი დღე დაადგებათ.

- მომეჩვენა, რომ მათ შორის სამეფო კობრაც იყო, - შენიშნა ფრაგოსომ და მაჯის შეხვევა დაიწყო, რომელიც საშინლად ტეხდა.
 - სწორია, - დაეთანხმა ერთ-ერთი თანამშრომელი. - მეც კარგად გავარჩიე. დაბოის ხომ არაფერი სჭირს?
 - არა, მაგრამ მაგრადაა დაკბენილი... საბედნიეროდ, ყოველგვარ დოზას იტანს.
- და ადამიანები კვლავ ავადმყოფს დაუბრუნდნენ, რომლის სუნთქვაც საგრძნობლად გაუმჯობესდა. ახლა ოფლი ღვარად მოსდიოდა.
- თენდება, - თქვა ახალმა დირექტორმა, რომელიც აისის სიგრილეს ეშურებოდა, - ანტონიო, თქვენ აქ დარჩით, ფრაგოსო კი ჩემთან წამოვა.
 - ქამანდები წამოვიღოთ? - იკითხა ფრაგოსომ.
 - არა, - თავი გააქნია უფროსმა. - სხვა გველები რომ ყოფილიყვნენ, წამსვე დავიჭერდით. მაგრამ ესენი ძალიან უცნაურად იქცევიან... ჯოხები წავიღოთ და ყოველი შემთხვევისთვის, მაჩეტეც.

XI

სეროთერაპიის ინსტიტუტზე თავდამსხმელ გველთა მოქმედებაში უცნაური არაფერი ყოფილა. მათ სასიკვდილო საფრთხის წინაშე მთელი გველთა მოდგმის სიბრძნე ხელმძღვანელობდა.

როდესაც ფარანი დაიმსხვრა და თავლაში უეცრად დაბნელდა, ისინი მიხვდნენ, რომ წინააღმდეგობის გაწევას ვეღარ შეძლებდნენ, რადგან მალე მათთვის დამლუპველი განთიადი დადგებოდა. გამთბარი ნოტიო ჰაერი დილის სიახლოვეს მოასწავებდა.

- ერთი წუთითაც რომ დავიგვიანოთ, - შესძახა კრუსადამ, - უკანდასახევე გზას მოგვიჭრიან. ყველანი გაბრუნდით! დაიხიეთ!
- უკან! უკან! - დაისისინა ყველამ ერთხმად.

გველები გასასვლელსმიაწყდნენ, სიჩქარეში ერთმანეთს ეჯახებოდნენ და ზედ აცოცდებოდნენ. ისინი შეშინებული, უწესრიგო ბრბოსავით მიცოცავდნენ და შიშით გაჰყურებდნენ შორეთს, სადაც განთიადის მკრთალი ზოლი იკვეთებოდა. მალე შორიდან ხმამაღალი ყეფა მოისმა. გასავათებული ლტოლვილები შეჩერდნენ.

- მოიცადეთ! - დაიყვირა ოქროს ურუტუმ. - ჯერ ვნახოთ, რამდენი დავრჩით და კიდევ რა შეიძლება გავაკეთოთ.

გარიჟრაჟის ბინდბუნდში დანაკარგი დაითვალეს. ჩლიქების დარტყმით თვრამეტი გველი გაწყდა, მათ შორის ორი მარჯნისფერი მზეთუნახავი. ატროსი ფრაგოსოს ხელჯოხით დაილუპა, ხოლო დრომობეი, რომელიც ძაღლს ეკვეთა, თავლის იატაკზე დარჩა თავგაჭექილი. გარდა ამისა, არსად ჩანდნენ თავწვეტა, რადინეა და ბოიპევა. სულ შეტაკების ოცდასამი მონაწილე დაილუპა. ისინი, ვინც გადარჩა, ჩლიქებისგან დასახიჩრებული, ნაცემ-ნაბეგვი, გათელილები იყვნენ. სისხლში არეული მტვერი დაწყლექტილ ქერცლებში ჩასჯდომოდათ.

– ესეც ლაშქრობის შედეგები! – მწარედ თქვა ნიაკანინამ, რომელიც ქვაზე თავის შესაწმენდად წუთით შეჩერდა. – გილოცავ, ჰამადრია!

მაგრამ მას არაფერი უთქვამს იმის შესახებ, რასაც კარის უკან მოჰკრა ყური, როდესაც უკანასკნელმა დატოვა თავლა. იმის ნაცვლად, რომ ცხენები მოეკლათ, მათ, პირიქით, სიცოცხლე შეუნარჩუნეს: საწყალ ცხოველებს ხომ სწორედ გველის შხამი არ ჰყოფნიდათ.

სანამ ცხენების იმუნიზაცია ჯერ კიდევ არ არის დასრულებული, შხამი მათთვის ისევე აუცილებელია, როგორც სასმელი წყალი და ცხოველი კვდება, თუ მის საკმაო რაოდენობას ვერ მიიღებს. უცებ უკნიდან ისევ ძაღლის ყეფა გაისმა, რომელიც გველების კვალს მოჰყვებოდა.

– დავიღუპეთ! – იყვირა ტერიფიკამ. – რა უნდა ვქნათ? – გამოქვაბულში! – ერთხმად ასისინდნენ გველები და წინ გაიჭრნენ.

– ხომ არ გაგიჟდით! – შესძახა ნიაკანინამ და გაქცეულებს დაედევნა. – ყველას ამოგწყვეტენ! ეს ნაღდი სიკვდილია! მომისმინეთ: სხვადასხვა მხარეს უნდა გავიფანტოთ!

გაქცეულები გაუბედავად შეჩერდნენ. შიშით ატანილებს ვერ გაეგოთ, რომ ეს გადარჩენის ერთადერთი საშუალება იყო და აქეთ-იქით უაზროდ იყურებოდნენ. კიდევ ერთი, მხოლოდ ერთი განმარტება – და ყველა მის რჩევას დაჰყვება.

მაგრამ სამეფო კობრა, რომელიც სხვებზე უპირატესობის მოპოვების ახალი წარუმატებელი ცდის შემდეგ დამცირებისა და სირცხვილისგან იწვოდა და მტრული ქვეყნისადმი სიძულვილით იგუდებოდა, უმაღლესი თვითონაც სიკვდილს არჩევდა, ოღონდაც გველთა იმპერიის დანარჩენი წარმომადგენლები სასიკვდილოდ გაეწირა. – ნიაკანინაშიშალა! – დაიყვირა მან. – თუ გავიფანტებით, წინააღმდეგობას ვეღარ გავუწევთ და სათითაოდ ადვილად ამოგვხოცავენ... იქ კი – სხვა საქმეა! გამოქვაბულში!

– ჰო, გამოქვაბულში! – გაიმეორა შიშისგან თავზარდაცემულმა კოლონამ და ადგილიდან მოწყდა. – გამოქვაბულში! ნიაკანინა მიხვდა, რომ გველები აშკარა სიკვდილზე მიდიოდნენ. მაგრამ ახლაც კი, ნაჭდევების, ჭრილობებისა და ველური, უგუნური შიშის მიუხედავად ისინი მზად იყვნენ თავი მსხვერპლად შეეწირათ. მონადირემ ამაყად ასწია თავი და სხვებთან ერთად სიკვდილის შესახვედრად გაემართა, თუმცა მისი სიმარდის პატრონს ადვილად შეეძლო გაქცევით გადაერჩინა თავი. უცებ იგრძნო, რომ მის გვერდით ვიღაც მიცოცავდა და ძალიან გაუხარდა, როცა ანაკონდა იგრძნო.

– ხედავ, – ღიმილით გაეპო ხახა ნიაკანინას, – რას გადაგვყარა ამ წყეულმა უცხოელმა.

– ჰო, ბოროტი ვინმეა... – ჩაიდუდუნა ანაკონდამ, რომელიც ცდილობდა მეგობარს არ ჩამორჩენოდა.

– ახლა კი ყველას ერთად სასაკლაოზე მიგვერეკება!..

- ვის-ვის და მაგას აღარ ეღირსება ეგ სიამოვნება, - მრავალმნიშვნელოვნად უპასუხა ანაკონდამ და ორივე გველი კოლონის დასაწევად აჩქარდა. ბოლოს გამოქვაბულსაც მიაღწიეს.

- ერთი წამით! - ანაკონდა წინ გამოცოცდა, თვალები ალგზნებისგან უელავდა. - თქვენ არ იცით, მე კი კარგად ვუწყვი, რომ ათი წუთის შემდეგ ერთ-ერთი ჩვენგანი მოკვდება. კონგრესის სხდომა ხომ დამთავრდა, ასე არ არის, ტერიფიკა? ხანგრძლივი სიჩუმე ჩამოწვა.

- დიახ, - ოდნავ გასაგონად ჩაიბუტბუტა ტერიფიკამ, - დამთავრდა...

- ასეთ შემთხვევაში, - განაგრძო ანაკონდამ და აქეთ-იქით მიმოიხედა, - სანამ მოკვდებოდე, ვისურვებდი... ასე უკეთესი იქნება, - კმაყოფილად დაამთავრა მან, როდესაც მისკენ აუჩქარებლად მომავალი სამეფო კობრა დაინახა.

ორთაბრძოლისთვის ხელსაყრელი მომენტი არ იყო, მაგრამ სამყაროს გაჩენიდან არავის, თვით

ადამიანის სახიფათო დასწრებასაც კი არ ძალუძს გველთა სხვადასხვა საგვარეულოს პირადი ანგარიშების გასწორებაში შეუშალოს ხელი.

ბრძოლის დასაწყისი სამეფო კობრასთვის იღბლიანი გამოდგა: მისი ეშვები ღრძილებამდე ჩაესო კისერში ანაკონდას, მაგრამ მან ამ თითქმის სასიკვდილო კბენას გასაოცარი სიმარდით უპასუხა, - სხეული გაშმაგებით მოიქნია და გაცოფებულ ჰამადრიას გარს შემოეხვია, რომელსაც მაშინვე სული შეუგუბდა. ანაკონდამ ამ ამბორში თითქოს მთელი თავისი სასიცოცხლო ძალების უზარმაზარი მარაგი ჩააქსოვა, სულ უფრო მჭიდროდ კუმშავდა ფოლადის რგოლებს; მაგრამ სამეფო კობრა ნადავლს არ ეშვებოდა და ანაკონდამ იგრძნო, როგორ გატკაცუნდა მისი კისრის ძალები მტრის კბილებში... მან მთელი დარჩენილი ძალები დაძაბა, უკანასკნელი ნებისყოფამოიკრიბა და ბრძოლის ბედიც მის სასარგებლოდ გადაწყდა. კობრამ, რომელსაც დუქები გადმოსდიოდა, ნელა გახსნა ყბები, ანაკონდამ თავი გაითავისუფლა და ეშვებით მსხვერპლის მოდუნებულ სხეულს ჩააფრინდა.

ის დარწმუნებული იყო, რომ მეტოქე ვედარსად წაუვიდოდა და მისი ბასრი კბილები სულ ზემოთ და ზემოთ მიიწევდა, მოკლე და ხარბი ბიძგებით, რითაც კობრას დაუძღურებულ სხეულს ნაკუ-ნაკუ გლეჯდა. ანაკონდას ყბებმა კაპიუმონამდე მიაღწია, შემდეგ ყელამდე, ასე განაგრძეს და ბოლოს ცოცხალ-მკვდარი ჰამადრიას თავის ქალას მარწუხებივით შემოეჭდო. გაისმა დამსხვრეული ძვლების ჭახანი.

ეს უკვე აღსასრული იყო. ანაკონდამ ფოლადის რგოლები მოუშვა და სამეფო კობრას მოუხეშავი სხეული უსიცოცხლოდ დაენარცხა მიწას.

- აი ახლა სიკვდილიც შეიძლება... - დაიჩურჩულა ანაკონდამ და აზიური ასპიტის გაშეშებულ სხეულზე დაეცა.

ამ მომენტში მათგან შორიახლოს ძაღლის ხმამაღალი ყეფა გაისმა.

და გველებმა, რომლებიც ჯერ კიდევ ათი წუთის წინ შიშისგან გონდაკარგულები გამოქვაბულის შესასვლელს იცავდნენ, უცებ იგრძნეს, როგორ აკიაფდა მათ თვალწინ სელვის დამპყრობლებისადმი უსაზღვრო სიძულვილის ალი. მათ გადაწყვიტეს ბრძოლაში ჩაბმულიყვნენ.

– გამოქვაბულში შევიდეთ, – გამოთქვა აზრი რომელიღაც მათგანმა.

– არა, აქ! აქ მოვკვდეთ! – დაისისინა ყველამ ერთხმად. და ქვის კედლის ძირში, რომელიც მთლიანად კეტავდა უკანდასახევ გზას, ყველა, როგორც ერთი, დაეხვია და მოლოდინით გაინაზა, თავები მალლა ასწიეს და ნაკვერჩხლებივით მოელვარე თვლებით გასცქეროდნენ შორეთს.

ლოდინი ხანმოკლე გამოდგა. გარიჟრაჟის ბინდბუნდში, ბნელი ტყის ფონზე, უეცრად დირექტორის მაღალი ფიგურა აღიმართა, მის უკან კი ფრაგოსო გამოჩნდა ძალთან ერთად, რომელიც, მრისხანებისგან გაგიჟებული, გაშმაგებით მიიწევდა წინ.

– მორჩა! ამჯერად ვერსად წავუვალთ! – ჩაიდუდუნა ნიაკანინამ და ამ სიტყვებში სიცოცხლის მთელი თავისი მხურვალე სიყვარული ჩააქსოვა, რასაც უნდა დამშვიდობებოდა. და იგი ძალის შესახვედრად გაექანა, რომელიც პირზე ქაფმოდებული მათკენ მოფრინავდა. დაბოიმ დარტყმა აიცილა და გაავებით ეცა ტერიფიკას, რომელმაც დრუნჩში მაშინვე ეშვები ჩაასო. ძალმა გააფთრებით გაიქნია თავი, ჩხრიალა გველის ჩამოგდება სცადა, მაგრამ ამაოდ.

ნოვიდმა დრო იხელთა და ცხოველს მუცელში ეცა, მაგრამ ამ დროს ადამიანებმა მიუსწრეს. ერთ წამში ხერხემაღადამტვრეული ტერიფიკა და ნოვიდი მიწაზე დაეცნენ.

ოქროს ურუტუ, ისევე როგორც სიპო, შუაზე გააპეს. ლანსეოლადამ მოახერხა კბილებით ენაში ჩაჭვრენოდა ძალს, მაგრამ მეორე წამს ხელჯოხის მარჯვე დარტყმამ იგი ნაკუწებად აქცია და ბალახებში ესკულაპიას გვერდით დავარდა.

ბრძოლა, უფრო სწორად ხოცვა-ჟლეტა შეუწელებელი ძალით გრძელდებოდა გველების

ხმამაღლისისინისა და ყველგანმყოფი დაბოის ხრინწიანი ყეფის თანხლებით. ძალისა და ადამიანებისთვის უცხო იყო სიბრალული. გველები ერთმანეთის მიყოლებით უხმოდ იღუპებოდნენ; დაკბენილი კეფითა და გადამტვრეული ხერხემლით, უსულოდ იწვნენ გამოქვაბულის შესასვლელთან, სადაც ახლახან მათი უკანასკნელი კონგრესი მიმდინარეობდა. სულ ბოლოს კრუსადა და ნიაკანინა დაეცნენ.

არც ერთი არ გადარჩენილა. ადამიანები დასასვენებლად ჩამოსხდნენ და მკვდარი გველების გროვას გაჰყურებდნენ, რომლებიც სულ ცოტა ხნის წინ მთელ სელვას შიშის ზარს სცემდნენ. მიუხედავად თავისი ძლიერი იმუნიტეტისა, დაბოი შხამისგან ძალიან დასუსტებულიყო, მძიმედ სუნთქავდა და ადამიანების გვერდით წამოწვა. მას სამოცდაოთხი ნაკბენი ჰქონდა.

როდესაც ადამიანები წამოდგნენ და წასვლა დააპირეს, მხოლოდ მაშინ შენიშნეს ანაკონდა, რომელსაც სიცოცხლის ოდნავი ნიშანწყალი კიდევ შერჩენოდა.

– ეს მახრჩობელა აქ როგორ მოხვდა? – გაუკვირდა ახალ დირექტორს.

– ამ ადგილებში ისინი იშვიათად გვხვდება... როგორც ჩანს, სამეფო კობრას შეება და თავისებურად იძია შური ჩვენ გამო. მისი გადარჩენა, ცოტა არ იყოს, ძნელია, ძალზე ძლიერადაა

დაკბენილი... მაგრამ ეს ჩვენი ვალია. მისი წაყვანა მოგვიწევს. შესაძლოა, ოდესმე თვითონაც დაგვიცვას თავისი შხამიანი თანამომძეებისგან.

და ისინი წავიდნენ, თან მხრებზე გადებულ ჯოხზე მიბმული ანაკონდაც წაიყვანეს. ის კი, ჭრილობებისგან ღონემიხდილი, ამ დროს ნიაკანინაზე ფიქრობდა, რომელსაც, შესაძლოა, კიდევ დიდხანს ეცოცხლა ბედნიერად, ამ პატარა გველში ასეთი სიამაყე და სიკვდილის ზიზღი რომ არ ყოფილიყო.

ანაკონდა არ მომკვდარა. მან მთელი წელი იცხოვრა ადამიანებთან, აკვირდებოდა მათ ცხოვრებას და ყველაფერს დიდი ცნობისმოყვარეობით ეცნობოდა, მაგრამ ერთხელ, ღამით, წავიდა. ანაკონდას ხანგრძლივი მოგზაურობა დინების მიმართულებით გაუირამდე და სიკვდილის ტბისკენ, სადაც პარანა მკვდარ მდინარეს უერთდება; მისი საოცარი თავგადასავლები და მეორე მოგზაურობა უმცროს ძმებთან ერთად დიდი წყალდიდობის მღვრიე წყლებში – მთელი ეს ბოზოქარი ცხოვრება პარანის მწვანე შამბნარში, ჩვენ მიერ სხვა მოთხრობაში იქნება აღწერილი.

ცალრქა ეშმაკი

აფრიკაში, დიდი მდინარის ნაპირზე იყო ადგილი, სადაც ვერავინ ბედავდა დასახლებას – ყველას ეშინოდა. ირგვლივ უამრავი ზანგი ცხოვრობდა. მათ მანიოკი¹⁵¹ და ბანანები მოჰყავდათ, მაგრამ იმ ადგილას არაფერი იყო – არც ბანანები და არც ზანგები. მას ყველა გვერდს უვლიდა, იმიტომ, რომ იქ უზარმაზარმა ცხოველმა დაივანა, რომელიც თელავდა მცენარეებს, მიწასთან ასწორებდა და ნაკუწებად აქცევდა ქოხებს, და ყველას კლავდა, ვინც გზაზე შეხვდებოდა. ზანგებმა არა ერთხელ სცადეს ამ ურჩხულის მოკვლა, მაგრამ მათ მხოლოდ ისრები ჰქონდათ, ისრები კი სხლტებოდა საზარელი მხეცის ზურგიდან და გვერდებიდან, რადგან მეტისმეტად სქელი და მაგარი ტყავი ჰქონდა. აი, მუცელი კი შეეძლო ისარს გაეხვრიტა, მაგრამ მუცელში ძალიან ძნელია კარგად დამიზნება.

ერთხელ ერთი საკმაოდ გონიერი ზანგი ზღვისკენ გაემართა და იარაღი შეიძინა, რომელშიც სპილოს ხუთი ეშვი გადაიხადა: ამ იარაღით უნდოდა მხეცის მოკვლა, მაგრამ მისმა ტყვიებმა ურჩხულს ვერაფერი დააკლო, მხეცმა კი ზანგი თავის იარაღიანად მოსპო, ფეხის ერთი დარტყმით თავი ქოქოსის კაკალივით გაუჩქქვა.

მაინც რა ურჩხული იყო ეს, ასე ძლიერი და ბოროტი? ეს გახლდათ მარტორქა – ქვეყნად

ყველაზე მძვინვარე მხეცი და თითქმის სპილოსავით ძლიერი. აი, რატომ ვერ ბედავდა ვერც ერთი ზანგი ამ წყეულ ადგილთან მიახლოებას.

მაგრამ ერთხელ იმ მხარეს სამი მოგზაური ეწვია, სამი თეთრკანიანი, რომლებსაც იქ დასახლება უნდოდათ, რათა იქაური ცხოველები, მცენარეები და ქანები შეესწავლათ – ისინი ხომ ბუნებისმეტყველები იყვნენ. სამივე ახალგაზრდა და ერთმანეთის დიდი მეგობარი იყო. სახლის აშენება ზუსტად იმ ადგილზე გადაწყვიტეს, სადაც მარტორქა ცხოვრობდა. ზანგები ევედრებოდნენ მათ, ეს არ გაეკეთებინათ, მუხლებზე უჩოქებდნენ და ცრემლების ღვრით არწმუნებდნენ ჭაბუკებს, რომ «ცალრქა ეშმაკი» დახოცავდა მათ. მეგობრები საპასუხოდ მხოლოდ იცინოდნენ და ზანგებს თავიანთ იარაღსა და ტყვიებს უჩვენებდნენ, რომლებსაც თითქოს უმტკიცესი ფოლადის პერანგები ემოსათ და რკინას ყველის ნაჭერივით ადვილად ხვრეტდნენ. მაგრამ ზანგები გულამოსკვნით იმეორებდნენ:

– ეს არაფერს ნიშნავს... ტყვია... ვერ გახვრეტს... ვერანაირი ტყვია ვერ ხვრეტს მის ტყავს... «ცალრქა ეშმაკი» უკვდავია...

მეგობრები სიცილს განაგრძობდნენ: მათ იცოდნენ, რომ არ არსებობდა ისეთი ცხოველი, რომელიც ყველაზე მტკიცე ფოლადისგარსიან წამახვილებულ ტყვიებს გაუძლებდა, რა

«ეშმაკიც» უნდა ყოფილიყო იგი – ერთი, ორი თუ სამრქიანი, მარტორქებს ხომ ზოგჯერ რამდენიმე რქაც აქვთ.

და რადგან არც ერთ ზანგს არ სურდა მათი დახმარება, ისინი თვითონ გაემართნენ იქით თავიანთი ოთხთვალათი და სახლი ააშენეს, ძალიან მტკიცე, სამი დუიმის¹⁶¹ სისქის კარით. იქ დიდხანს აპირებდნენ დარჩენას და ამიტომ მთელ თავიანთ ნაკვეთზე ხეები დარგეს, უამრავი ნერგი. თავიდან მათ ყოველდღე რწყავდნენ, ხოლო შემდეგ – ყოველ კვირას.

დღისით დაეხეტებოდნენ, მწერებს, ბალახებსა და ყვავილებს აგროვებდნენ და ჩაქურებითა და სატეხებით ქვებს ამტვრევდნენ, რასაც ქამარზე იკიდებდნენ, მაჩეტესავით¹⁷¹, ხოლო ღამდამობით ყველაფერს ეცნობოდნენ, რის შეგროვებასაც დღის განმავლობაში ასწრებდნენ და კითხულობდნენ. საკმაოდ დიდი დრო გავიდა – მათ არავინ აწუხებდა და უკვე ჩათვალეს, რომ სახელგანთქმული «ცალრქა ეშმაკი» მათ შესაშინებლად ზანგების მიერ შეთხზული ზღაპარია, მაგრამ ერთ ქარიშხლიან, ჭექა-ქუხილიან ღამეს, როცა გარეთ კოკისპირულად წვიმდა, ხოლო სამი მეგობარი, ძალიან კმაყოფილი იმით, რომ დიდი ღამეა, ყავა და სიგარები ჰქონდათ, სახლში იჯდა და წიგნებს უკირკიტებდა, იმ ღამეს ერთ-ერთმა მათგანმა უეცრად თავი ასწია და გაირინდა, თან რაღაცას მიაყურადა.

– რა მოხდა? – ჰკითხეს დანარჩენებმა, – რა მოგივიდა? – რაღაც ხმაური მომესმა, – თქვა მან. – აი, გესმით? დანარჩენმა ორმაც სული განაბა და მაშინ ყრუ და მგრგვინავი ბრაგუნის მოესმათ: ტონ-ტონ-ტონ, თითქოს ვიღაც ძალიან მძიმედ მოდიოდა და მიწა ცახცახებდა მის ფეხქვეშ.

გაოცებულმა მეგობრებმა ერთმანეთს გადახედეს: «რა უნდა იყოს ეს?» გადაწყვიტეს გაერკვიათ, რაში იყო საქმე. ქარისგან დაცული ფარანი აიღეს და სახლიდან გავიდნენ.

კოკისპირულად წვიმდა, წამსვე გაილუმპნენ, პერანგებს შიგნით წყალი ჩასდიოდათ, მაგრამ ამან ვერ შეაჩერა ისინი. მეგობრებმა მთელი ნაკვეთი მოიარეს და ვერაფერი აღმოაჩინეს. უეცრად ერთმა მათგანმა, რომელიც შემთხვევით დაიხარა, წამოიძახა:

– შეხედეთ! ხეებს ქერქი აქვთ შემოგლეჯილი. აქ კვალია! უზარმაზარი ცხოველის ნაკვალევი!

ახლა ყველა დაიხარა, ფარანი მიანათეს და ღრმა ნაკვალევს დააშტერდნენ – სამთითა ტორის ვეება ანაბეჭდს. თითქმის ყველა ნაკვალევი წყლით იყო ავსებული, რადგანაც თავსხმა წვიმა ისევ გრძელდებოდა.

და კიდევ: სახლთან შორიახლოს გიგანტური ხე იდგა, ისეთი განიერი, რომ

ხელიხელჩაკიდებული ათი კაციც ვერ შემოაწვდენდა ხელს. თითქმის ადამიანის სიმაღლეზე ამ ხის მთელი ქერქი შემოხეული იყო და იქვე ეყარა ნაკუწებად დაგლეჯილი! როგორც კი მოჰკრეს თვალი ამას, მეგობრებმა ერთხმად დაასკვნეს:

– ეს მარტორქაა, უეჭველად. ვერც ერთი სხვა ცხოველი ვერ შეძლებდა ამას. ეს «ცალრქა ეშმაკია!»

მომდევნო დღეს მათ თავიანთი თოფები აიღეს, ნავთით გაასუფთავეს, ხოლო შემდეგ ვაზელინით გაპოხეს და მშრალი ჩვრებით გაწმინდეს. იმ საღამოს აღარ უძუშავიათ. ყავას სრულ სიჩუმეში სვამდნენ, რათა გარედან შემოსული უმცირესი ბგერაც არ გამორჩენოდათ. და მართლაც, ცხრა საათამდე ცოტა ხნით ადრე იგივე მოგუგუნე ბრაგაბრუგი მოესმათ, რაც გასულ ღამეს: ტონ-ტონ-ტონ.

– «ცალრქა ეშმაკი!» – ჩაილაპარაკეს ჩუმად. – აქაა! თოფებს ხელი სტაცეს, სახლიდან გავიდნენ და მიწისკენ დახრილებმა ძალიან ნელა განაგრძეს გზა.

მონადირეები რომ ყოფილიყვნენ და არა ბუნებისმეტყველები, ეცოდინებოდათ, რომ მარტორქის მოკვლა არც ისე ადვილია, როგორც კატის. და ეს კინაღამ სიცოცხლის ფასად დაუჯდათ.

ამრიგად, ისინი მარტორქის შესახვედრად მიიწევდნენ, ოდნავ მოხრილნი და თავიანთ იარაღში ღრმად დარწმუნებულნი. უეცრად ღამის წყვდიადს საზარელი ლანდი გამოეყო და სამმა მეგობარმა, რომლებიც ცხოველისგან ოციოდე მეტრში იმყოფებოდნენ, ჩათვალეს, რომ დროა. სამივე მუხლზე დაეშვა, მხეცს თავში დაუმიზნეს და ერთდროულად გამოჰკრეს ჩახმახს.

მიზანს სამივე ტყვია მოხვდა, მაგრამ საჭირო ადგილას – არც ერთი. ერთმა გვერდზე გადაჰკრა რქას და ნატეხი მოამტვრია; მეორემ მარტორქის კისერზე ტყავის ვეება ნაოჭები გახვრიტა; მესამე გვერდიდან მოხვდა, მკერდზე, ტყავში გაიარა და კუდთან ახლოს გამოვიდა.

მაშ ასე, როდესაც მარტორქა ხედავს, რომ თავს ესხმიან, მით უფრო თუ დაჭრილია, მასზე მძვინვარე მხეცი არ არსებობს. იგი გამმაგებით ეკვეთება მტერს და თუ ახლო

მანძილიდან ესროლეს, მეორედ სროლის დრო უკვე აღარ არის. რჩება ერთადერთი რამ: გაქცევა, გაქცევა მთელი ძალით, ისე, თითქოს «მილიონრქიანი ეშმაკი» მოგდევთ. სწორედ ასე მოიქცა სამი მეგობარი: ისინი მთელი სისწრაფით გაქანდნენ სახლისკენ, რაც ძალი და ღონე ჰქონდათ, მარტორქა კი უკან მისდევდა. ამ რბოლისგან მიწა ზანზარებდა. ადამიანები მიქროდნენ და ყოველ წუთს ეჩვენებოდათ, რომ საშინელი რქა ჰაერში ატყორცნიდათ. ყოველ წამს მცირდებოდა მანძილი მათ შორის, მაგრამ ამასთან ყოველი წამი აახლოებდა მათ სახლთან. ბოლოს მიიღბინეს და ის იყო კარის მიჯახუნება მოასწრეს, რომ – ტორ-რ-რომ! – საშინელი

დარტყმის ხმა გაისმა, რამაც მთელი სახლი შეარყია: ეს თავდახრილი მარტორქა ეკვეთა კარებს მთელი ძალით.

კარმა გაუძლო, ის ხომ სამი დუიმის სისქის იყო, მაგრამ რქამ შეატანა მასში და გაიჭედა, ისე ღრმად შეესო, რომ გამჭოლ გახვრიტა; ცხოველი გარედან ღმუოდა და მიწას ფეხებს უშენდა, ყოველ ღონეს ხმარობდა, რათა თავი დაეხსნა.

პირველი, რაც მეგობრებს აზრად მოუვიდათ, ეს ფანჯრის გაღება და სანამ გაიქცეოდა, მარტორქის მოკვლა იყო, მაგრამ როდესაც დაინახეს, რომ მთელი თავისი სიშმაგის მიუხედავად ცხოველი ვერ ახერხებდა რქის გამოძრობას, ისინი მონადირეებიდან კვლავ ბუნებისმეტყველებად გადაიქცნენ და მარტორქის ცოცხლად შეპყრობის დაუოკებელი სურვილი გაუჩნდათ. რა კარგად შეისწავლიდნენ მას, ის ხომ მათ გვერდით იქნებოდა! რაღაც უნდა ეღონათ, სანამ გააფთრებული მხეცი თავის რქას არ გაითავისუფლებდა.

– მოვიფიქრე! – უცრად შესძახა ერთ-ერთმა. – ვიცი, რაც უნდა ვქნათ! რქას აქედან, შიგნიდან გავხვრეტთ და ნახვრეტში პატარა ძალაყინს გავუყრით. აბა, სცადოს მისი გამოძრობა!

– ბრავო! ბრავო! – შესძახეს დანარჩენებმა, რადგან მართლაც ჩინებული იდეა იყო. მაშინვე

მოძებნეს ბურღი და ხვრეტას შეუდგნენ. ეს ძნელი სამუშაო იყო, რადგან რქა განუწყვეტლივ მოძრაობდა ზევით-ქვევით, აქეთ-იქით, მაგრამ საბოლოოდ მაინც გახვრიტეს და ნახვრეტშიც მაშინვე გაუყარეს რკინის ძალაყინი.

მზადაა! როგორი ძლიერიც უნდა ყოფილიყო მარტორქა, ის ვეღარასოდეს დაიმკრენდა თავს. დილით ფეხებს შეუკრავენ და ტყვეობაში მანამდე ეყოლებათ, სანამ მორჩილი არ გახდება, – ასეთები არიან მარტორქები, რა გაეწყობა.

ამასობაში, გათენებამდე, ცხოველი განუწყვეტლივ ბორგავდა, ცდილობდა თავისი რქა გაეთავისუფლებინა, მაგრამ რკინის ძალაყინი, განსაკუთრებით თუ ის მოკლეა, ათ მარტორქაზე ძლიერია, სამი მეგობარიც მშვიდად იყო და სწამდათ, რომ ის ვერსად გაიქცეოდა. დაღლილობისგან ფეხზე ძლივს იდგნენ, ოფლი ღვარად ჩამოსდიოდათ, ამიტომ დაიბანეს და ოთახში დასვენებულები და გაგრილებულნი დაბრუნდნენ. მეგობრები მთელი ღამე რქის გარშემო ისხდნენ, ყავას წრუპავდნენ და დროდადრო, თავშესაქცევად, ბუმბულებით უღიტინებდნენ მას.

სკაროსები და იაგუარები

მდინარე იაბებირში, რომელიც მისიონესის¹⁸¹ პროვინციაში მიედინება, უამრავი სკაროსი¹⁹ ბინადრობს და თვით სიტყვა «იაბებირი» ინდიელთა ენაზე სწორედ «სკაროსთა მდინარეს» ნიშნავს. ისინი ისე ბევრნი არიან, რომ ზოგჯერ მდინარეში ფეხის ჩადგმაც საშიშია. ერთი ნაცნობი მყავდა, რომელსაც სკაროსმა ფეხზე უკბინა და შემდეგ სახლამდე მთელი გზა კოჭლობით მიჩანჩალებდა; მიდიოდა და ტკივილისგან ქვითინებდა. სკაროსის კბენისგან გამოწვეული ტკივილი ქვეყნად ყველაზე მტკივნეულია.

და რადგანაც სკაროსების გარდა იაბებირში სხვა თევზებიც გვხვდება, აქ ბევრი მოდის დინამიტით მათ დასახოცად. ისინი მდინარეში დინამიტს აგდებენ და ათასობით თევზს ხოცავენ, დიდებსაც და ისეთ პატარებსაც, რომლებიც არავის სჭირდება.

და აი, ერთხელ იმ მხარეში ერთი კაცი დასახლდა, რომელმაც როცა შეიტყო, რომ მდინარეში თევზებს დინამიტით ხოცავდნენ, წინ აღუდგა ამ ბარბაროსობას, რადგან ძალიან შეეცოდა პატარა თევზები. იგი არავის უშლიდა საკვებად თევზის ჭერას, მაგრამ არც ის უნდოდა, რომ მილიონობით თევზი ასე უაზროდ დაღუპულიყო.

ადამიანები, რომლებიც დინამიტს იყენებდნენ, თავიდან ძალიან უკმაყოფილონი იყვნენ, მაგრამ რადგან ახალმოსული, თავისი გულკეთილობის მიუხედავად, მტკიცე ხასიათით გამოირჩეოდა, ისინი მაინც სხვა ადგილას გადაბარგდნენ. და თევზებიც ცას ეწიენ სიხარულით. ისე მოხარულნი და ახალი მეგობრის ისეთი მადლიერნი იყვნენ, რომ მაშინვე ცნობდნენ, როგორც კი ის მდინარეს მიუახლოვდებოდა, ხოლო როდესაც თამბაქოს წევით ნაპირს მიუყვებოდა, სკაროსები უკან მისდევდნენ, ნაპირთან ფუსფუსებდნენ და ფსკერიდან შლამის ღრუბლებს აყენებდნენ, გახარებულნი იმით, რომ თავიანთ მეგობარს მიაცილებდნენ. კაცი არაფერს ეჭვობდა და ბედნიერად ცხოვრობდა მდინარის შორიახლოს.

და ისე მოხდა, რომ ერთ საღამოს იაბებირის ნაპირთან მელამ მიიღბინა, თათები წყალში ჩაყო და დაიყვირა:

– ეი, სკაროსებო! სწრაფად! აქეთ თქვენი მეგობარი მოდის! დაჭრილია! ამის

გაგონებაზე შეშინებული სკაროსები ნაპირს მიაწყდნენ და მელას ჰკითხეს:

– რა მოხდა? სად არის ადამიანი?

– აი, მოდის! – ისევ დაიყვირა მელამ. – იაგუარს ებრძოდა და ის ახლა უკან მოსდევს. მონადირეს, უთუოდ, კუნძულამდე სურს მიაღწიოს! გაატარეთ, კეთილი კაცია.

– ცხადია, გავატარებთ, – უპასუხეს სკაროსებმა, – იაგუარი კი აქ ვერაფრით ვერ გაივლის.

– ფრთხილად იყავით, – შესძახა დამშვიდობებისას მელამ. – არ დაგავიწყდეთ, რომ იაგუართან გაქვთ საქმე. მელამ უეცრად ისკუპა და ტყეში გაუჩინარდა.

როგორც კი ის თვალს მიეფარა, ბუჩქებიდან კაცი გამოვიდა; მას დაფლეთილი და მთლად სისხლით მორწყული პერანგი ეცვა. სახეზე, მკერდსა და ფეხებზე სისხლი ჩამოსდიოდა და ქვიშას ეწვეთებოდა. იგი ბარბაცით წალასლასდა ნაპირისკენ, რადგან მძიმედ იყო დაჭრილი და მდინარეში შევიდა. როგორც კი ფეხი ჩადგა წყალში, ნაპირთან შეჯგუფებულმა სკაროსებმა მაშინვე გზა დაუთმეს და სანამ ადამიანი ფონით კუნძულამდე მიატანდა, ისე, რომ წყალი მკერდამდე სცემდა, არც ერთი სკაროსი არ შეხებია.

როგორც კი კუნძულს მიაღწია, გრძნობადაკარგული ჩაიკეცა ქვიშაზე, რადგან ძალიან ბევრი სისხლი დაკარგა.

სკაროსებმა ხეირიანად თავიანთი მომაკვდავი მეგობრის დატირებაც ვერ მოასწრეს, რომ საზარელი ღრიალი გაისმა და შიშისგან წყალში შეხტნენ.

– იაგუარი! იაგუარი! – ერთხმად დაიყვირეს მათ და თავქუდმოგლეჯილნი მიაწყდნენ ნაპირს.

და მართლაც, იაგუარი, რომელიც ადამიანს ებრძოდა და ახლა კვალდაკვალ მიჰყვებოდა მას, იაბებირის ნაპირზე გამოჩნდა. მხეციც მძიმედ იყო დაჭრილი და მთელი მისი სხეული სისხლის წვეთებს დაეფარა. როდესაც კუნძულზე უსიცოცხლოდ განრთხმულ ადამიანს მოჰკრა თვალი, იაგუარმა გააფთრებით დაიღრიალა და მდინარეს მივარდა, რათა მტრისთვის ბოლო მოეღო.

მაგრამ როგორც კი თათი ჩაყო წყალში, იგრძნო, თითქოს უამრავი ბასრი ლურსმანი შეესო და სწრაფად დაიხია უკან: სკაროსებმა, რომლებიც გადასასვლელს იცავდნენ, მთელი ძალით ჩაურჭვეს იაგუარს თათში თავიანთი მახვილი ნემსები.

იაგუარი ტკივილისგან ახროტინდა და ნატკენი თათი აღმართა; როდესაც შეატყო, რომ ნაპირთან წყალი ამღვრეულიყო, თითქოს ვიღაც ფსკერზე მთელ შლამს ქექავდა, მიხვდა, რომ ეს სკაროსები იყვნენ, რომელთაც მისი გატარება არ სურდათ და გამძვინვარებულმა დაიყვირა:

– ა-ა! ვიცი, ეს რაცაა, ეს თქვენ ხართ, წყეული სკაროსები! გზიდან ჩამომეცალეთ!

– არ ჩამოგეცლებით! – უპასუხეს სკაროსებმა. – ჩამომეცალეთ!

– არ ჩამოგეცლებით! ის კარგი კაცია! უსამართლობა იქნება მისი მოკვლა.

– ადამიანმა მე დამჭრა!

– შენც ხომ დაჭერი ის. შეგიძლია ტყეში გაუსწორო ანგარიში. აქ კი ჩვენ ვიცავთ მას!.. ვერ გახვალ!

– გზა მომეცით! – უკანასკნელად დაიღმუილა იაგუარმა. – არასოდეს – არა! – უპასუხეს სკაროსებმა (მათ თქვეს «არასოდეს – არა», რადგან ასე ამბობენ გუარანები – ინდიელები, რომლებიც მისიონესში ცხოვრობენ).

– ვნახოთ, – დაიღრიალა იაგუარმა და ნახტომისთვის უკან დაიხია.

იაგუარმა იცოდა, რომ სკაროსები თითქმის ყოველთვის ნაპირთან არიან და გაიფიქრა, რომ თუ შორს გადახტებოდა, მდინარის შუაგულში ისინი ვერ დაეწეოდნენ და მომაკვდავი ადამიანის შეჭმაშიც ვედარავინ შეუშლიდა ხელს.

მაგრამ სკაროსები განზრახვას მიუხვდნენ, მდინარის შუაგულისკენ გაექანენდა ერთმანეთს ბრძანებას გადასცემდნენ:

– ნაპირს მოშორდით! – ყვიროდნენ ისინი წყალქვეშ. – უფრო ღრმად! მდინარის შუაგულში! მდინარის შუაგულში!

და მცისვე სკაროსების მთელი არმია გადასასვლელის დასაცავად მდინარის შუაგულისკენ გაექანა, იმ დროს, როდესაც იაგუარმა მთელი ძალით ისკუპა და წყალში ჩახტა. იგი სიხარულით ცას ეწია, რადგან თავიდან ვერავითარი კბენა ვერ იგრძნო და იფიქრა, რომ სკაროსები ნაპირთან დარჩნენ და მათი მოტყუება შეძლო.

მაგრამ ნაბიჯის გადადგმაც ვერ მოასწრო, რომ ნემსების მთელი წვიმა შეესო; იაგუარი ტკივილისგან აყმუვლდა და ადგილზე დაბზრიალდა: ეს ისევ სკაროსებმა დაუჩხვლიტეს თათები, ისე, რომ ადგილიც არ დაუტოვეს.

იაგუარმა მაინც სცადა გზის გაგრძელება, მაგრამ ტკივილი თანდათან ისეთი აუტანელი გახდა, რომ უეცრად საშინლად აღრიალდა, უკან, ნაპირისკენ გაექანა და ტკივილებისგან სულშეხუთული მიწაზე გაიშხლართა; მუცელი ისე უთრთოდა, თითქოს საშინლად იყო გადაქანცული.

საქმე კი ის გახლავთ, რომ სკაროსის ნაკბენი შხამიანია და იაგუარიც მოიწამლა.

მაგრამ იაგუარის დამარცხებამ ვერ დაამშვიდა სკაროსები, რადგან შიშობდნენ, რომ ძუ და კიდევ ბევრი სხვა იაგუარი მოვიდოდა და მაშინ ისინი ველარ დაიცავდნენ გადასასვლელს. მართლაც, მალე ტყე ისევ აგუგუნდა და ძუ იაგუარი გამოჩნდა, რომელიც სიბრაზისგან ლამის გონს გადავიდა მიწაზე გამოტილი იაგუარის დანახვისას. მან თვალი შეავლო მღვრიე წყალს, მიხვდა, რომ იქ სკაროსები იყვნენ, მდინარესთან მივიდა და წყალს ჩასძახა:

– ეი, სკაროსებო, გასვლა მინდა!

– არ შეიძლება, – უპასუხეს სკაროსებმა.

– თუ არ გამატარებთ, აქ ცოცხალი ერთი სკაროსიც არ დარჩება! დაიღრინა ძუმ.

– მაინც არ გაგიშვებთ, – უპასუხეს მათ. – უკანასკნელად გეუბნებით, გამატარეთ!

– არასოდეს – არა! – შესძახეს სკაროსებმა. გააფთრებულმა ძუმ უცაბედად ფეხი ჩადგა წყალში, ერთ-ერთი სკაროსი ფრთხილად მიუახლოვდა და თათში მთელი ძალით ჩაასო თავისი ნემსი. ნადირი ტკივილისგან აღრიალდა, ხოლო სკაროსებმა ღიმილით მიუგეს:

– მგონი, ჯერ კიდევ ცოცხლები ვართ!

მაგრამ ძუმ რაღაც მოიფიქრა და ფიქრებში ჩაძირული, ხმაამოუღებლად დინებას აღმა გაუყვა.

გეგმა კი ასეთი იყო: მდინარე სხვა ადგილზე უნდა გადაელახა, იქ, სადაც სხვა სკაროსები ცხოვრობდნენ, რომლებმაც არ იცოდნენ, რომ გადასასვლელის დაცვა იყო საჭირო. და სკაროსები ძლიერ შეშფოთდნენ.

– ის ზევით გადალახავს მდინარეს! – ყვიროდნენ ისინი. – ჩვენ არ გვინდა, რომ ადამიანი დაიღუპოს! ჩვენი მეგობარი უნდა დავიცვათ.

და ისეთი სასოწარკვეთით აფართხალდნენ, რომ შლამისგან მთელი წყალი აამღვრიეს.

– რა ვიღონოთ? – ამბობდნენ ისინი. – სწრაფი ცურვა ჩვენ არ შეგვიძლია... სანამ იქ მცხოვრები სკაროსები შეიტყობენ, რომ გადასასვლელის დაცვაა საჭირო, ძუ უკვე ადგილზე იქნება...

და არავინ იცოდა, რა უნდა ექნათ. უეცრად ერთმა ძალზე გონიერმა სკაროსმა წარმოთქვა:

– მოვიფიქრე! მოდით იქ ოქროს თევზები გავგზავნოთ! ისინი ჩვენი მეგობრები არიან! ყველაზე სწრაფადაც ისინი დაცურავენ!

– სწორია! – აიტაცეს დანარჩენებმა. – ოქროს თევზები გავგზავნოთ!

მყისვე გაიცა ბრძანება და იმავე წამს ოქროს თევზების მთელი არმია, რვა თუ ათ რიგად, უკვე შლეგურად მიცურავდა დინების საწინააღმდეგოდ და პატარა წყალქვეშა ნაღმებივით წყალზე კვალს ტოვებდა.

მაგრამ მათაც კი ძლივს მოასწრეს გადაეცათ ბრძანება გადასასვლელის დაცვის შესახებ. ძუ უკვე მდინარის შუაგულში იყო და კუნძულს უახლოვდებოდა. მაგრამ სკაროსები დროულად აღმოჩნდნენ მეორე ნაპირზე და როგორც კი ძუ ფეხებით ფსკერს მისწვდა, დაესივნენ და თავიანთი ბასრი ნემსებით თათების ჩხვლეტა დაუწყეს. გამძვინვარებული და ტკივილისგან გაგიჟებული მხეცი ღრიალებდა, ფართხალებდა და ირგვლივ წყლის ღრუბლებს აყენებდა, ხოლო სკაროსები, რომლებიც კუნძულის მისადგომებს იცავდნენ, გამუდმებით უტევდნენ ნადირს და გზას უღობავდნენ, სანამ ის უკან არ მიბრუნდა და ხვალი იაგუარივით ქვიშაზე არ გაიშოტა ღონემიხდილი და უჩვეულოდ გასივებული ოთხივე თათი ჰაერში არ აღმართა. ვერც ამჯერად მოახერხეს იაგუარებმა ადამიანამდე მიღწევა და მისი შეხრამუნება.

თუმცა სკაროსებიც ძლიერ დაიქანცნენ. ყველაზე ცუდი კი ის იყო, რომ იაგუარები ბოლოს მაინც ფეხზე დადგნენ და ტყეს მისცეს თავი.

ახლა რაღას იზამენ? ეს ძალიან აღელვებდათ სკაროსებს და ისინიც დიდხანს თათბირობდნენ. და საბოლოოდ თქვეს:

– ვიცით, რასაც მოიმოქმედებენ. ისინი სხვა იაგუარებს მოუხმობენ და ყველა ერთად მოვა. და მდინარესაც ერთად გადალახავენ.

– არასოდეს – არა! – შესძახეს ახალგაზრდა სკაროსებმა, რომლებსაც არ ჰქონდათ დიდი ცხოვრებისეული გამოცდილება.

– არა, გავლენ, – ნაღვლიანად უპასუხეს მოხუცებმა. – თუ ისინი ბევრნი იქნებიან, თავისას მიაღწევენ... ჩვენს მეგობარს უნდა მოველაპარაკოთ.

და ყველამ ადამიანისკენ გასწია, რადგან გადასასვლელის დაცვისას ამის გაკეთება აქამდე ვერ მოახერხეს.

კაცი ისევ ქვიშაზე იწვა, რადგან ბევრი სისხლი დაკარგა, მაგრამ უკვე შეეძლო ლაპარაკი და მცირეოდენი განძრევა. სკაროსებმა მყისვე უამბეს ყველაფერი, რაც მოხდა, როგორ იცავდნენ გადასასვლელს იაგუარებისგან. დაჭრილ ადამიანს გული აუჩუყა სკაროსების თავდადებად, რომლებმაც სიკვდილისგან დაიხსნეს იგი და მთელი გულით ეფერებოდა მათ. ბოლოს კი თქვა:

– რა გაეწყობა. თუ იაგუარები ბევრნი იქნებიან და გასვლას მოინდომებენ, მაშინ გავლენ კიდეც...

– ვერ გავლენ! – წამოიძახეს პატარა სკაროსებმა. – თქვენ ჩვენი მეგობარი ხართ, და ისინი ვერ გავლენ.

– არა, გავლენ, ჩემო მეგობრებო! – ამოიოხრა კაცმა და ჩურჩულით დაამატა: – ერთადერთი გამოსავალია – ვინმე ჩემთან სახლში გავგზავნოთ, რათა მან ვინჩესტერი და ვაზნები მომიტანოს... მაგრამ თევზების გარდა, მდინარეში სხვა მეგობარი არა მყავს... ხმელეთზე სიარულს კი თქვენ ვერ შეძლებთ...

– მაშ რა ვქნათ? – იკითხეს შეშინებულმა სკაროსებმა. – მოიცათ... მოიცათ... – თქვა მაშინ კაცმა და შუბლზე ხელი მოისვა, თითქოს რაღაცას იხსენებდა. – ერთი მეგობარი მყავდა... ზღვის გოჭი კაპიბარა, რომელიც ჩემს სახლში გაიზარდა და მგონი სადღაც აქ დასახლდა, იაბებირზე, მაგრამ არ ვიცი, ახლა სად არის... მაშინ სკაროსებმა სიხარულით შესძახეს:

– ჩვენ ვიცით! ჩვენ ვიცნობთ მას! კუნძულის მეორე ბოლოში ცხოვრობს! თქვენ შესახებ გვიამბობდა! ახლავე გავგზავნით მასთან!

თქმა და შესრულება ერთი იყო. ყველაზე დიდი ოქროს თევზი ზღვის გოჭ კაპიბარას საძებნელად გაემართა, ხოლო კაცმა ამასობაში წყალი ამოხაპა, ხელისგულზე შემხმარი სისხლის წვეთი გააზავა და ამით მელანი მიიღო: შემდეგ კალმის ნაცვლად თევზის ფხა აიღო, ქალაღის მაგივრად კი – დამჭკნარი ფოთოლი და ასეთი წერილი დაწერა: «გოჭთან ერთად ვინჩესტერი და ვაზნების მთელი კოლოფი გამომიგზავნეთ».

კაცმა წერილის დამთავრებაც ვერ მოასწრო, რომ არემარე ყრუ ღრიალმა შეაზანზარა: ეს ერთად შეკრებილი, საბრძოლველად გამზადებული იაგუარები უახლოვდებოდნენ ნაპირს, ხოლო სკაროსები, რომლებსაც წყლიდან თავები ამოეყოთ და ცდილობდნენ არ დაესველებინათ ძვირფასი წერილი, უკვე გოჭისკენ მიქროდნენ, რომელმაც მისი მიღებისთანავე მოკლე გზით მოკურცხლა სახლისკენ, რომელშიც ადამიანი ცხოვრობდა.

დაყოვნება აღარ შეიძლებოდა: იაგუართა ყრუ ღმუილი სულ უფრო ხმამაღლა და ახლოს ისმოდა. სკაროსებმა ოქროს თევზები შეკრიბეს, რომლებიც ბრძანებას ელოდნენ და შესძახეს:

– სწრაფად, მეგობრებო! მთელ მდინარეში გაიფანტეთ და განგაში ატეხეთ, რომ მდინარის უკლებლივ ყველა სკაროსი მზად იყოს! ყველა კუნძულთან შეიკრიბოს! ვნახოთ, თუ გააღწევენ!

და მაშინვე უამრავი ოქროს თევზი გაექანა დინების საწინააღმდეგოდ, დინების მიმართულებით და წყალზე ზოლებს ტოვებდნენ, – ასე სწრაფად დაქროდნენ ისინი. მთელ იაბებირში ერთი სკაროსიც არ დარჩენილა, კუნძულთან მისვლის ბრძანება რომ არ მიეღო. დიდი იაბებირის ყოველი მხრიდან მოიჩქაროდნენ სკაროსები კუნძულისკენ, რათა გადასასვლელი დაეცვათ იაგუარებისგან. კუნძულთან კი ოქროს თევზები ელვასავით დაქროდნენ წინ და უკან.

კვლავ მოქმედების დრო დადგა: საზარელი ღრიალისგან წყალიც კი აცახცახდა მდინარეში, და იაგუარები ერთად გამოიჭრნენ ბუჩქებიდან.

ისინი ბევრნი იყვნენ: თითქოს მისიონესის უკლებლივ ყველა იაგუარს აქ მოეყარა თავი, მაგრამ მთელი იაბებირიც სკაროსებისგან ბოზოქრობდა, რომლებიც ნაპირს მიაწყდნენ და მზად იყვნენ ნებისმიერ ფასად დაეცვათ გადასასვლელი.

– გაგვატარეთ!

– არა, გასვლა არ შეიძლება! – უპასუხეს სკაროსებმა. – გიმეორებთ, გაგვატარეთ!

– ვერ გახვალთ!

– თუ არ გაგვატარებთ, არც ერთი სკაროსი, არც ერთი სკაროსის შვილი, არც ერთი სკაროსის შვილიშვილი არ დარჩება ცოცხალი!

– შეიძლება, – უპასუხეს სკაროსებმა, – მაგრამ ვერც იაგუარები, ვერც იაგუართა შვილები, ვერც იაგუართა შვილიშვილები და ქვეყნად ვერც ერთი იაგუარი აქ ვერ გავა. ასე უპასუხეს სკაროსებმა. მაშინ იაგუარებმა უკანასკნელად დაიღრიალეს.

– გზა მიეცით იაგუარებს! – არასოდეს – არა!

და ბრძოლა დაიწყო. იაგუარები გიგანტური ნახტომებით ხტებოდნენ წყალში და სკაროსთა მკვრივ ფენილზე ეცემოდნენ. სკაროსები თათებში თავიანთ მახვილ ნემსებს ასობდნენ და ყოველ ჩხვლეტაზე იაგუარები ტკივილისგან ღმუოდნენ. მაგრამ ისინი თავგანწირვით იბრძოდნენ, წყალში თავიანთ ბასრბრჭყალებიან თათებს იქნევდნენ და მუცელგაფატრული სკაროსებიც ჰაერში დაფრინავდნენ.

იაბებირი სისხლის მდინარედ გადაიქცა. სკაროსები ასეულობით იხოცებოდნენ, მაგრამ იაგუარებიც საშინელ ჭრილობებს იღებდნენ და გარბოდნენ, რათა ქვიშაზე გამოტილებს ყმულით აეშვირათ მაღლა გასივებული, ფორმადაკარგული თათები. გასრესილი, იაგუართა ბრჭყალებით გაგლეჯილი სკაროსები ერთი ნაბიჯითაც არ იხევდნენ უკან. გადასასვლელისკენ სულ ახალი და ახალი დამცველები მიიჩქაროდნენ. ზოგიერთი მათგანი, ჰაერში ატყორცნილი, წყალში ჩავარდნისას კვლავ იაგუართა წინააღმდეგ მიიწევდა.

ეს საშინელი ბრძოლა ნახევარი საათი გრძელდებოდა. ნახევარი საათის შემდეგ ყველა იაგუარი ნაპირზე იყო, ქვიშაზე მსხდომთ დაღლილობისგან ენები გადმოეგდოთ და ტკივილებისგან ღმუოდნენ. კუნძულამდე ვერც ერთმა ვერ მიაღწია.

მაგრამ სკაროსებიც უკვე სულთმობრძავნი იყვნენ. ბევრი, ძალიან ბევრი მათგანი დაიღუპა, ხოლო ცოცხლად დარჩენილები მწუხარებით ამბობდნენ:

- მეორე ასეთ შეტაკებას ვეღარ გავუძლებთ! ოქროს თევზები უნდა გავგზავნოთ მაშველი არმიისთვის. ახლავე უნდა შეიკრიბოს სკაროსები მთელი იაბებირიდან! და ოქროს თევზებიც კვლავ უსწრაფესად გაექანენ მდინარის აღმა-დაღმა დაწყალზე პატარა წყალქვეშა ნაღმებივით ტოვებდნენ კვალს. სკაროსები კი ადამიანისკენ გაემართნენ.
- მეტს ვეღარ გავუძლებთ! - ნაღვლიანად გაანდეს მას. ზოგიერთი სკაროსი ტიროდა კიდეც, რადგან თავისი მეგობრის შველა აღარ შეეძლო.
- გაცვალეთ აქაურობას, სკაროსებო, - თქვა დაჭრილმა კაცმა. - მარტო დამტოვეთ. თქვენ ისედაც ძალიან ბევრი გააკეთეთ ჩემთვის! გზა დაუთმეთ იაგუარებს!
- არასოდეს - არა! - ერთხმად წამოიძახეს სკაროსებმა. - სანამ თუნდაც ერთი სკაროსი დარჩება იაბებირში, ჩვენს მშობლიურ მდინარეში, ჩვენ დავიცავთ კეთილ ადამიანს, რომელმაც ოდესღაც ჩვენ დაგვიცვა! მაშინ დაჭრილმა კაცმა გულაჩუყებით თქვა:
- სკაროსებო! მე თითქმის სიკვდილის პირას ვარ, მიჭირს ლაპარაკი, მაგრამ გპირდებით, რომ როდესაც ვინჩესტერი მექნება, ისეთ სეირს გავმართავთ, რომ მთელი წელი არ დაიღუპა სალაპარაკოდ. ამას დაბეჯითებით გპირდებით!
- დიახ! დიახ! ვიცით! - სიხარულით შესძახეს სკაროსებმა.

მაგრამ სიტყვის დამთავრებაც ვერ მოასწრეს, რომ ბრძოლა განახლდა. უნდა ითქვას, რომ იაგუარები, რომლებმაც უკვე მოითქვეს სული, უეცრად ერთბაშად წამოხტნენ და ოდნავ მოხრილებმა, თითქოს ნახტომისთვის ემზადებიანო, დაიღრიალეს:

- კიდეც ერთხელ და უკანასკნელად: გაგვატარეთ!
- არასოდეს - არა! - უპასუხეს სკაროსებმა და ნაპირს მიაწყდნენ, მაგრამ იაგუარები უკვე წყალში იყვნენ და ბრძოლა ახალი ძალით გაჩაღდა. ახლა მთელი იაბებირი, ნაპირიდან ნაპირამდე, სისხლისგან გაწითლდა, და სისხლიანი ქაფი დუღდა სანაპირო ქვიშაზე. ჰაერში დროდადრო დაფლეთილი სკაროსები ავარდებოდნენ, და იაგუარები ხრინწიანად ღმუოდნენ ტკივილისგან, მაგრამ უკან ერთი ნაბიჯითაც არავინ იხევდა.

იაგუარები არა თუ უკან იხევდნენ, არამედ უკვე წინაც მიიწევდნენ. ოქროს თევზთა არმიები ამოდ დაქროდნენ მდინარის აღმა-დაღმა და უხმობდნენ სკაროსებს, - სკაროსები მეტი აღარ იყვნენ: ისინი ხომ ყველანი კუნძულთან იბრძოდნენ და მათი ნახევარი უკვე დაიღუპა, ხოლო ის, ვინც ცოცხალი დარჩა, დაჭრილი ან მთლად ძალაგამოცლილი იყო.

სკაროსები მიხვდნენ, რომ ისინი ერთ წუთსაც ვეღარ გაძლებდნენ და იაგუარები გაღწევას

მოახერხებდნენ. და საბრალო სკაროსები, რომლებიც თავიანთი მეგობრის გადაცემას უმალ სიკვდილს ამჯობინებდნენ, უკანასკნელად ეკვეთნენ იაგუარებს. მაგრამ ყველაფერი ამაო იყო. ხუთი იაგუარი უკვე კუნძულისკენ მიცურავდა. სკაროსები სასოწარკვეთით ყვიროდნენ:

– კუნძულისკენ! ჩქარა, იქითა ნაპირისკენ!

მაგრამ უკვე გვიანი იყო. კიდევ ორი იაგუარი მიუახლოვდა კუნძულს და ერთ წუთში ყველა მდინარის შუაგულში აღმოჩნდა, ხოლო წყლიდან მხოლოდ მათი თავები მოჩანდა...

მაგრამ იმავე დროს მოწითალო-მოყავისფრო ბეწვიანი ვიღაც მხეცუნა, რომელიც მთელი ძალით იქნევადა თათებს, მდინარეში მიცურავდა; ეს გოჭი კაპიზარა იყო. იგი კუნძულისკენ მიიჩქაროდა ვინჩესტერთა და ტყვიებით დატვირთული, ხოლო ეს ძვირფასი ტვირთი რომ არ დასველებოდა, გოჭს ისინი თავზე შემოეწყო. კაცმა სიხარულისგან დაიყვირა, მიხვდა, რომ ახლა კიდევ მოასწრებდა სკაროსების დახმარებას. მან გოჭს სთხოვა, თავით ებიძგა მისთვის და გვერდზე გადაებრუნებინა, რადგან არ შეეძლო გადაბრუნება და გვერდზე მწოლიარემ ელვისებურად დატენა ვინჩესტერი.

და იმ მომენტში, როდესაც დაგლეჯილმა, გასრესილმა, გასისხლიანებულმა სკაროსებმა უკვე

ჩათვალეს, რომ ბრძოლა წაგებულა და ელოდნენ, მათ საბრალო დაჭრილ მეგობარს როდის შეახრამუნებდნენ იაგუარები, სწორედ ამ მომენტში, რაღაც ჭექა მოესმათ და დაინახეს, რომ იაგუარი, რომელიც წინ მიდიოდა და უკვე ქვიშაზე შედგა თათი, უეცრად შეხტა და თავგაჩეხილი უსულოდ დაენარცხა.

– ბრავო! ბრავო! – დაიყვირეს აღფრთოვანებულმა სკაროსებმა, – ადამიანს უკვე ვინჩესტერი აქვს. გადავრჩით.

და მათ მთელი წყალი აამღვრიეს, რადგან სიხარულით ჭკუაზე აღარ იყვნენ. კაცი კი მშვიდად განაგრძობდა სროლას და თითოეული გასროლით სულ ახალი და ახალი იაგუარი იხოცებოდა. ყოველი ახალი იაგუარის მოკვლისას სკაროსები აღტაცებით უშენდნენ კუდეებს წყალს.

იაგუარები ერთმანეთის მიყოლებით იღუპებოდნენ ადამიანის გასროლით, თითქოს მეხი უღებდა მათ ბოლოს. ეს ყველაფერი სულ ორიოდე წუთი გაგრძელდა. იაგუარები ერთიმეორის მიყოლებით იძირებოდნენ და გაუმაძღარი მტაცებელი თევზების – «პალომეტას» საკბილო ხდებოდნენ. ზოგიერთი შემდეგ ზედაპირზე ამოტივტივდა და ოქროს თევზები მათ პარანამდე^[10] მიაცილებდნენ, თან მათი ხორციტ პირსაც იტკბარუნებდნენ და სიამოვნებისგან შხეფების ღრუბლებს აყენებდნენ.

ძალიან ძალე სკაროსები, რომლებსაც, ჩვეულებრივ, ბევრი შვილი ჰყავთ, კვლავინდებურად გამრავლდნენ. კაცი გამოჯანმრთელდა და სკაროსების ისეთი მადლიერი იყო, რომლებმაც სიცოცხლე შეუნარჩუნეს, რომ კუნძულზე დასახლდა. იქ ზაფხულის ღამეებში ნაპირზე წამოწოლა და მთვარის შუქზე თამბაქოს მოწევა უყვარდა, ხოლო სკაროსები ჩურჩულით ანიშნებდნენ მასზე იმ თევზებს, რომლებიც

კაცს არ იცნობდნენ და მათ იმ დიდი გამარჯვების შესახებ უამბობდნენ, რომელიც ამ ადამიანთან ერთად მოიპოვეს იაგუართა წინააღმდეგ ბრძოლაში.

თვითმკვლელი ხომალდები

საზღვაო სივრცეში ძნელად თუ შეხვდებით ადამიანებისგან მიტოვებულ ხომალდზე მეტ საშინელებას. თუ დღისით მასთან შეხვედრის ალბათობა მცირეა, ღამით მოხეტიალე ხომალდი არ ჩანს: სიგნალს არავინ იძლევა და შეჯახებით ორივე გემი იღუპება. ეს ხომალდები ჯიუტად დაცურავენ ტალღების ან ქარის ნებით, თუ მასზე აფრებია გაშლილი. ასე სერავენ ისინი ზღვებს და ჟინიანად ცვლიან ხოლმე თავიანთ კურსს.

მრავალი ხომალდი, რომლებმაც ნავსადგურებს ვეღარ მიაღწიეს, ერთ მშვენიერ დღეს თავიანთ გზაზე ალაღბედზე მცურავ რომელიმე ასეთ მდუმარე გემს შეეჩხება. მათ ყოველთვის, ნებისმიერ მომენტში შეიძლება შეხვდეთ. საბედნიეროდ, დინებას მიტოვებული ხომალდები სარგასუმის წყალმცენარეთა უზარმაზარ გროვებში შეჰყავს და საბოლოოდ ისინი აქ პოულობენ მარადიულ თავშესაფარს, სანამ დროჟამი არ გააცამტვერებს, მაგრამ მათ ნაცვლად სხვები მოდიან და მარადიულ მდუმარებაში იკავებენ მათ ადგილს, ასე რომ, წყნარი და პირქუში ნავსაყუდელი ყოველთვის საცსეა.

ამ ხომალდებიდან ადამიანთა გაქცევის მთავარი მიზეზი, რა თქმა უნდა, ქარიშხლები და ხანძრებია, რომლებიც კვალად მოხეტიალე შავ ჩონჩხებს ტოვებენ. მაგრამ ზოგჯერ იდუმალი

მოვლენებიც ხდება, რასაც შეიძლება «მარია მარგარიტას» ამბავი მივაკუთვნოთ. ეს ხომალდი ნიუ-იორკიდან 1903 წლის 24 აგვისტოს გავიდა. ოცდაექვსში, დილით «მარია მარგარიტა» კორვეტთან^[11] აწარმოებდა მოლაპარაკებას, რომლისთვისაც საგანგაშო არაფერი უცნობებია.

ოთხი საათის შემდეგ პაკეტბოტს^[12], რომელმაც მას გვერდით ჩაუარა, თავის შეკითხვაზე არავითარი პასუხი არ მიუღია.

პაკეტბოტიდან კანჯო ჩაუშვეს და «მარია მარგარიტას» მიუახლოვდნენ. ხომალდზე არავინ ჩანდა. წინა გემბანზე მეზღვაურთა ზოლებიანი პერანგები შრებოდა. კამბუზში^[13] ჯერ კიდევ ოხშივარი იდგა. საკერავი მანქანის ნემსი ნაკერზე გაშემებულიყო, თითქოს სულ ერთი წუთის წინ ჯერ კიდევ მუშაობდა. ბრძოლის ან პანიკის არავითარი ნიშანი არ ჩანდა, ყველაფერი სრულ წესრიგში იყო. და... მეხორციელი არავინ ჭაჭანებდა. მაინც რა მოხდა?

ღამით, როდესაც ის ამბავი მოვისმინე, რაზეც ქვემოთ ვისაუბრებთ, ჩვენ გემბანზე შევიკრიბეთ. თბომავალი ევროპაში მიდიოდა და კაპიტანი თავის ერთ საზღვაო ამბავს იხსენებდა, რაც საკმაოდ დამაჯერებელი ჩანდა.

ტალღების ჩხრიალის მაგიით მოჯადოებული ქალბატონები სულგანაბული უსმენდნენ.

ნერვიული გოგონები უნებურად ცმუკავდნენ მეზღვაურთა ხრინწიანი ხმების გაგონებაზე. ერთმა ძალზე ახალგაზრდა, ახლახან გათხოვილმა ქალმა მორიდებით იკითხა:

– იქნებ, ამაში არწივებია დამნაშავე? კაპიტანმა მოწყალებით გაიღიმა:

– როგორ, სენიორა? არწივები, რომლებსაც ბრჭყალებით მთელი ეკიპაჟი მიჰყავთ?

ყველას გაგვეცინა, ოდნავ შემკრთალ ახალგაზრდა სენიორასაც.

საბედნიეროდ, ერთ-ერთმა მგზავრმა რაღაც იცოდა ასეთი ამოუხსნელი მოვლენების შესახებ. ჩვენ ცნობისმოყვარედ გადავხედეთ მას. იგი ჩინებული თანამგზავრი იყო: ემოციებს ნაკლებად გამოხატავდა, ცოტას ლაპარაკობდა და თავს არავის აბეზრებდა.

– ოჰ, სენიორ! გთხოვთ, გვიამბეთ! – შეევედრა ახალგაზრდა ქალბატონი.

– კეთილი, როგორც ბრძანებთ, – დაეთანხმა თავშეკავებული სენიორი. – ორიოდ სიტყვით. ჩრდილოეთის ზღვებში ერთხელ «მარია მარგარიტას» მსგავს აფრიან გემს შევხვდით. გაშლილი იალქნებით მივიწვევდით იმავე კურსით და მალე დავეწიეთ. ეკიპაჟისგან მიტოვებული

ხომალდის უჩვეულო სახემ (ეს ყოველთვის თვალში საცემია) ჩვენი ყურადღება მიიქცია და სვლა შევანელეთ, თან მას ვაკვირდებოდით. საბოლოოდ კანჯო ჩავუშვით. ბორტზე ვერავინ ვნახეთ, თუმცა ყველაფერი სრულ წესრიგში იყო. უკანასკნელი ჩანაწერი გემის ჟურნალში ოთხი დღის წინ გაეკეთებინათ და მასში საგანგაშოს ვერაფერს ამოიკითხავდით. ვიხუმრეთ კიდევ ყბადაღებულ უეცარ გაუჩინარებებზე.

ჩვენი რაზმის რვა წევრი ბორტზე დარჩა, რათა «ახალი» ხომალდი წაეყვანათ, ჩვენ კი ესკორტივით მივაცილებდით. როდესაც დაბნელდა, მან ოდნავ გაგვისწრო. მეორე დღეს ხომალდს დავეწიეთ, მაგრამ მასზე არავინ ჩანდა. ისევ ჩავუშვით კანჯო და გულდასმით მოვჩხრიკეთ, მაგრამ ამაოდ: ყველანი გამქრალიყვნენ. სადამდეც თვალი მიგვიწვდებოდა, ზღვა ყველგან აბსოლუტურად მშვიდი იყო. კამბუზში ისევ დულდა კარტოფილით სავსე ქვაბი.

როგორც მოსალოდნელი იყო, ჩვენი ხალხი ცრუმორწმუნეობრივმა შიშმა აიტანა. საბოლოოდ შვიდმა გულადმა მეზღვაურმა გადაწყვიტა დაკარგულთა ადგილი დაეკავებინა. მათ შორის მეც ვიყავი. ბორტზე ასვლისთანავე ჩემმა ამხანაგებმა დალევა გადაწყვიტეს, რათა ყოველგვარი შფოთისთვის დაეღწიათ თავი. ისინი წრიულად დასხდნენ და ერთ საათში უკვე სიმღერებს გაჰკვიოდნენ.

შუადღე გადავიდა, ჩაიარა სიესტამ. ოთხ საათზე ქარი დაცხრა და აფრები ჩამოეშვა. ერთ-ერთი მეზღვაური ბორტთან მივიდა და ზეთოვან ზღვას დაამტერდა. ზოგიერთი გემბანზე დაეხეტებოდა, ლაპარაკის სურვილი აღარავის ჰქონდა. ვიღაც დახვეულ ბაგირზე დაჯდა და ზოლებიანი პერანგი გაიძრო დასაკერებლად. ერთ ხანს მდუმარედ კერავდა, შემდეგ უეცრად წამოხტა და გაბმით დაუსტვინა. ამხანაგები მისკენ შებრუნდნენ. მან უაზროდ და გაოცებით გახედა მათ და ისევ დაჯდა. მეორე წამს პერანგი ხელიდან გააგდო, ბორტთან მიიბრინა და წყალში გადაეშვა. ხმაურის

გაგონებაზე დანარჩენებმა თავები მოაბრუნეს, ოდნავ მოიღუმნენ და მაშინვე ისევ საერთო აპათიაში ჩაიძირნენ.

მაღე ერთ-ერთი მათგანი გაიზმორა, ზეზეურად მოიფშვნიტა თვალები და წყალში გადახტა. ნახევარი საათი გავიდა. მზე უკვე ჩადიოდა. ვიგრძენი, რომ მხარზე ვიღაც შემეხო. «რომელი საათია?» – «ხუთი», – ვუპასუხე მე.

მოხუცმა მეზღვაურმა, ვინც საათი მკითხა, ეჭვის თვალით შემომხედა. ჯიბეებში ხელებჩაწყობილი დიდხანს მადგა თავზე და ჩემს შარვალს დაჰყურებდა. საბოლოოდ ისიც წყალში გადაეშვა.

დარჩენილი სამი მეზღვაური სწრაფად მივიდა ბორტთან და წყლის ზედაპირზე წარმოქმნილ

წრებს დააშტერდა. შემდეგ იქვე ჩამოსხდნენ, ჩუმად უსტვენდნენ და შორეთს გაჰყურებდნენ. ერთმა მათგანმა ისკუპა და გემბანზე გაიშხლართა. დანარჩენი ორი გაქრა – ერთმანეთის მიყოლებით. ექვს საათზე უკანასკნელი მათგანი წამოდგა, ტანსაცმელი გაისწორა, შუბლზე ჩამოყრილი თმა უკან გადაივარცხნა, მთვარეულივით გადადგა რამდენიმე ნაბიჯი და წყალში გადახტა.

და აი, მე მარტო დავრჩი. ზღვის უდაბურ სივრცეს შეშლილივით გავცქეროდი. ყველა დანარჩენი, ისე, რომ ვერც გაეგოთ, რას აკეთებდნენ, წყალში გადაეშვა, დამლუპველი მთვარეულობით შეპყრობილი, რომლის მბრძანებლობაშიც აღმოჩნდა ხომალდი. როდესაც ერთი წყალში ხტებოდა, სხვები მაშინვე შემფოთებული სახით აქცევდნენ ზურგს, თითქოს რაღაც ახსენდებოდათ და მაშინვე გონებას კარგავდნენ. ასე გაუჩინარდა ყველა და ჩემი აზრით, სხვებსაც იგივე შეემთხვა, სხვა ხომალდებზე. სულ ესაა.

ამ საოცარ ადამიანს სრულიად გასაგები ცნობისმოყვარეობით შევეყურებდით.

– თქვენ ვერაფერი იგრძენით? – ჰკითხა ერთმა ჩემმა ნაცნობმა. ჩვენ ერთ კაიუტაში ვიყავით.

– არა, ვიგრძენი, – დიდი გულგრილობა და სიგიჟე, იგივე აზრები და გულის წადილი, სხვა

არაფერი. არ ვიცი, სხვას რატომ არაფერს ვგრძნობდი. როგორც ვფიქრობ, აი რაში იყო საქმე: წინააღმდეგობას არ ვუწევდი იმას, რასაც ვგრძნობდი, როგორც, ალბათ, სხვები მოიქცნენ. მეზღვაურები გაუაზრებლად მოქმედებდნენ. მე უბრალოდ შევურიგდი ამ ჰიპნოზურ სიკვდილს, თითქოს ამქვეყნად აღარც ვიყავი. უთუოდ რაღაც ამგვარი გადახდათ «მარია მარგარიტას» მეზღვაურებსაც.

ყოფილ ზღვაოსანს ყველანი სულგანაბული ვუსმენდით. რამდენიმე ხნის შემდეგ იგი თავისი კაიუტისკენ გაემართა. კაპიტანმა ზიზღიანი მზერით გააცილა.

– ტაკიმასხარა! – ჩაიბუზღუნა მან.

– პირიქით, – მიუგო სნეულმა მგზავრმა, რომელიც სამშობლოში ბრუნდებოდა, რათა სიცოცხლის უკანასკნელი დღეები იქ გაეტარებინა, – მასხარა რომ ყოფილიყო, ამ ყველაფერზე ფიქრს თავს არ დაანებებდა და ისიც წყალში გადაეშვებოდა.

ნიანგების ომი

ერთ უდაბურ ქვეყანაში დიდი მდინარე მოედინებოდა, იმ მდინარეში კი უამრავი ნიანგი ბინადრობდა. ისინი ასზე მეტი იყვნენ, ანდა, შეიძლება, ათასზე მეტიც. ნიანგები თევზებით იკვებებოდნენ და იმ ცხოველებსაც მიირთმევდნენ, რომლებიც მდინარესთან დასარწყულებლად მიდიოდნენ, უფრო მეტად კი თევზებს ანადგურებდნენ. სადილობის შემდეგ სანაპირო ქვიშაზე ისვენებდნენ, ზოგჯერ კი, როცა ბადრი მთვარე ამოდიოდა, მწვანე წყალში თამაშობდნენ.

ყველა ძალზე მშვიდად და ბედნიერად ცხოვრობდა. მაგრამ ერთხელ, საღამო ხანს, როდესაც ყველა ისვენებდა მსუყე სადილის შემდეგ, ერთმა ნიანგმა უცებ გაიღვიძა და თავი წამოყო, რადგან მოეჩვენა, რომ რაღაც ხმაური შემოესმა. მან ყური მიუგდო. და მართლაც: სადღაც შორიდან ყრუ გუგუნი ისმოდა. ნიანგმა მეორე, მის გვერდით მმინარე ნიანგი გააღვიძა.

– გაიღვიძე, – უთხრა მას. – საფრთხეში ვართ. – რა მოხდა? – ჰკითხა მეორემ შეშფოთებით.

– არ ვიცი, – უპასუხა ნიანგმა, რომელმაც პირველმა გაიღვიძა. – რაღაც უცნობი ხმაური მესმის.

მეორე ნიანგმა, თავის მხრივ, ხმაური გაიგონა და ორივემ ერთ წუთში გააღვიძა დანარჩენები. ყველა შეშინდა და კუდაპრეხილებმა დაიწყეს წინ და უკან სირბილი.

ისინი ტყუილად როდი აღელდნენ, რადგან ხმაური სულ უფრო ძლიერდებოდა. მალე შორს რაღაც კვამლის ბოლქვების მსგავსი დაინახეს და უცნაური ხმა მოესმათ – ჰუპჰუპ, თითქოს ვიღაც შორს წყალზე ტყაპუნებდა.

ნიანგებმა ერთმანეთს გადახედეს. ეს რა უნდა ყოფილიყო?

მაგრამ ერთმა ყველაზე მოხუცმა და ყველაზე ბრძენმა ნიანგმა, რომელსაც პირში მხოლოდ ორი კბილი დარჩენოდა და რომელსაც სიცოცხლეში ხანგრძლივად ემოგზაურა დიდ ზღვამდე, უცებ თქვა:

– მე ვიცი, ეს რაც არის! ეს ვეშაპია, ისინი ძალზე დიდები არიან და ცხვირიდან წყლის თეთრ სვეტს უშვებენ, შემდეგ კი ეს წყალი ისევ ძის ეცემა.

ამის გაგონებაზე პატარა ნიანგები ძალზე შეშინდნენ და ღრიალი მორთეს. ისინი ყვინთავდნენ და ღრიალებდნენ:

– ეს ვეშაპია! ვეშაპი მოცურავს! მაგრამ მოხუცმა ნიანგმა მასთან ყველაზე ახლოს მყოფ პატარა ნიანგს კუდზე მოქაჩა.

– ნუ გეშინიათ! – დაიყვირა მან. – მე ვიცი, ვეშაპი რაც არის! მას თვითონ ეშინია ჩვენი! ყოველთვის ყველას გაუბრბის! მაშინ პატარა ნიანგები დაწყნარდნენ, მაგრამ მაშინვე ისევ დაფრთხნენ, რადგან რუხი კვამლი შავ კვამლად გადაიქცა და ყველამ გაიგონა ხმამაღალი ჰუპ-ჰუპ-ჰუპ წყალზე. ნიანგებმა შიშით ისე ჩაყვინთეს, რომ ზედაპირზე მხოლოდ მათი თვალები და ცხვირის წვერი დარჩა. წყალში მჯდომებმა დაინახეს, მათ გვერდით როგორ ჩაიარა რაღაც უზარმაზარმა, რომელიც კვამლში იყო გახვეული და წყალზე მიატყაპუნებდა, ეს კი სხვა არა იყო რა, თუ არა ბორბლებიანი გემი, რომელიც ამ მდინარეზე პირველად მიცურავდა.

გემი მალე თვალს მიეფარა. მაშინ ნიანგები ზედაპირზე ამოვიდნენ და მოხუც ნიანგს ლანძღვა დაუწყეს იმის გამო, რომ მან რაღაც ვეშაპი მოიგონა და ისინი გააცურა.

– ეს ვეშაპი არ არის! – ჩასძახოდნენ ყურში, რადგან მოხუცს უკვე კარგა ხანია მძიმედ ესმოდა. – მაინც რა უნდა ყოფილიყო?

მოხუცმა ნიანგმა აუხსნა მათ, რომ ეს გემი იყო, ცეცხლით გატიკნილი და რომ ყველა ნიანგი მოკვდება, თუ ის აქ ცურვას გააგრძელებს.

მაგრამ ნიანგებმა დაცინვა დაუწყეს, ეგონათ, ჭკუაზე შეცდაო. რატომ მოკვდებიან, გემი თუ აქ იმოდრავებს? არა, საბრალო მოხუცი მართლა შეიშალა.

და რადგანაც ყველას შიოდა, თევზის ძებნას შეუდგნენ. მაგრამ ერთი თევზიც ვერსად იპოვეს. ვერც ერთი! თევზები გადაიკარგნენ, გემის ხმაურით შემინებულები. ისინი აღარსად იყვნენ.

– ხომ გეუბნებოდით! – თქვა მოხუცმა ნიანგმა. – ახლა საჭმელი აღარ გვაქვს. თევზები წავიდნენ. ხვალამდე მოვიცადოთ. შესაძლოა, გემი აღარ დაბრუნდეს, ხოლო თევზები კი დაბრუნდებიან, როცა აღარაფრის შეეშინდებათ.

მაგრამ მომდევნო დღეს მათ ისევ მოესმათ ხმაური მდინარეზე და დაინახეს, როგორ ჩაიარა გემმა, რომელიც საშინლად ქშინავდა და იმდენ კვამლს უშვებდა, რომ მთელი ცა გაშავდა.

– მამ ასე, – თქვეს მაშინ ნიანგებმა, – გემმა გუშინ ჩაიარა, დღეს ჩაიარა და ხვალაც ჩაივლის. თევზი აქ აღარ იქნება, აღარც ცხოველები მოვლენ დასარწყულებლად, ჩვენ კი შიმშილით მოკვდებით. მოდით კაშხალი ავაგოთ.

– დიახ! კაშხალი! კაშხალი! – დაიყვირეს ნიანგებმა და ნაპირს მიაწყდნენ. – კაშხალი ავაგოთ!

და მაშინვე დაიწყეს კაშხლის აგება. ჯერ ყველა ტყეში გაემართა და ათი ათასზე მეტი ხე წააქციეს, ყველაზე მეტი კი ლაპაჩო და კებრაჩო¹⁴¹, იმიტომ, რომ მათ ძალზე მაგარი მერქანი აქვთ. შემდეგ თავიანთი კუდებით დაჭრეს (ამ ნიანგებს ხომ კუდის ბოლოში პატარა ხერხი ეზრდებათ) წყლისკენ უბიძგეს და მდინარის მთელ სიგანეზე ხიმინჯებივით ჩაარჭვეს, ერთმანეთისგან თითო მეტრის დაშორებით. ვერც ერთი ხომალდი ვერ გააღწევდა ამ კაშხალში, ვერც დიდი და ვერც პატარა. ახლა ნიანგები დარწმუნებული იყვნენ, რომ თევზს ველარავინ დააფრთხოვდა და რადგანაც მუშაობისგან ძალზე დაიღალნენ, იქვე ნაპირზე წამოწვნენ დასაძინებლად.

მეორე დილას, როცა მათ ჯერ კიდევ ეძინათ, ისევ გაისმა ჰუპ-ჰუპ-ჰუპ და გემი გამოჩნდა. ხმაური ყველამ გაიგონა, მაგრამ თავი არავის აუწყვია და არც თვალეები გაუხელია. გემთან რაღა ესაქმებოდათ? იხმაუროს, რამდენიც უნდა, აქ მაინც ვერ გავა.

და მართლაც, გემი კაშხალთან არც კი მისულა, მოშორებით გაჩერდა. ადამიანები გემბანიდან ჭოგრით დიდხანს აკვირდებოდნენ უცნაურ ნაგებობას, რომელიც მთელ მდინარეს კვეთდა და საბოლოოდ კანჯო ჩაუშვეს, რათა დაეზვერათ, თუ რა იყო ეს. მაშინ ნიანგები წამოდგნენ,

კაშხალთან მივიდნენ, ხიმინჯებს შორის თავები გაყვეს და მხიარულად ახარხარდნენ, უხაროდან, მტერი ასე მარჯვედ რომ გააცურეს.

კანჯო მოცურდა, მასში მსხდომმა ადამიანებმა ნიანგების აშენებულ გიგანტურ კაშხალს მოავლეს თვალი და მაშინვე უკან გაბრუნდნენ, მაგრამ მალე ისევ გამოჩნდნენ და დაიყვირეს:

- ჰეი, ნიანგებო!
- რა გნებავთ? – უპასუხეს ნიანგებმა, რომლებსაც ისევ ხიმინჯებში ჰქონდათ თავები გაყოფილი.
- ეს ხელს გვიშლის! – შესძახეს ადამიანებმა. – გასაგებია!
- ვერ გავდივართ! – მშვენიერია!
- დაშალეთ კაშხალი! – არავითარ შემთხვევაში. ადამიანებმა კანჯოზე ჩურჩულით მოილაპარაკეს და ისევ დაიყვირეს:
- ნიანგებო!
- რა გნებავთ? – უპასუხეს მათ. – არ დაშლით?
- არა!
- მაშინ მალე შეეხვდებით!
- როგორც გენებოთ!

კანჯო უკან გაბრუნდა. ნიანგებმა აღტაცებით დასცხეს კუდები წყალს. აქ არც ერთი გემი აღარ გაივლის – და მათ ყოველთვის ექნებათ თევზი!

მაგრამ მეორე დღეს გემი ისევ გამოჩნდა და როდესაც ნიანგებმა ყურადღებით შეათვალიერეს, გაოცებისგან კინაღამ ენები ჩაუვარდათ: ეს სულ სხვა გემი იყო. ეს გახლდათ უზარმაზარი ხომალდი, გუშინდელზე გაცილებით დიდი. ეს რაღაა? ამასაც აქ უნდა გასვლა? არა, არ გაივლის, არა! არც ის, არც ეს და არც არავინ!

- არა, ის აქ არ გაივლის! – შესძახეს ნიანგებმა, კაშხალს მივარდნენ და თავიანთი ადგილები

დაიკავეს.

ახალი ხომალდი, ისევე, როგორც წინანდელი, მოშორებით გაჩერდა და კანჯო ჩაუშვა, რომელიც სულ მალე მიცურდა კაშხალთან. კანჯოში ოფიცერი და რვა მეზღვაური იმყოფებოდა. ოფიცერმა დაიყვირა:

– ჰეი, ნიანგებო!

– რა გნებავთ? – უპასუხეს ნიანგებმა.

– არ დაშლით?

– არა!

– არა?

– არა!

– კეთილი, – თქვა ოფიცერმა. – მაშინ ჩვენ ქვემეხებს გამოვიყენებთ და კაშხალს ჩავძირავთ.

– ჩაძირეთ, – უპასუხეს ნიანგებმა. და კანჯო ხომალდზე დაბრუნდა.

იცით, ეს თავვისფერი გემი სამხედრო ხომალდი იყო, დიდი ჯავშნოსანი საშინელი ქვემეხებით. მოხუცი, ბრძენი ნიანგი, სწორედ ის, რომელმაც ოდესღაც ზღვამდე იმოგზაურა, უცებ მიხვდა, რაში იყო საქმე და ამხანაგებს გასძახა:

– ჩაყვინთეთ! სწრაფად! ეს სამხედრო ხომალდია! ამასთან ხუმრობა არ გაგივათ! ჩაყვინთეთ!

ნიანგები მყისვე წყალქვეშ გაქრნენ და ნაპირისკენ გაცურეს, სადაც ისე დაიმაღლნენ, რომ წყლის ზემოთ მხოლოდ თვალები და ცხვირის წვერი დარჩა. ამ მომენტში სამხედრო ხომალდიდან კვამლის ღრუბელი ავარდა, გაისმა საშინელი ჭახანი – და უზარმაზარი ჭურვი კაშხალს მოხვდა, შიგ შუაგულში.

ნაფოტებად დაშლილი რამდენიმე მორი ჰაერში ავარდა. ხომალდიდან მაშინვე კიდევ ერთი ჭურვი გაისროლეს, და კიდევ, და კიდევ. და ყოველი გასროლით კაშხლის ნაფოტებად ქცეული ნაწილი ჰაერში ადიოდა და ასე გაგრძელდა, სანამ კაშხლის კვალიც კი არ დარჩა. არც ერთი მორი, არც ერთი ნაფოტი, ქერქის არც ერთი ნაგლეჯი!

ჯავშნოსნის ქვემეხებით ყველაფერი განადგურდა. წყალში დამალულმა ნიანგებმა კი, რომელთაც მხოლოდ თვალები და ცხვირის წვერი მოუჩანდათ, დაინახეს, სამხედრო ხომალდმა ხმამაღალი ხვნეშით როგორ ჩაიარა გვერდით და თვალს მიეფარა. მაშინ ისინი ნაპირზე გამოძვრნენ და თქვეს:

– მოდით სხვა კაშხალი გავაკეთოთ, კიდევ უფრო დიდი. და სწორედ იმ საღამოსა და სწორედ იმ ღამით ხის უზარმაზარი შტამბებისგან სხვა კაშხალი ააშენეს. შემდეგ, დაღლილ-დაქანცულები, დასაძინებლად დაწვნენ... მეორე დილით დიდხანს ეძინათ და ვერ შენიშნეს, როგორ მიადგა კაშხალს სამხედრო ხომალდი და კანჯო ჩაუშვა.

– ჰეი, ნიანგებო! – დაიყვირა ოფიცერმა.

– რა გნებავთ? – უპასუხეს ნიანგებმა.

- დაშალეთ ეს კაშხალი!
- არ დავშლით!
- ჩვენ ქვემეხებს გამოვიყენებთ და ამასაც გავანადგურებთ!
- გაანადგურეთ... თუ შეძლებთ!

ნიანგები ამაყად ლაპარაკობდნენ, რადგან სჯეროდათ, რომ ამ ახალ კაშხალს ქვეყნად ვერც ერთი ქვემეხი ვერ დაანგრევდა. რამდენიმე ხნის შემდეგ ხომალდი ისევ კვამლში გაეხვია და მაშინვე საშინელი გრიალით ჩამოინგრა კაშხლის ცენტრალური ნაწილი; საქმე ისაა, რომ ამჯერად კაშხალს ჭურვები კი არა, ყუმბარები დაუშინეს. ყუმბარა შტამბებს მოხვდა, აფეთქდა და უზარმაზარი მორები ნაფოტებად აქცია. მეორე ყუმბარა პირველის გვერდით აფეთქდა და კაშხლის კიდეც ერთი ნაწილი აფრინდა ჰაერში. და ასე ანგრევდნენ კაშხალს, სანამ მისგან არაფერი არ დარჩა. და მაშინ სამხედრო ხომალდმა გვერდზე ჩაუარა ნიანგებს, მასზე მყოფი ადამიანები კი პირს ხელით იფარავდნენ და ნიანგებს დასცინოდნენ.

- ესეც ასე, – თქვეს მაშინ ნიანგებმა, როცა წყლიდან ამოძვრნენ, – ახლა ყველანი დავიხოცებით, რადგან ამიერიდან ხომალდი სულ აქ ივლის და თევზიც აღარასოდეს დაბრუნდება. და ყველა შეწუხდა, რადგან პატარა ნიანგები ტიროდნენ და საჭმელს ითხოვდნენ. და მაშინ მოხუცმა ნიანგმა თქვა:

- იმედს ნუ დავკარგავთ. ლოქოსთან წავიდეთ. ოდესღაც ჩვენ ერთად ვიმოგზაურეთ ზღვისკენ, მას ტორპედო აქვს. ერთხელ, როცა ორმა სამხედრო ხომალდმა ბრძოლა გააჩაღა, ის იქვე იყო და ტორპედო წამოიღო, რომელიც არ აფეთქებულა. სწორედ ის უნდა ვთხოვოთ ლოქოს; თუმცა ჩვენზე, ნიანგებზე, ძალიან გაბრაზებულია, მაგრამ კეთილი გული აქვს და არ ისურვებს, რომ ყველა დავიღუპოთ.

საქმე ისაა, რომ ოდესღაც, ძალიან დიდი ხნის წინ, ნიანგებმა ამ ლოქოს ძმისწული შესანსლეს და მას შემდეგ მან ნიანგებთან ყოველგვარი ურთიერთობა გაწყვიტა. მაგრამ ახლა, ყველაფრის მიუხედავად, ისინი ლოქოსკენ გაემართნენ, რომელიც უზარმაზარ წყალქვეშა გამოქვაბულში ცხოვრობდა მდინარე პარანას ნაპირთან და თავის ტორპედოსთან ერთად ეძინა. ლოქოები ზოგჯერ სიგრძეში ორ მეტრს აღწევენ და სწორედ ასეთი იყო ტორპედოს პატრონიც.

- ჰეი, ლოქო! – დაიძახეს ნიანგებმა, რომლებიც გამოქვაბულთან შეგროვდნენ და იმ სამწუხარო ამბის გამო შიგნით შესვლას ვერ ბედავდნენ.

- ვინ მეძახის? – იკითხა ლოქომ.

- ჩვენ ვართ, ნიანგები!

- მე თქვენთან არ მაქვს და არც მინდა მქონდეს რაიმე ურთიერთობა, – უპასუხა მათ ძალზე გაბრაზებულმა ლოქომ.

მაშინ მოხუცმა ნიანგმა მღვიმეში თავი შეყო და თქვა:

- ეს მე ვარ, ლოქო! შენი მეგობარი ნიანგი, რომელიც მაშინ შენთან ერთად მოგზაურობდა ზღვისკენ!

ნაცნობი ხმის გაგონებაზე ლოქო მღვიმიდან გამოცურდა. – ოჰ, ვერ გიცანი, – ალერსიანად მიმართა თავის ძველ მეგობარს. – აბა, რა გაგჭირვებია?

– შენთან ტორპედოს სათხოვნელად მოვედით. იქ, ჩვენთან, სამხედრო ხომალდი დაცურავს ჩვენს მდინარეზე და თევზებს აფრთხობს. სამხედრო ხომალდი, გესმის, ჯავშნოსანი. კაშხალი ავაგეთ, მან კი თითქმის მთლიანად დაგვინგრია. მეორე გავაკეთეთ, მას კი არც მისგან დაუტოვებია რამე. თევზები წავიდნენ და ჩვენ შიმშილით დავიხოცებით. მოგვეცი ტორპედო და ჩვენც არაფერს დავტოვებთ ამ სამხედრო ხომალდისგან. ამის გაგონებაზე ლოქო დაფიქრდა, შემდეგ კი თქვა:

– კეთილი, დაგიტომობთ ტორპედოს, თუმცა მშვენივრად მახსოვს, როგორ მოექცეით ჩემს ძმისწულს. ვის შეუძლია მისი აფეთქება? ეს არავის შეეძლო და ყველა დუმდა.

– კარგი, – ამაყად წარმოთქვა ლოქომ. – მე თვითონ ავაფეთქებ. ვიცი, როგორ კეთდება.

და ყველამ სამოგზაუროდ დაიწყო მზადება. ნიანგები ერთმანეთს გადაეხებნენ: პირველის კუდი – მეორის კისერზე, მეორის კუდი – მესამის კისერზე და ამგვარად თითქმის ერთი მილის სიგრძის გრძელი ჯაჭვი წარმოიქმნა. უზარმაზარმა ლოქომ ტორპედო დინებას გააყოლა, თვითონ კი ჩაყვინთა და მას ზურგით იჭერდა, რათა ტორპედოს უფრო ადვილად ემობრავა. და რადგანაც ლიანები, რომლებითაც ნიანგები ერთმანეთზე იყვნენ მიბმული, გათავდა, იგი კბილებით კუდზე მოეჭიდა ბოლო ნიანგს და მათ გზა განაგრძეს. ლოქო ტორპედოს იჭერდა, ნიანგები კი ნაპირის გასწვრივ მირბოდნენ და მას მიათრევდნენ. ტორპედო სწრაფად კვეთდა წყალს და ტალღებს წარმოქმნიდა – ნამდვილი ხომალდივით!

მეორე დღეს, დილით ადრე მათ იმ ადგილამდე მიირბინეს, სადაც თავიანთი უკანასკნელი კაშხალი ააგეს და მაშინვე ახლის, ადრინდელზე უფრო მტკიცე კაშხლის აშენებას შეუდგნენ.

ლოქოს რჩევით შტამბებს ერთმანეთთან ძალზე ახლოს აყენებდნენ. ეს მართლაც დიდებული კაშხალი იყო!

ერთი საათიც არ გასულა მას შემდეგ, რაც ნიანგებმა უკანასკნელი მორი ჩადეს, სამხედრო ხომალდი კი ისევ გამოჩნდა და კანჯო ოფიცრითა და მეზღვაურებით ისევ მიუახლოვდა კაშხალს. მაშინ ნიანგები შტამბებზე აცოცდნენ და კაშხლიდან თავები გამოყვეს.

– ჰეი, ნიანგებო! – დაიყვირა ოფიცერმა.

– რა გნებავთ? – უპასუხეს ნიანგებმა.

– ისევ ააშენეთ?

– დიახ, ისევ!

– დაშალეთ!

– არავითარ შემთხვევაში!

– არ დაშლით?

- არა!

- კეთილი, მაშინ მომისმინეთ, - თქვა ოფიცერმა. - ჩვენ ახლა თქვენს კაშხალს გაგანადგურებთ, ხოლო ახალი რომ აღარასოდეს ააშენოთ, ჩვენი ქვემეხები თქვენც გაგანადგურებენ.

ცოცხალი აღარავინ დარჩება, არც დიდი, არც პატარა, არც სქელი, არც თხელი, არც ახალგაზრდა, არც ბებერი, როგორც ის მიხრწნილი ბებერია, რომელსაც აგერ იქ ვხედავ და რომელსაც პირში მხოლოდ ორი კბილი დარჩენია.

მოხუცმა, ბრძენმა ნიანგმა, რომელიც მიხვდა, რომ ოფიცერი მას ეხებოდა და დასცინოდა, თქვა:

- ეს მართალია, ბევრი კბილი აღარ დამრჩა, მაგრამ თუ იცით, მალე ვის შევახრამუნებ ამ კბილებით? - დაამატა მან და თავისი უზარმაზარი ხახა დააღო.

- მაინც ვის შევახრამუნებ? ჰა? - იკითხეს მეზღვაურებმა.

- ამ საცოდავ ოფიცერს! - უპასუხა ნიანგმა და სწრაფად ჩახტა წყალში.

ამასობაში ლოქომ ტორპედო ზუსტად კაშხლის შუაში დადგა. ოთხ ნიანგს უბრძანა ფრთხილად აეღოთ იგი და წყალქვეშ ჰქონოდათ, სანამ სიგნალს არ მისცემდა. ასეც გააკეთეს. დანარჩენი ნიანგები მაშინვე ნაპირთან ახლოს წყალში დაიმალნენ, ისე, რომ წყლის ზემოთ მხოლოდ თავლები და ცხვირის წვერი დარჩა. ლოქო კი წყალში ჩაეშვა თავის ტორპედოსთან.

და აი, სამხედრო ხომალდი კვამლით შეიბურა და კაშხლისკენ გაისროლა. ყუმბარა ზუსტად მის ცენტრში აფეთქდა და რამდენიმე მორი ნამსხვრევებად იქცა.

მაგრამ არც ლოქო თვლემდა და როგორც კი კაშხალი გაინგრა, მაშინვე გასძახა ნიანგებს, რომლებსაც ტორპედო ეჭირათ წყალქვეშ:

- გაუშვით, სწრაფად, გაუშვით!

ნიანგებმა გაუშვეს და ტორპედო ზედაპირზე ამოცურდა. ბებერმა ლოქომ ტორპედო კაშხლის ნახვრეტში მოათავსა, თვალით დაუმიზნა, ტორპედოს მექანიზმი ჩართო და პირდაპირ ხომალდზე მიუშვა.

დაყოვნება მართლაც არ შეიძლებოდა. ამ მომენტში ჯავშნოსნიდან ისევ გაისმა ბათქი, ჭურვი მორებს შორის აფეთქდა და კაშხლის კიდევ ერთი ნაწილი იქცა ნაფოტებად.

მაგრამ ტორპედო უკვე ხომალდისკენ მიქროდა და ადამიანებმა გემბანიდან შენიშნეს კიდეც, უფრო სწორად ბილიკი დაინახეს, რომელსაც ის წყალზე ტოვებდა. შიშისგან ყველამ ხმამაღლა დაიყვირა და სცადეს ისე მოებრუნებინათ ჯავშნოსანი, რომ ტორპედო არ მოხვედროდა.

მაგრამ უკვე გვიან იყო: ტორპედო უზარმაზარ ხომალდს შუაგულში მოხვდა და აფეთქდა.

შეუძლებელია იმ საშინელი გრუხუნის აღწერა, რითაც ტორპედო გასკდა. ის აფეთქდა და ხომალდი თხუთმეტი ათას ნამსხვრევად აქცია; ჰაერში აფრინდა მილები, მანქანები, ქვემეხები, კანჯოები...

ნიანგებს გამარჯვების ყიჟინა აღმოხდათ და ცოფიანებივით ეკვეთნენ კაშხალს. მათ დაინახეს, როგორ მიჰქონდა დინებას მკვდრები, დაჭრილები და ცოცხლად გადარჩენილი ადამიანები, რომლებიც თითო-ოროლა დარჩენილიყვნენ.

ნიანგები დაუზიანებელ მორებზე შეჯგუფდნენ და როცა ადამიანები გვერდით ჩაუვლიდნენ, პირზე თათებს იფარებდნენ და დასცინოდნენ. მათ არავის შეჰქმა არ სურდათ, თუმცა მიაჩნდათ, რომ ადამიანები ამას იმსახურებდნენ, მაგრამ როდესაც მათ გვერდზე ჩაუარა ადამიანმა, რომლის მუნდირსაც ოქროს სირმები ამშვენებდა, მოხუცმა ნიანგმა მაშინვე წყალში ისკუპა... «კრაკ!» – ორჯერ გაატკაცუნა ხახა და გადაყლაპა.

– ვინ იყო ეს ძია? – იკითხა ვიღაც გულუბრყვილო პატარა ნიანგმა.

– ოფიცერი, – უპასუხა ლოქომ. – ჩემი ძველი მეგობარი შეპირდა, რომ შეჰამდა და შეჰამა კიდევ.

ნიანგებმა კაშხლის ნარჩენები დაშალეს, რაც ახლა აღარავის სჭირდებოდა, რადგან ვინღა მოვიდოდა აქ? ლოქომ, რომელსაც ძალზე მოეწონა ოფიცრის ქამარი და სირმები, ითხოვა, რომ ისინი მისთვის დაეთმოთ. ნიანგები იძულებული გახდნენ ისინი მოხუცი ნიანგის ხახიდან ამოეძროთ, რადგან მის კბილებში გაჩხერილიყო. ლოქომ ქამარი ფარფლების ქვემოთ გაიკეთა და მუცელზე შეიკრა, შემდეგ თავისი გრძელი უღვაშის ბოლოებზე ოქროს ზონრები მიიმაგრა, რაც ადრე ოფიცრის დაშნას ამშვენებდა, და რადგანაც ლოქოს ძალიან ლამაზი, გველივით მუქი ლაქებით დაფარული კანი აქვს, მან ნიანგების წინაშე წინ და უკან დაიწყო ცურვა, რომლებიც შესცქეროდნენ და აღტაცებისგან ხახები დაელოთ.

შემდეგ ნიანგებმა ლოქო გამოქვაბულამდე მიაცილეს და უზომოდ უხდიდნენ მადლობას, მერე კი შინ დაბრუნდნენ. მალე თევზებიც გამოჩნდნენ. ნიანგებმა ძალიან ბედნიერად დაიწყეს ცხოვრება და ახლაც ბედნიერად ცხოვრობენ, იმიტომ, რომ ისინი, ბოლოს და ბოლოს, მიეჩვივნენ გემებსა და ხომალდებს, რომლებსაც მდინარეებზე ფორთოხლები დააქვთ. მაგრამ მათ სამხედრო ხომალდების გაგონებაც არ სურთ.⁰

ამაოება

ადამიანი და მისი მაჩეტე ბანანის ჭალას წმენდდა. ისინი უკვე მეხუთე რიგს ამთავრებდნენ: რჩებოდა კიდევ ორი, იხვინჯებითა და ველური ბალბით მოდებული. მაგრამ მათი მიხედვა ძნელი არ იყო, ასე რომ, საქმე ბევრი აღარ ჰქონდა. ადამიანმა ამოძირკულ ბუჩქებს კმაყოფილი მზერა მოავლო და მავთულის ღობეს გადააბიჯა, რათა გრამილიაში¹⁵¹ წამოწოლილიყო.

მაგრამ იმ მომენტში, როდესაც მავთულხლართი ჩამოქაჩა და თითქმის გადააღაჯა კიდეც, მარცხენა ფეხი შემთხვევით ბანანის ქერქზე დაუცურდა, ხოლო მაჩეტე ხელიდან გაუვარდა. დაცემისას თავში გაუელვა, რომ მაჩეტე არსად ჩანდა.

ადამიანი გრამილიაში იწვა, მარჯვენა ფერდზე, ძალზე მოხერხებულად. სწორედ ასე აპირებდა წამოწოლას, – ფეხები მუხლებში უნდა მოეკეცა და მარცხენა ხელი მკერდზე დაედო. პირი ფართოდ დაალო და უნდა დაემთქნარებინა, მაგრამ ვეღარ შეძლო. ახლა ადამიანი იწვა... დანით განგმირული წინამხართა და მუცლით. პერანგიდან ტარი და დანის პირის მხოლოდ ნახევარი ამოჩრილიყო – მეორე ნახევარი არსად ჩანდა.

ადამიანმა თავის მობრუნება სცადა და ვერ შეძლო. მან ცერად გახედა მაჩეტეს ტარს, რომელიც

მისი ოფლისგან ჯერ კიდევ სველი იყო. აზრობრივად განსაზღვრა, რამდენად ღრმად და რა კუთხით შეესო დანა სხეულში. და მივიდა დასკვნამდე – მკაცრ, უცილობელ, შეუბრალებელ დასკვნამდე: მისი სიკვდილის დრო დამდგარიყო.

სიკვდილი... სიცოცხლეში რამდენჯერ გვიფიქრია, რომ მრავალი, მრავალი დღის, კვირის, თვის, წლის შემდეგ, ბოლოს და ბოლოს, მოვა დრო, როდესაც ჩვენც სიკვდილის ზღურბლზე აღმოვჩნდებით. ეს ფატალური გარდაუვალობაა, რაც ჩვენ წინასწარ ვუწყით და რასაც იმდენად შევურიგდით, რომ ხშირად სრულიად აუღელვებლად ვხატავთ ჩვენს წარმოსახვაში ცხოვრების იმ შეუდარებელ მომენტს, როდესაც უკანასკნელად ამოვისუნთქავთ.

მაგრამ მანამდე რამდენი შიში, იმედი, ილუზია, წარმოსახვითი ტრაგედია უნდა გადავიტანოთ! რამდენი დარდი უნდა ავიტანოთ, სანამ ცხოვრების სცენიდან ჩამოვალთ! შესაძლოა სიკვდილზე მსჯელობაში, სწორედ ამაში ვეძებთ დამშვიდებასა და ნუგეშს: სიკვდილი ხომ ჯერ კიდევ შორსაა, ხოლო სიცოცხლე თავის თავში რამდენ განუცდელსა და გაუთვალისწინებელს მალავს.

მაგრამ... ჯერ ორი წამიც არ გასულა: მზე იმავე ადგილზეა, არც ჩრდილები დაგრძელებულა, მიწაზე გამოტილი ადამიანისთვის კი მთელი ეს მსჯელობა უეცრად სინამდვილედ იქცა: ის კვდება. კვდება. მოხერხებულ პოზაში მწოლიარეს თავი უკვე მკვდრად შეუძლია ჩათვალოს.

მაგრამ ადამიანი თვალებს ახელს და გარემოს უმზერს. რა დრო გავიდა? რა მოხდა სამყაროში? და რას უკავშირდება ის საშინელება, რაც მას გადახდა? ის ხომ კვდება. სიკვდილი უახლოვდება, ცივი, გარდაუვალი, აუცილებელი. ადამიანი ჯერ კიდევ ეწინააღმდეგება ბრმა ბედისწერას – ყველაფერი ხომ ისე მოულოდნელად მოხდა! «ეს კომმარია, სიზმარი! – ფიქრობს იგი. – არაფერი შეცვლილა, სრულიად არაფერი. განა ეს ბანანის ჭალა მისი არ არის? განა ყოველდღე აქ არ მოდიოდა მის გასაწმენდად? განა ვინმე მასზე უკეთ იცნობს ამ მიწას? იგი მშვენივრად ხედავს თავის ძლიერ გამეჩხერებულ ნაკვეთს, ხედავს, როგორ იწვის მზეზე ფართო ფოთლები, აი ისინი, ეს ქარით დაფლეთილი

ფოთლები. ახლა ისინი არ ირხევა. შუადღეზე ყოველთვის დგება დროებითი მყუდროება; მალე, ალბათ, თორმეტი გახდება».

იქ კი, ზემოთ – მისი სახლის წითელი სახურავია. მკვრივ მიწაზე მწოლიარე ადამიანი ხედავს მას ბანანების ღეროებსა და ფოთლებს შორის. მარცხნივ ბუნდოვნად არჩევს დარიჩინის ბუჩქნარსა და ნაყარს, მეტს ვერაფერს ხედავს, მაგრამ კარგად იცის, რომ მის ზურგს უკან ახალი ნავსაყუდელისკენ მიმავალი გზაა; ხოლო თუ იმ ადგილიდან, სადაც ახლა მისი თავი განისვენებს, ქვემოთ დაემშვები, ხეობაში ამოყოფ თავს, რომლის სიღრმეშიც ტბასავით თვლემს

პარანა. არაფერი შეცვლილა, ყველაფერი ძველებურადაა: გავარვარებული მზე, უდაბნოს მთრთოლვარე ჰაერი, უძრავი ბანანები და ღობის მაღალი სქელი ბოძები, რომელიც უნდა შეეცვალა.

სიკვდილი! არა, შეუძლებელია! განა არ ჰგავს ეს დღე ყველა დანარჩენს, როცა გარიჟრაჟზე ის შინიდან მაჩეტით ხელში გამოდიოდა? განა მისგან ძველებურად ოთხ მეტრში არ დგას მისი ცხენი, შუბლზე თეთრი ლაქა რომ ამშვენებს და ფრთხილად ყნოსავს მავთულხლართს?

რა თქმა უნდა! ვიღაც უსტვენს... ის ვერ ხედავს, ვინ, გზისკენ ხომ ზურგით წევს, მაგრამ ესმის ბოგირზე ცხენის ფლოქვების თქარათქური... ეს ის ბიჭუნაა, რომელიც ყოველ დილით, თორმეტის ნახევარზე, ახალი ნავსადგურისკენ მიდის. ის ყოველთვის უსტვენს...

ადამიანი წაღებით თითქმის ეხება ავბედით შემოგლეჯილ ბოძს. ამ ბოძიდან ბუჩქნარის ცოცხალ ღობემდე – ბანანის ჭალისა და გზის საზღვარზე – თხუთმეტი მეტრია. მან ეს კარგად იცის – თვითონ გაზომა მანძილი, როდესაც ღობეს დგამდა.

მაინც რა მოხდა? განა ეს ჩვეულებრივი შუადღე არ არის მისიონესში¹⁶⁶, მისი სამოვარი, მისი შეთხელებული ბანანის ჭალა? რასაკვირველია! ჩვეულებრივი შუადღეა! გრამილიას მოკლე ღეროები, ჭიანჭველათა ბუდეების კონუსები, სიჩუმე, მზე, რომელიც გამდნარ ტყვიას ჰგავს...

არაფერი, არაფერი არ შეცვლილა. მხოლოდ თვითონ შეიცვალა. ახლა გარესამყაროსთან აღარაფერი აკავშირებს. არც სამოვარს, რომელსაც იგი ხუთი თვე თოხით ამუშავებდა, არც ბანანებს, რომლებიც მან საკუთარი ხელით დარგო, არც მის ოჯახს მასთან არავითარი ურთიერთობა აღარ აქვს. კრიალა ქერქის ნაჭერმა და დანამ, რომელმაც მუცელი გაუხვრიტა, საოცარი სიმსუბუქით გამოგლიჯეს იგი ცხოვრებას. სულ ორიოდე წუთის წინ. და აი ის კვდება.

ადამიანი გრამილიაში მარჯვენა გვერდზე იწვა. გრძნობდა, როგორ კარგავდა ძალას, მაგრამ მაინც არ ნებდებოდა...

მას არ სურდა შერიგებოდა, რაც ადამიანური გონების მიღმაა და ასე განსხვავდება ჩვეული განზომილი ცხოვრებისგან. მან კარგად იცის, ახლა რომელი საათია: თორმეტის ნახევარი... ბიჭუნა ყოველთვის ამ დროს გადადის ხიდზე...

როგორ შეიძლებაოდა ფეხი დაცდენოდა!.. კარგად ახსოვს, მაჩეტეს ტარით (უკვე დიდი ხანია დროა შეცვალოს ეს ძველი მოუქნელი დანა) როგორ მიაწვა მავთულხლართს. მას, ვინც ათი წელი იცხოვრა ტყეში, კარგად მოეხსენება, როგორ იხმაროს მაჩეტე. უბრალოდ, ის დღეს ძალიან დაიღალა და, ჩვეულებრივ, წუთით დასასვენებლად წამოწვა.

იქნებ მტკიცებულებებია საჭირო? მაშ, გრამილიას ღეროები, პირში რომ უძვრება? განა მან არ ამოთხარა მიწაში ორმოები ერთმანეთისგან თითო მეტრის დაშორებით და იქ გრამილიას თესლები არ ჩაყარა? და ეს ბაბანის ჭალა, განა მას არ ეკუთვნის, და ეს ცხენი, ყურებდაცქვეტილი რომ ფრუტუნებს? ცხენი მშვენივრად ხედავს ადამიანს, მაგრამ ვერ გაბედავს ლობეს შემოუაროს, რადგან მისი პატრონი ბოდის ძირას გაშოტილა. ისიც კარგად ხედავს მას, ამჩნევს, ოფლის მუქი წვეთები როგორ ჩამოსდის ცხენს ზურგსა და გავაზე. მზე გადამდნარ ტყვიად იღვრება, ირგვლივ კი საზეიმო სიჩუმე გამეფებულა, ბანანის ფოთლებიც კი არ ირხევა. ასეთ დღეებში ადრეც იგივეს აკვირდებოდა.

...არა, ის უბრალოდ ძალზე დაიღალა და ახლა ისვენებს. ალბათ, უკვე რამდენიმე წუთი გავიდა, ხოლო თორმეტს რომ თხუთმეტი დააკლდება, ზევიდან, წითელსახურავიანი სახლიდან მისი ცოლი და ორი ბავშვი გამოვა. ისინი ბანანის ჭალისკენ წამოვლენ, რათა მამა სასაუზმოდ მიიწვიონ. სხვებზე ადრე ის ყოველთვის უმცროსი ვაჟიშვილის ხმას არჩევს, რომელიც ყვირილით: «მამიკო! მამიკო!» – დედის ხელებისგან თავის დაღწევას ლამობს.

ასეც არის... მისი ხმაა! მას კარგად ესმის. მამასადამე, საუზმობის დროა. არა, მას მართლაც ესმის შვილის ხმა...

რა კომმარია!.. ეს ხომ ჩვეულებრივი დღეა, ერთ-ერთი უამრავ ასეთ დღეთა შორის, ეს უთუოდ ასეა! თვალისმომჭრელი სინათლე, მოყვითალო ლანდები და ხვატი... და მდუმარება. ისე ცხელა, თითქოს გახურებულ ღუმელზე ზიხარ. ცხენი კი უძრავად დგას და ოფლად იღვრება...

...ოჰ, როგორ დაიღალა... შუადღით რამდენჯერ გადაუკვეთავს ეს სამოვარი, როცა შინ ბრუნდებოდა! აქ როდესაც მოვიდა, ამ ადგილას ხშირი შამბნარი იყო, ხოლო უფრო ადრე – უღრანი ტყე! და მაშინ, როცა ძირფესვიანად თხრიდა შამბნარს, შინ მაშინაც ძალზე დაღლილი ბრუნდებოდა. ნელა მიუყვებოდა გზას, მაჩეტეთი მარცხენა ხელში.

შეუძლია წარმოიდგინოს კიდეც, თითქოს შინისკენ მიემართება; და რათა წუთით მაინც დააღწიოს თავი სიკვდილზე ფიქრს, წარმოისახოს, თითქოს ყორის სიმაღლიდან, რომელიც თვითონვე ააგო, ჩვეულ სურათს აკვირდება: ქვიან ვულკანურ ნიადაგს, რომელზეც ეკლიანი გრამაა¹⁷¹ დათესილი, ბანანებსა და მათ ქვემოთ წითელ ქვიშას, პატარა მავთულის ლობეს ბორცვის ფერდობზე, რომელიც გზისკენ უხვევს, ხოლო კიდეც უფრო შორს – სამოვარს, მის ნახელავს და დაკაწრული ბოდის ძირას, გრამილიაში – ადამიანის პატარა მოუქნელ ფიგურას, რომელიც ძალიან დაიღალა და ახლა ისვენებს. ეს თვითონაა – მარჯვენა ფერდზე წევს, ფეხებმოკეცილი, თავის ჩვეულ პოზაში...

ცხენი კი, ყურებდაცქვეტილი რომ გარინდულა ღობესთან, ასევე ხედავს მიწაზე გაშობილ ადამიანს. დრუნჩს ილოკავს, უნდა რომ ღობეს შემოუაროს, მაგრამ ეშინია... აი, სულ ახლოს ისმის ხმა: «მამიკო!» ცხენი თავს აბრუნებს გრამილიაში მყოფი მოუხეშავი ფიგურისკენ და დიდხანს, დიდხანს დგას ყურებდაცქვეტილი: საბოლოოდ დამშვიდებული, ზედავს გაიაროს ბოძსა და მწოლიარე ადამიანს შორის, მან ხომ, ბოლოს და ბოლოს, მართლა დაისვენა...

ველური თაფლი

სალტოში¹⁸¹ ორი ძმისწული მყავს, ამჟამად უკვე მოზრდილები, რომლებსაც თორმეტი წლის ასაკში, ჟიულ ვერნის ნაწარმოებებით გატაცებულეს, ბრწყინვალე აზრი მოუვიდათ – მიეტოვებინათ მშობლიური სახლი და ჯუნგლებში დასახლებულიყვნენ. ქალაქიდან ჯუნგლებამდე რამდენიმე კილომეტრი იყო. იქ რობინზონებისა აპირებდნენ ცხოვრებას, ნადირობითა და თევზჭერით. მართალია, არც ერთს არ უფიქრია თოფი ან ანკესი წაეღო თან, მაგრამ, ასე თუ ისე, მათ წინაშე ტყე გადაშლილიყო, მიმზიდველი თავისუფლებითა და მომაჯადოებელი საშიშროებებით სავსე.

საუბედუროდ, ბიჭები მეორე დღესვე იპოვეს შეშინებულმა ახლობლებმა. ორივე ჯერ კიდევ ექსტაზში იყო, თუმცა სახეზე ფერი აღარ ედოთ. ახალგამომცხვარი რობინზონების თავგადასავალი უფრო წარმტაცი შეიძლებოდა გამომდგარიყო, თავიანთი საგმირო საქმეებისთვის საცხოვრებლად ნაკლებად ვარგისი ტყე რომ შეერჩიათ. მაგალითად, აქ, მისიონესში, ბუნების წიაღში უბრალო გასეირნებამ საკმაოდ ღრმად შეიძლება შეგიტყუოთ, როგორც ეს გაბრიელ ბენინკასას შემთხვა, რომელმაც თავისი ახალი მაღალყელიანი ჩექმის შემოწმება გადაწყვიტა, რითაც ძალზე ამაყობდა.

ბენინკასამ დაასრულა თავისი განათლება საფინანსო ანგარიშის დარგში და სელვის ცხოვრების გაცნობის უეცარი სურვილი მოეძალა. ეს მისი ტემპერამენტის ბრალი სულაც არ ყოფილა; ბენინკასა წყნარი წითელლოყება ახალგაზრდა სქელუა გახლდათ, ჯანმრთელობას არ უჩიოდა და საკმაოდ გონიერი იყო, რათა რძიანი ჩაისა და ნამცხვრებისთვის მიენიჭებინა უპირატესობა ტყის შემთხვევით და ჯოჯობხეთურ საკვებთან შედარებით, მაგრამ როგორც ზნეკეთილი ბერბიჭა თავის მოვალეობად მიიჩნევს, ქორწინების წინ გამოემშვიდობოს თავისუფალ ცხოვრებას და ღამის ორგისა აწყობს ახლო მეგობართა კამპანიაში, ზუსტად ასევე გადაწყვიტა ბენინკასამ თავისი მონოტონური არსებობა ორი-სამი მწვავე თავგადასავლით გამოეცოცხლებინა.

ამ მიზნით იგი პარანას ზემო წელში გაემართა ერთ-ერთი ხეტყის სახერხისკენ, თავისი მდიდრული მაღალყელიანი ჩექმის ელვარებით.

მან ისინი ქალაქიდან გასვლისთანავე ჩაიცვა, რადგან ნაპირზე მოფუთფუთე კაიმანების დანახვაზე გული გადაუქანდა; თუმცა ჩექმას მოანგარიშე საკმაოდ ფაქიზად ეპყრობოდა, ცდილობდა არ დაეჩხაპნა და არ დაესვარა.

ბენინკასამ ასე მიაღწია თავისი ნათლის სახერხს, რომელმაც მაშინვე დააცხრო მისი ჟინი.

- საით გაგიწევია? – ჰკითხა გაცეხულმა ნათლიამ.
- ტყეში, ცოტას გავისეირნებ, – უპასუხა ბენინკასამ და ვინჩესტერი მხარზე გადაიგდო.
- გონს მოდი, შე საწყალო! იქ ერთ ნაბიჯსაც ვერ გადადგამ, თუ გინდა, განაკაფზე ისეირნე, ანდა ყველას ჯობს დაიცადო, ხვალ კი ერთ-ერთ პეონს¹⁹¹ გაგაყოლებ.

და ბენინკასამაც გადაიფიქრა სეირნობა. ამის მიუხედავად, ტყის პირამდე მაინც მივიდა, ცოტა ხანს მოიცადა, შემდეგ გაუბედავად სცადა შიგ შესულიყო, მაგრამ უკან დაიხია და გაირინდა. ჯიბეებში ხელეზმობილი ყურადღებით აკვირდებოდა გაუვალ უღრანს და რაღაც უცნობ მოტივს ჩუმად უსტვენდა. შემდეგ კიდევ ერთხელ მოავლო თვალი ტყეს და სახლში დაბრუნდა. თავს იმედგაცრუებულად გრძნობდა.

მომდევნო დღეს ცენტრალური განაკავით სელვაში კარგა ღრმად შევიდა და თუმცა თოფი არც ამჯერად გამოუყენებია, სეირნობით მაინც კმაყოფილი დარჩა. ველური მხეცები კიდევ გამოჩნდებიან, მოთმინებაა საჭირო...

და მართლაც, ისინი მეორე ღამეს გამოჩნდნენ, თუმცა ეს საკმაოდ უჩვეულოდ მოხდა...

ბენინკასას ღრმად ეძინა, როცა ის ნათლიამ გააღვიძა.

– ჰეი, ძილისგულა! ადექი, სწრაფად! თორემ ცოცხლად შეგჭამენ.

ბენინკასა სწრაფად წამოჯდა საწოლზე და უაზროდ მიაშტერდა ოთახში მოფარფატე ფარნების შუქს; ნათლია და ორი პეონი იატაკზე რაღაცას ასხურებდნენ.

– რაშია საქმე? რა მოხდა? – წამოხტა ბენინკასა.

– ისეთი არაფერი... ფეხებს გაუფრთხილდი... «შავი ჭირი» მოდის.

ბენინკასას უკვე გაეგონა იმ ჭიანჭველების შესახებ, რომლებსაც «შავ ჭირს» ეძახიან. ეს მცირე ზომის, შავი, მზინვარე მწერები, ჩვეულებრივ, ერთიან, საკმაოდ ფართო ნაკადებად მოძრაობენ. უმთავრესად ხორციით იკვებებიან. მათი ურდოები ყველაფერს ჭამენ, რაც კი გზაზე ხვდებათ: ობობებს, კალიებს, მორიელებს, გომბეშოებს, გველებს, ნებისმიერ ცოცხალ ქმნილებას, რომელსაც წინააღმდეგობის გაწევა არ შეუძლია. არ არსებობს ცხოველი, როგორი დიდი და ძლიერიც უნდა იყოს, რომ მათ არ გაურბოდეს. სახლებში მათ გამოჩენას შედეგად მოსდევს ყოველგვარი ცოცხალის სრული განადგურება, რადგან არ არსებობს ადგილი, სორო,

სადაც ეს ყოვლისმშთანთქმელი ზვავი ვერ შეაღწევს. ძაღლები ყმუიან, ხარები ბლავიან, ადამიანები იძულებით გარბიან სახლებიდან, თუკი რამდენიმე საათში პირწმინდად გამოხრულ ჩონჩხებად არ სურთ გადაქცევა. ჭიანჭველები ერთ ადგილზე შესაძლოა რამდენიმე დღეც კი დარჩნენ, რაც იმაზეა დამოკიდებული, თუ რამდენი მწერი, ხორცი ან ქონი აღმოჩნდება იქ და მხოლოდ ყველაფრის შთანთქმის შემდეგ ტოვებენ იმ ადგილს.

თუმცა, ისინი ვერ იტანენ კრეოლინსა^[20] და სხვა მსგავს ნივთიერებებს; ხოლო რადგანაც ხე-ტყის სახერხზე ის უხვად იყო, რანჩო სულ რაღაც ნახევარ საათში გაიწმინდა მომხდურთა ბრბოსაგან.

ბენინკასა ყურადღებით ათვალიერებდა ფეხზე ჭიანჭველების ნაკბენის ლილისფერ კვალს.

– კარგად კი ეჭიდებიან, – გაოცებით ჩაილაპარაკა მან, შემდეგ თავი ასწია და ნათლიას გახედა.

მაგრამ ნათლიასთვის ეს აღმოჩენა არაფერს ნიშნავდა. მას პასუხი არ გაუცია. მთავარი ის იყო, რომ ჭიანჭველების შემოსევა დროულად შეაჩერეს. ბენინკასა ისევ წამოწვა; მთელი ღამე ტროპიკული კოშმარები აწამებდა.

დილით ტყისკენ გაემართა და თან მაჩეტე წაიღო, რადგან იმ დასკვნამდე მივიდა, რომ ტყეში მსგავსი ინსტრუმენტი შესაძლოა უფრო მეტად გამოდგომოდა, ვიდრე თოფი. ეს დღე მისთვის დიდად წარმატებული არ ყოფილა. გზის გაკაფვისას სახე დაეკაწრა და ჩექმა გაეჭრა.

მოქუფრულმა და მდუმარე ტყემ მალე დაქანცა მოანგარიშე. ისეთი შთაბეჭდილება შეექმნა – და ალბათ, საკმაოდ სწორიც, – თითქოს დაცარიელებულ თეატრალურ სცენას შესცქეროდა. ტროპიკული მჩქეფარე ცხოვრებისგან მხოლოდ გარინდული დეკორაციები დარჩენილიყო: არსად ჩანდნენ არც მხეცები, არც ფრინველები, არსაიდან ხმა არ ისმოდა... უკანა გზაზე ბენინკასას ყურადღება ყრუ ზუზუნმა მიიქცია. მისგან ათიოდე ნაბიჯში, დამპალი ხის ფულუროს თავზე შარავანდედივით მოჩანდა ციცქნა ფუტკრები. იგი ფრთხილად მიუახლოვდა და ფულუროს სიღრმეში ათი თუ თორმეტი მუქი ფერის ქათმის კვერცხისოდენა გუნდა დაინახა.

– თაფლი! – დაიჩურჩულა მოანგარიშემ ჭემმარიტი ღორმუცელას ალტაცებით. – ამ ცვილის გუნდებში ნამდვილად თაფლია!..

მაგრამ იქვე უამრავი ფუტკარი ფუსფუსებდა. ბენინკასას კოცონი გაახსენდა: კარგი იქნება ისინი კვამლით მოიშოროს!.. მაგრამ ბედმა სხვაგვარად ინება: სანამ ეს გარგანტუა ნოტიო ფოთლებს

აგროვებდა, ხელზე მშვიდად დააჯდა რამდენიმე ფუტკარი. ბენინკასამ ერთი მათგანი სწრაფად გასრისა და აღმოაჩინა, რომ ფუტკარს ნესტარი არ ჰქონდა. მის ნერწყვში ბენინკასას ხელისგულზე თაფლის გამჭვირვალე წვეთმა გაიელვა. რა ჩინებული პატარები არიან!

მოანგარიშემ მყისვე მოგლიჯა ცვილის გუნდები, ხეს მცირე მანძილით დაშორდა, რათა ფუტკრების აბეზარი შეხება აეცილებინა თავიდან და წაქცეულ ხეზე ჩამოჯდა. თორმეტიდან მხოლოდ ხუთი გუნდა აღმოჩნდა მუქი, გამჭვირვალე თაფლით სავსე. მისი გასინჯვით ბენინკასამ დიდი სიამოვნება მიიღო, რაც მხოლოდ გურმანებისთვის არის ცნობილი. თაფლს აშკარად რაღაც განსაკუთრებული სურნელება ჰქონდა. მაგრამ როგორ? მოანგარიშეს ვერაფრით გაეგო. შესაძლოა, ეს ევკალიპტის ფისის ან რაიმე ხეხილის სუნი იყო. ამ სქელ თაფლს გემოც უცნაური, მწკლარტე ჰქონდა, მაგრამ სამაგიეროდ როგორი არომატი!..

ბენინკასა საქმეს შეუდგა. მას უბრალო გეგმა ჰქონდა: პირი დაელო და თაფლი წვეთწვეთობით ჩაესხა, მაგრამ თაფლი საკმაოდ სქელი აღმოჩნდა და ამიტომ ერთ ხანს ტყუილუბრალოდ მოუწია დაღებულ პირით ჯდომა. ბენინკასა იძულებული გახდა გაეფართოებინა გუნდაში გაკეთებული ნასვრეტი. მხოლოდ ამის შემდეგ გადმოედინა მუქი ბლანტი მასა არაქათგამოცლილი მოანგარიშის ენაზე.

ბენინკასამ ერთმანეთის მიყოლებით ჩაიპირქვა ხახაში ხუთივე გუნდა. იგი ამოდ ცდილობდა რაც შეიძლება დიდხანს გაეგრძელებინა ეს ნეტარება – თაფლი აღარ იყო! ამას, ბოლოს და ბოლოს, უნდა შერიგებოდა!

ამასობაში, დიდ ხნის განმავლობაში უკან გადაგდებული თავით ჯდომის შედეგად, მან მსუბუქი თავბრუსხვევა იგრძნო, მიყურდა და დაჭყეტილი თვალები ბნელ სელვას მოავლო. ხეები და მიწა თითქოს გამრუდდა. მან თავი გააქნია, სცადა დამახინჯებულ პეიზაჟს შეგუებოდა.

«რა ჯანდაბაა! – გაიფიქრა მოანგარიშემ. – ცუდი ისაა, რომ...»

წამოდგა და ნაბიჯის გადადგმა სცადა, მაგრამ იძულებული იყო ისევ წაქცეულ ხეზე დამჯდარიყო. თითქოს მთელი სხეული ტყვიით ავსებოდა, განსაკუთრებით ფეხები, რომლებიც ისე დამძიმებოდა, როგორც ძლიერი შემუშკების დროს იცის ხოლმე. ხელფეხზე ჟრუანტელი უვლიდა...

«უცნაურია, ძალიან უცნაური, – უაზროდ იმეორებდა ბენინკასა და ვერაფრით გაეგო თავისი უჩვეულო მდგომარეობის მიზეზი. – თითქოს, მთელ ტანზე ჭიანჭველები დაცოცავენ... ალბათ «შავი ჭირია», – გაიფიქრა მან. და უცებ შიშისგან სული შეუგუბდა.

«ეს თაფლი!.. შხამიანია!.. მე მოვიწამლე!»

როცა ბენინკასამ ისევ სცადა წამოდგომა, შიშისგან თმა ყალყზე დაუდგა: ხელ-ფეხი აღარ ემორჩილებოდა. ახლა ტყვიისებური სიმძიმე და ჟრუანტელი მთელ სხეულზე მოედო. საზარელმა აზრმა სრულ სიმარტოვეში სიკვდილის შესახებ, ტყეში, ოჯახისა და მეგობრებისგან შორს, მასში ყოველგვარი ინიციატივა ჩაკლა. «ახლა მოვკვდები!.. ცოტა კიდევ, და მოვკვდები!.. ხელი უკვე წამერთვა!»

თუმცა, პანიკით მოცულს არ შეეძლო არ შეენიშნა, რომ მას არც სული ეხუთებოდა, არც სიცხე ჰქონდა, გული და ფილტვები ნორმალურად მუშაობდნენ. მაშინ მისმა შიშმა სხვა სახე მიიღო.

«დამბლა დამეცა! ნამდვილი დამბლა! აქ ვერც მიპოვიან!» ძილის დაუძლეველი სურვილი ეძალებოდა და მის ყველა გრძნობას ახშობდა; თავბრუსხვევა ძლიერდებოდა. და ამ დროს ბენინკასას მოეჩვენა, რომ მიწა თანდათან მუქდებოდა და რაღაც უცნაურად მოძრაობდა... მას ისევ გაახსენდა «შავი ჭირი», საშინელმა აზრმა გაუელვა: მიწაზე მოფენილი შავი სუდარა იყო...

თავი აიძულა ამაზე არ ეფიქრა, მაგრამ უეცრად მკერდიდან ველური გაბმული ღრიალი აღმოხდა, რაც შემინებული ბავშვის წივილში გადაიზარდა: მისკენ სწრაფად მოიწევდა შავი ჭიანჭველების შეურყერებელი ნაკადი. გარშემო მიწა დაბნელდა სისხლისმსმელი «შავი ჭირისგან» და მოანგარიშემ იგრძნო, საცვლის ქვეშ როგორ მიძვრებოდნენ მისი ყოვლისმშთანმთქმელი ურდოები...

ორი დღის შემდეგ ნათლიამ, ბოლოს და ბოლოს, იპოვა წმინდად გამოხრული ჩონჩხი, რომელსაც ბენინკასას ტანსაცმლის ნაფლეთები შერჩენოდა. «შავი ჭირი», რომელიც

ჯერ კიდევ დაეხეტებოდა ამ ადგილებში და ცვილის ცარიელი გუნდები ნათლად მეტყველებდა დატრიალებულ დრამაზე.

ველურ თაფლს ყოველთვის არ გააჩნია გამაბრუებელი თვისებები, თუმცა ასეთი შემთხვევებიც ხდება. ტროპიკებში უამრავი ყვავილი ხარობს, რომელთა სურნელებამ შეიძლება მოადუნოს ან დააძინოს ადამიანი. მათი ნექტარი თაფლს განსაკუთრებულ გემოს ანიჭებს, ევკალიპტის ფისის გემოს, როგორც ეს ბენინკასას მოეჩვენა.

სამი ბარათი

სენიორ!

მე გადავწყვიტე გამოგიგზავნოთ ეს სტრიქონები იმ იმედით, რომ თქვენს თავზე აიღებთ მის რომელიმე ჟურნალში გამოქვეყნებას თქვენივე ხელმოწერით. მხოლოდ იმის გამო, რომ ვიცი, თუ რა ძნელია პუბლიკაციის მიღწევა, უფლება მივეცი ჩემს თავს ასეთი თხოვნით მოგმართოთ. ვგრძნობ, რომ ჩემს შთაბეჭდილებებს მამაკაცური სტილი უნდა მიეცეს და თუ თქვენ ამაზე თანხმობას განაცხადებთ, დიდად მადლიერი დაგრჩებით.

უკვე ხუთი წელია დღეში ორჯერ ერთი და იმავე მარშრუტით მიწევს ტრამვით მგზავრობა. ზოგჯერ მეგობრებთან ერთად ვბრუნდები, დილაობით კი ყოველთვის მარტო ვმგზავრობ. ჩემ შესახებ რა შემიძლია გითხრათ? ოცი წლის ვარ, მაღალი და ტანსრული. ოდნავ დიდი პირი მაქვს, თმა – სრულიად ჩვეულებრივი, მუქი ფერის. თვალები – ცოტა დიდრონი. ადვილი შესამჩნევია, რომ გარეგნობით არ გამოვიჩნევი და მაინც ვაძლევ ჩემს თავს უფლებას მრავალი მამაკაცი განვსაჯო, გავრისკავ კიდევ და ვიტყვი – «ყოველი მათგანი».

თქვენ, უთუოდ, კარგად მოგეხსენებათ, რომ არც ერთი მამაკაცი არ შევა ვაგონში, წინასწარ

ყველა ფანჯარა რომ არ შეათვალიეროს, საიდანაც მგზავრები მოჩანს. და მხოლოდ მას შემდეგ, რაც იგი ყველას დაათვალიერებს (რა თქმა უნდა, ქალთა სახეებს, მას ხომ სწორედ ისინი აინტერესებს), შედის და ჯდება.

მაშ ასე: იმავე წამებში, როცა მამაკაცი ტროტუარიდან ვაგონს უახლოვდება და შიგნით იცქირება, მე უშეცდომოდ ვხვდები, ადამიანთა რომელ ყაიდას განეკუთვნება იგი. მაშინვე ვარკვევ, სოლიდური ადამიანია თუ ერთ-ერთი იმათგანი, ვისაც ბილეთში გადახდილ ათ სენტავოდ დამატებით წუთიერი გამარჯვების მოპოვებაც სურს. მყისვე ვარჩევ იმ ადამიანებს, რომლებიც მხოლოდ იმაზე ფიქრობენ, მოხერხებულად როგორ მოკალათდნენ, და იმათ, რომლებიც მზად არიან ყველაფერი გაცვალონ რომელიმე გოგონას გვერდით მგზავრობის სიამოვნებაზე.

ხოლო როცა ჩემ გვერდითაა ადგილი თავისუფალი, საკმარისია ერთი თვალის შევლება და უკვე წინასწარ უშეცდომოდ ვხვდები, ვის სურს მათგან უბრალოდ ნებისმიერ თავისუფალ ადგილზე დაჯდომა და ვისთვის არ არის სულ ერთი გარემო (ასეთები, როდესაც მოხერხებულად მოკალათდებიან, აუცილებლად იწყებენ

გოგონების შეთვალეობას), და ბოლოს, ვინ აღმოჩნდება ყველაზე გაბედული (ესენი არც კი აქცევენ ყურადღებას სხვა თავისუფალ ადგილებს, ისე იკაფავენ გზას ვაგონის სიღრმისკენ, რათა ჩემ გვერდით აღმოჩნდნენ).

რასაკვირველია, ყველაზე საინტერესო ტიპები ეს უკანასკნელები არიან! ასეთ შემთხვევებში (ამით არ მინდა მაგალითი მივცე გოგონებს, რომლებიც ასევე მარტო მგზავრობენ) ადგილს არასოდეს ვიცვლი; უბრალოდ ფანჯრისკენ გავიწევი, ის საბრალო მშვიდად რომ მოთავსდეს.

მშვიდად რომ მოთავსდეს!.. ამაზე ლაპარაკიც არ არის. არასოდეს მომხდარა, რომ მეზობელი სკამის იმ სამი მეოთხედით დაკმაყოფილებულიყო, რაც მისთვის გოგონამ გაათავისუფლა. ეს სენიორი ჯერ გამუდმებით ცმუკავს, თითქოს ნემსებზე ზის, შემდეგ უეცრად ირინდება. გიკვირთ კიდევ, რამ გააშეშა. მაგრამ ამ უძრაობას ნუ დაუჯერებთ! ყურადღებით დააკვირდით და ადვილად შეამჩნევთ, რომ სენიორის სხეული მომხიბლავი სინარნარით მოძრაობს გოგონას მიმართულებით, რომელიც ფანჯარასთან მოკალათებულა. ამასთან, უნდა ვაღიაროთ, რომ «ადამის მოდგმა» შესანიშნავად ახერხებს ღრმად ჩაფიქრებული გამომეტყველების შენარჩუნებას, ცდილობს თავი მოაჩვენოს, რომ სულაც არ აინტერესებს თავისი თანამგზავრი.

ასეთები ბრძანდებით ყველანი; თქვენი შემხედვარე უნებურად გაიფიქრებ, რომ ზოგადსაკაცობრიო პრობლემათა გადაწყვეტით ხართ დაკავებული. ამასობაში კი თქვენი მარჯვენა (ან მარცხენა) ფეხი ოდნავ შესამჩნევად მიცოცავს დასახული გზით. გულახდილად რომ გითხრათ, მე დიდი სიამოვნებით ვაკვირდები თქვენს ხრიკებს. ჩემთვის თვალის ერთი შევლებაც საკმარისია ჩემი მეზობლის თვისებათა შესაფასებლად. გარკვევით ვხედავ, ვინ არის

ჩემ წინაშე: მორცხვი ყმაწვილი თუ მოურიდებელი თავხედი, სოლიდური რეციდივისტი თუ წვრილფეხა თაღლითი, გამოცდილი ლოველასი თუ დაუღვინებელი ახალბედა. ერთი ნახვით შეიძლება მოგეჩვენოთ, რომ სპექტაკლში მხოლოდ ერთი მსახიობი მონაწილეობს და რომ ვერავინ ამჩნევს, როგორი სიფრთხილით (ამ დროს ცდილობს შეინარჩუნოს სახის გულგრილი გამომეტყველება) აჩოჩებს თავის ფეხს. მაგრამ ასე არ არის! და არც ისეთი გოგონა არსებობს, რომელიც ამას ვერ ხედავს. ნებისმიერ ჩვენგანს შეუძლია კარგი თავდაცვა. ყველაზე ხშირად ჩემი თანამგზავრები თავიანთი მოქმედებით წვრილმან ქურდბაცაცებს მაგონებენ, – განსაკუთრებით, თუ ისინი ძალზე ახალგაზრდები ან ცუდად ჩაცმულები არიან.

მათი ტაქტიკა უცვლელია. უპირველეს ყოვლისა – უეცარი გაშეშება და რაღაც წერტილზე მიშტერება. შემდეგ სწრაფი გამოხედვა ჩემკენ, ჩვენი გამყოფი მანძილის გასარკვევად. კოორდინატების დადგენის შემდეგ იწყება შეტევა.

ჩემი ვარაუდით, ძნელია იმაზე უფრო წარმტაცი საქმის დასახელება, ვიდრე ფეხის რთულ მანევრზე დაკვირვებაა, რომელიც ოსტატურად, წვერიდან ქუსლამდე, მთელი ტერფის გამოყენებით მიიწევს დასახული მიზნისკენ. ჩვენ ხშირად ვაწყდებით სხვადასხვა სასაცილო სიტუაციას, მაგრამ სცადეთ წარმოიდგინოთ, როგორ გამოიყურება შორიდან ეს თავშესაქცევი თამაში, სადაც ჩართულია ორმოცდაოთხი ზომის ფეხსაცმელი და მათი პატრონის ეს

გამოყეყეჩებული (ცხადია, ჭარბი ემოციებისგან) სახე, – და თქვენ მიხვდებით, რა უბადლო და სასაცილო სანახაობაა!

არ იფიქროთ, რომ ამით ყველაფერი მთავრდება! ახლა შევეცდები აგიხსნათ, რა ხდება შემდეგ.

როგორც კი ახერხებს ჩემი მეზობელი დიდი სიზუსტით განსაზღვროს ის მანძილი, რაც მისმა ფეხმა უნდა გაიაროს, იგი ცდილობს აღარ ჩაიხედოს ქვევით. მას აღარ სჭირდება ასეთი რისკი, რადგან დარწმუნებულია თავის გათვლებში. ამასთან (ეს სწორად გამიგეთ), მთელი ეშხი დანახვაში კი არა, შეხებაშია!

და აი, როცა პატივცემული სენიორი უკვე შუა გზაზეა, მე იგივე მანევრს ვიწყებ, ისეთივე სიფრთხილითა და სახის იმავე უმანკო გამომეტყველებით, რითაც აქამდე იგი სარგებლობდა. და ფეხსაც იგივე მიმართულებით ვამოდრავებ. ამ შემთხვევაში ათი სანტიმეტრი სრულიად საკმარისია.

ახლა წარმოიდგინეთ ჩემი მეზობლის განცვიფრება, რომელიც დანიშნულების ადგილზე მიღწევისას ვერაფერს აღმოაჩენს. ვერაფერს! მისი ორმოცდაოთხი ზომის ფეხსაცმელი – სამწუხარო მარტოობაშია, ეს კი უკვე მეტისმეტია! ელვისებური მზერა იატაკზე, შემდეგ –

ჩემკენ. მე კი, ფანჯარას მიშტერებული, დინჯად ვაგრძელებ თვალთვალს, უამრავი ფიქრით აფორიაქებული, რომლებსაც აქედან ათასობით მიღზე გადავყავარ. და მაინც ჩემს მეზობელს ყველაფერი კარგად ესმის. ჩვიდმეტიდან თხუთმეტ შემთხვევაში (ამ ციფრს საკუთარი გამოცდილებით ვასახელებ) უიღბლო სენიორი ფარ-ხმალს ყრიდა. მხოლოდ ორ შემთხვევაში მომიხდა ისინი გამაფრთხილებელი მზერით შემეჩერებინა. არ არის აუცილებელი ეს მზერა ბრძანებას, აღშფოთებას ან ზიზღს გამოხატავდეს. საკმარისია თავის მსუბუქი მოძრაობა თავხედის მიმართულებით, მისკენ გახედვა – და არავითარ შემთხვევაში მასზე შეხედვა. ხომ შეიძლება ეს ყმაწვილი შემთხვევით მართლა მოგეწონოს. წვრილმანი თაღლითის ნიღბით ზოგჯერ საშიში დამნაშავე სარგებლობს და ეს იციან არა მარტო დიდი ბანკების მოლარეებმა, არამედ არც ისე გამხდარმა გოგონებმა, რომლებსაც ოდნავ დიდი პირი, მუქი თმა და დიდრონი თვალები აქვთ, ისევე, როგორც თქვენს მონა-მორჩილს. მ.რ.

სენიორიტა!

ულრმესი მადლობა მინდა გადაგიხადოთ მონიჭებული სიამოვნებისთვის. გპირდებით

შევასრულო თქვენი თხოვნა და ყველაფერი გავაკეთო, რათა ეს საამური შენიშვნები რომელიმე ჟურნალში ჩემი ხელმოწერით გამოქვეყნდეს. ამასთან, მე, მხოლოდ და მხოლოდ როგორც მომავალი სტატიის თანაავტორს, ერთი კითხვა მიჩნდება:

ნუთუ თქვენ, იმ კონკრეტული ჩვიდმეტი შემთხვევის გარდა, რომლებსაც მოიხსენიებთ, არ გამოგიცდიათ რაღაც სიმჰათიის გრძნობის მსგავსი თქვენი თანამგზავრის მიმართ, იქნებოდა იგი მაღალი თუ დაბალი, ქერა თუ შავგვრემანი, ჩასკვნილი თუ გამხდარი? ნუთუ არასოდეს გიგრძნიათ თუნდაც წუთიერი თრთოლვა

– დაე ძალზე სწრაფწარმავალი, რომელიც გაიძულებდათ თავისთვის ძალა დაგეტანებინათ და ფეხი არ გაგეწიათ? აი, სულ ეს არის, რაც მინდოდა მცოდნოდა. ო.კ.

სენიორ!

ვალდარებ, ერთხელ, ერთადერთხელ ჩემს სიცოცხლეში მე სწორედ ის თრთოლვა ვიგრძენი, რასაც თქვენ აღნიშნავთ, და მივხვდი, რომ სულაც არ მინდა ფეხის მონაცვლება. ეს თქვენ გამო მოხდა, მაგრამ აზრადაც არ მოგსვლიათ ამით გესარგებლათ.

მ.რ.

მელოტი თუთიყუში

ოდესღაც ტყეში თუთიყუშების გუნდი ცხოვრობდა.

ისინი ყოველ დილით მიფრინავდნენ მეზობელ მინდორში სიმინდის ასაკენკად, ხოლო სადილად ფორთოხლებს მიირთმევდნენ. ჩვეულებრივ, ძალიან ხმაურობდნენ და ყვიროდნენ, ხოლო ერთ-ერთი მათგანი ყოველთვის ყველაზე მაღალ ხეზე დასკუპდებოდა და გუშაგივით ზვერაავდა გარემოს.

თუთიყუშები კალიებზე უარესები არიან, რადგან მარცვლების ამოკორტნის დროს ისინი სიმინდის ნორჩ ტაროებს გლეჯენ, რომლებიც შემდეგ, წვიმების დაწყებისთანავე ლპება. გარდა ამისა, თუთიყუშებს ძალიან გემრიელი ხორცი აქვთ, ამიტომ პეონები მათზე ხშირად ნადირობენ.

ერთხელ ერთმა პეონმა მარჯვე გასროლით გუშაგ თუთიყუშს მოარტყა, რომელიც მიწაზე დავარდა და თუმცა დაჭრილი იყო, დიდხანს იბრძოდა, არ უნდოდა ტყვედ ჩავარდნა. პეონმა ფრინველი სახლში წაიყვანა და თავისი ბატონის შვილებს გადასცა, ბავშვებმა კი მოარჩინეს თუთიყუში, რომელსაც მხოლოდ ფრთა ჰქონდა მოტეხილი. თუთიყუში გამომჯობინდა და

მთლად მოშინაურდა. მას პედრიტო დაარქვეს. მან ფრთის ჩამორთმევა ისწავლა და ძალიან უყვარდა ადამიანების მხრებზე დაჯდომა და ნისკარტით ყურის უკან ოდნავ ღიტიანი.

იგი თავისუფლად ცხოვრობდა და თითქმის მთელ დღეს ბაღში ატარებდა, ფორთოხლის ხეებსა და ევკალიპტებზე. გარდა ამისა, ძალიან უყვარდა ქათმების გაბრაზება. ხუთი საათისთვის, როცა სახლში, ჩვეულებრივ, ჩაის სვამდნენ, თუთიყუში ოჯახის წევრებთან ერთად სასადილო ოთახში მიიჩქაროდა და მაგიდაზე დასკუპდებოდა, სადაც მისთვის ყოველთვის მზად იყო რძეში დასველებული პური. ყველაზე მეტად კი მას რძიანი ჩაი უყვარდა.

პედრიტო ისე დაუმეგობრდა ბავშვებს და ისინიც იმდენს ელაქლაქებოდნენ, რომ თუთიყუშმა მალე ლაპარაკი ისწავლა. ის ასე ყვიროდა: «დილა მშვიდობისა, სულლელო! კარ-რ-რტო-ფილი კარ-რ-რგია! მიეცით პედრ-რ-რიტოს კარ-რ-რტოფილი!» ისეთ სიტყვებსაც ხმარობდა, რომელთა გამეორებაც არ შეიძლება. თუთიყუშები ხომ, ბავშვებივით, ადვილად სწავლობენ ცუდ სიტყვებს.

წვიმის დროს პედრიტო ბუმბულებს გაშლიდა და დიდხანს ჩუმად ესაუბრებოდა თავის თავს, ხოლო როცა გამოიდარებდა, წინ და უკან იწყებდა ფრენას და გიჟივით ყვიროდა.

ის, როგორც ხედავთ, ძალიან ბედნიერი თუთიყუში იყო და ნანატრი თავისუფლების გარდა, რაზეც ყველა ფრთოსანი ოცნებობს, ჰქონდა, როგორც ყველა შეძლებულ ადამიანს, თავისი საკუთარი five o'clock tea²¹.

ერთხელ ისე მოხდა, რომ ხუთი ავდრიანი დღის შემდეგ უცებ მზემ გამოანათა. პედრიტო ყვირილით გაფრინდა ბაღში:

– კარ-რ-რგი სალამოა, პედრ-რ-რიტო. კარ-რ-რტოფილი კარგია. გამარ-რ-ჯობა პედრიტო! – და გაფრინდა შორს, ძალიან შორს, სანამ სადღაც ქვემოთ, დაბლა მდინარე პარანა დაინახა, რომელიც ზემოდან განიერ თეთრ ლენტს ჰგავდა. ის კი მიფრინავდა და მიფრინავდა, სანამ საბოლოოდ არ დაეშვა რომელიღაც ხეზე სულის მოსათქმელად.

და უცებ ტოტებს შორის, ქვემოთ, ორი მწვანე ჩირაღდანი დაინახა, რომლებიც უზარმაზარ ციციანათელებს ჰგავდნენ.

«რა არის? – გაიფიქრა თუთიყუშმა. – კარ-რ-რტოფილი კარ-რ-რგია!.. ეს რა არის? დილა მშვიდობისა, პედრ-რ-რიტო!..» იგი, ისევე როგორც ყველა თუთიყუში, მუდამ უაზროდ ლაქლაქებდა და ზოგჯერ მისი გაგება ძალიან ძნელი იყო. ხოლო რადგანაც ძალზე

ცნობისმოყვარე გახლდათ, ტოტიდან ტოტზე დაიწყო დაშვება, სანამ მიწასთან სულ ახლოს არ აღმოჩნდა. მაშინ კი დაინახა, რომ ორი მწვანე ჩირაღდანი იაგუარის თვალელები იყო, რომელიც ხის ქვეშ განაბულიყო და მას მიშტერებოდა.

მაგრამ პედრიტო ისეთ კარგ ხასიათზე გახლდათ, რომ სულაც არ შეშინებია.

– გამარჯობა, იაგუარო, – თქვა მან. – გამარ-რ-ჯობა, პედრ-რ-რიტო.

და იაგუარმაც ისეთი საშინელი და ხრინწიანი ხმით, როგორი ხმითაც ლაპარაკობენ ყოველთვის იაგუარები, უპასუხა: «გამა-რ-რ-ჯობა!»

– გამარჯობა, იაგუარო, – გაიმეორა თუთიყუშმა. – კარ-რ-რტოფილი კარ-რ-რგია!.. კარ-რ-რტოფილი კარ-რ-რგია!.. კარ-რ-რტოფილი კარ-რ-რგია!..

და ის დაულალავად იმეორებდა: «კარტოფილი კარგია!» – რადგან უკვე ოთხი საათი იყო და ძალიან მოუნდა ჭამა. სულ დაავიწყდა, რომ გარეული ცხოველები რძიან ჩაის არ სვამენ და იაგუარი ფინჯან ჩაიზე მიიწვია.

– ჩაი კარგია, რძე კარგია! – თქვა მან. – გამარჯობა, პედრ-რ-რიტო, გამარჯობა იაგუარო!.. გინდა ფინჯანი ჩაი? ჩაი კარ-რ-რგია, რძე კარ-რ-რგია!

მაგრამ იაგუარი ძალიან გაბრაზდა, ეგონა, რომ თუთიყუში დასცინოდა და რადგან ამასთან მშვიერიც იყო, ყბედი ჩიტის შეჭმა გადაწყვიტა. ამიტომ ასე უპასუხა:

– კარგი! ახლოს მოფრინდი, მეგობარო, ცუდად მესმის! იაგუარს ძალიან კარგად ესმოდა, უბრალოდ უნდოდა თუთიყუში უფრო ახლოს მიეტყუებინა, რათა ადვილად ეტაცა თათი. თუთიყუში კი მხოლოდ იმაზე ფიქრობდა, თუ როგორ გაუხარდებოდა სახლში ყველას, როდესაც ის რძიანი ჩაის დასალევად ასეთ ბრწყინვალე მეგობართან ერთად დაბრუნდებოდა. და ის მეორე ტოტზე გადაჯდა, იაგუართან უფრო ახლოს.

– კარ-რ-რტოფილი კარ-რ-რგია! – გაიმეორა მან რაც შეეძლო ხმამაღლა.

– ახლოს მოიწი! აბა! – უპასუხა იაგუარმა თავისი ხრინწიანი ხმით. თუთიყუში ახლოს მიფრინდა და თქვა: – ჩაი კარ-რ-რგია, რძე კარ-რ-რგია!

– ახლოს მოფრინდი! – გაიმეორა იაგუარმა.

საბრალო თუთიყუში სულ ახლოს მიფრინდა და ამ მომენტში იაგუარი ისე მაღლა ახტა, რომ მთელ სახლს გადაახტებოდა და თავისი ბასრი ბრჭყალებით შეიპყრო პედრიტო. მან თუთიყუშის მოკვლავერ მოახერხა, მაგრამ ზურგზე მთელი ბუმბულები ამოგლიჯა და კუდი მოაძრო. პედრიტოს კუდში ერთი ბუმბულიც აღარ დარჩა.

– აჰა შენი ჩაი! – დაიღრინა იაგუარმა. – აჰა შენი რძიანი ჩაი!..

თუთიყუშმა ტკივილისა და შიშისგან ხმამაღლა დაიყვირა და სასწრაფოდ გაფრინდა. მაგრამ ფრენა ძალიან გაუჭირდა, რადგან კუდი აღარ ჰქონდა, რომელსაც ფრინველები საჭის ნაცვლად იყენებენ. ჰაერში ხან ერთ, ხან მეორე მხარეს იხრებოდა და შემხვედრი ჩიტები შიშით უქცევდნენ გვერდს ასეთ უცნაურ არსებას.

ბოლოს და ბოლოს, სახლამდე მიფრინდა და პირველ რიგში სამზარეულოს მიაშურა, რათა მზარეული ქალის სარკეში ჩაეხედა.

საბრალო პედრიტო! ის ყველაზე უსახურ ჩიტად იქცა, რაც კი შეიძლება წარმოვიდგინოთ: მელოტი, უკუდო და სიცივისგან აკანკალებული. როგორ უნდა გამოცხადდეს ამ სახით სასადილო ოთახში?.. ის ბაღში გაფრინდა და ერთ-ერთ ეკალიპტში ფულუროს მიაგნო,

რომელიც ნამდვილი გამოქვაბულივით ღრმა იყო. და ფულუროში დაიმალა, სიცივისა და სირცხვილისგან მთლად აცახცახებული.

ამასობაში კი ყველას უკვირდა, სად წავიდა თუთიყუში. და ეძახდნენ: პედრიტო!.. კარტოფილი კარგია, პედრიტო! ჩაი კარგია!

მაგრამ პედრიტო ფეხს არ იცვლიდა თავისი გამოქვაბულიდან, დამუნჯებული, უმოძრაო და არავის ეხმაურებოდა. მას ყველგან ეძებდნენ, მაგრამ ვერსად პოულობდნენ. მაშინ ჩათვალეს, რომ პედრიტო ცოცხალი აღარ იყო და ბავშვები მწარედ ატირდნენ.

ყოველ საღამოს, ჩაის სმის დროს, ყველა პედრიტოს იხსენებდა, თუ როგორ უყვარდა მას რძეში დასველებული პური. საბრალო პედრიტო! მას ველარასოდეს ნახავენ, ის, ალბათ, მოკვდა...

მაგრამ პედრიტო არ მომკვდარა, ის ისევ თავის ფულუროში იჯდა და არავის ენახებოდა, რადგან ძალზე რცხვენოდა, რომ ვიღაც ვირთხასავით შიშველი იყო. დამლამობით გამოძვრებოდა დასანაყრებლად და მალევე იმალებოდა, ხოლო გარიჟრაჟზე კიდევ ერთხელ ფრთხილად დაემშვებოდა ხოლმე ხიდან და მზარეული ქალის სარკეში ჩასახედად მიიპარებოდა, და ისევ ძველებურად სევდიანი იყო, რადგან ბუმბულები ძალიან ნელა ეზრდებოდა.

მაგრამ აი ერთხელ, როცა მთელი ოჯახი საღამოს ჩაის შეექცეოდა, ოთახში უეცრად პედრიტო შემოვიდა, აუღელვებელი სახით, ბაჯბაჯით, თითქოს არც არაფერი მომხდარა. სიხარულისგან კინაღამ ყველა გაგიჟდა, როცა ის მთელი და უვნებელი დაინახეს და თანაც ასეთი საუცხოო ბუმბულებით.

– პედრიტო, ჩურჩუტა პედრიტო! – ეფერებოდნენ მას. – რა მოხდა, პედრიტო? ოჰ, როგორი ბუმბულები აქვს!

მაგრამ არავინ იცოდა, რომ ეს ახალი ბუმბულები იყო, ხოლო პედრიტოს კი, რომელსაც ძალიან მედიდურად ეჭირა თავი, ამაზე სიტყვაც არ უთქვამს. იგი მხოლოდ მიირთმევდა რძეში დასველებულ პურს და დუმდა, ხოლო თავის თავგადასავლებზე კი ხმას არ იღებდა.

ამიტომ სახლის პატრონს ძალიან გაუკვირდა, როდესაც მეორე დილით თუთიყუში უცებ მოფრინდა, სწრაფად ჩაარაკრაკა თავისი სათქმელი და მხარზე დააჯდა. მან ორიოდე წუთში უამბო ყველაფერი, რაც თავს გადახდა: თავისი გასეირნება პარაგვაიში, იაგუართან შეხვედრა და საერთოდ – ყველაფერი, შიგადაშიგ კი ყვიროდა:

– პედ-რ-რიტოს ერ-რ-რთი ბუმბულიც ადარ-რ აქვს! ერ-რ-რთი ბუმბული! ერ-რ-თი ბუმბული! და მან თავის პატრონს იაგუარზე სანადიროდ წასვლა შესთავაზა.

სახლის პატრონი ზუსტად იმ დროს აპირებდა იაგუარის ტყავის ყიდვას, რათა ბუხრის წინ დაეფინა და ძალიან გაუხარდა, როცა გაიგო, რომ სულ უფასოდ შეიძლებოდა მიეღო. ის სახლში შევიდა, თოფი აიღო და პედრიტოსთან ერთად გაემგზავრა პარაგვაიში. მათ ასე გადაწყვიტეს: როგორც კი პედრიტო იაგუარს დაინახავს, მასთან საუბარს გააბამს და თავისი ლაქლაქით ყურადღებას მოუდუნებს, სანამ მონადირე საჭირო მანძილზე არ მიუახლოვდება.

ასეც მოხდა. ტოტზე მჯდომი თუთიყუში ლაქლაქებდა და ლაქლაქებდა, და თან აქეთიქით იყურებოდა, იაგუარი ხომ არ მოდისო. საბოლოოდ დამსხვრეული ტოტების ჭახანი გაიგო და უეცრად ქვემოთ ორი მისკენ მიპყრობილი მწვანე ჩირაღდანი დაინახა. ეს იაგუარის თვალები იყო. მაშინ თუთიყუშმა ყვირილი მორთო:

– კარ-რ-რგი სადამოა!.. კარ-რ-რტოფილი კარ-რ-რგია...

ჩაი კარ-რ-რგია, რძე კარგია... გინდა ფინჯანი ყავა?.. იაგუარი ძალიან გაბრაზდა, როცა მელოტი

თუთიყუში იცნო, რომელიც დაღუპული ეგონა და რომელსაც ახალი, ასეთი ლამაზი ბუმბულები ჰქონდა; მან დაიფიცა, რომ ამჯერად თუთიყუში ცოცხალი ვეღარ დაუსხლტებოდა და თვალები ბოროტად აენტო, როცა ხრინწიანად დაიღრინა:

– ახლოს მოფრინდი! აბა!

თუთიყუში მეორე ტოტზე გადაფრინდა, უფრო ახლოს, თან შეუჩერებლად განაგრძობდა ლაქლაქს:

– პური კარგია, რძე კარგია!.. ის ამ ხის ქვეშაა!.. თუთიყუშის უკანასკნელი სიტყვების გაგონებაზე იაგუარი აღრიალდა და ერთი ნახტომით მოსწყდა მიწას.

– ვის ელაპარაკები? – დაიღრინა მან. – ვის უთხარი, რომ მე აქ ვარ, ამ ხის ქვეშ? –

არავის, არავის! – უპასუხა თუთიყუშმა. – გამარჯობა, პედრიტო... სალამი სულელო!..

და ის განაგრძობდა ლაქლაქსა და ტოტიდან ტოტზე ხტომას, იაგუარს სულ უფრო მეტად უახლოვდებოდა. სიტყვები «ის ამ ხის ქვეშაა» თუთიყუშმა მონადირის გასაფრთხილებლად თქვა, რომელიც მალულად უახლოვდებოდა და შორიდან უმიზნებდა მხეცს.

და აი, ისეთი მომენტი დადგა, როცათუთიყუშს უკვე აღარ შეეძლო ახლოს მისვლა, რადგან აუცილებლად იაგუარს ჩაუვარდებოდა თათებში. და მაშინ დაიყვირა:

– კარტოფილი კარგია!.. ფრთხილად!

– უფრო ახლოს მოფრინდი! – დაიღრინა იაგუარმა, მიწას გაეკრა და ნახტომისთვის მოემზადა.

– ჩაი კარგია, რძე კარგია!.. ფრთხილად! ახლა ისკუპებს! და მართლაც, იაგუარმა ისკუპა. ისე მალლა ახტა, თუთიყუშმა მის ბრჭყალებს მხოლოდ იმით დააღწია თავი, რომ ისარივით აიჭრა ჰაერში. იმავე წამს ხის უკან მდგომმა მონადირემ სასხლეტს თითი გამოჰკრა და მუხუდოს მარცვლის სიდიდის საფანტის ცხრა მარცვალმა იაგუარს გული გაუგმირა, რომელმაც ისე საშინლად დაიღრიალა, რომ მთელი ტყე შეკრთა და მიწაზე უსულოდ დაენარცხა.

ჩვენს თუთიყუშს უსაზღვროდ გაუხარდა და სიხარულით აყვირდა! მან ხომ შური იძია ამ საზიზღარ იაგუარზე, – და მერე როგორ! – რომელმაც მთელი ბუმბულები დააგლიჯა.

მონადირეც ასევე ძალიან კმაყოფილი იყო, რადგან იაგუარის მოკვლა ადვილი საქმე არ გახლავთ. ახლა მას იაგუარის ტყავი ჰქონდა, რომელიც სასადილო ოთახში, ბუხრის წინ შეიძლება დააფინო.

როდესაც ისინი შინ დაბრუნდნენ, ყველამ გაიგო, პედრიტო ასე დიდხანს რატომ იმალებოდა ფულუროში და მას სიმამაცისა და გულადობისთვის აქებდნენ.

მას შემდეგ ყველა ძალზე ბედნიერად ცხოვრობდა. მაგრამ თუთიყუშს არ დავიწყებია, როგორ მოექცა მას იაგუარი და ყოველ საღამოს, როდესაც სასადილოში ჩაის სმის დროს შემოდის, აუცილებლად მივიდოდა ბუხართან გაშლილ იაგუარის ტყავთან და მას რძიან ჩაიზე ეპატიჟებოდა.

– კარ-რ-რტოფილი კარ-რ-რგია!.. – ეუბნებოდა იაგუარ-ის ტყავს. – ჩაი კარ-რ-რგია, გინდა ჩაი?.. იაგუარს კარ-რ-რტოფილი მთარ-რ-რთვით... და ყველა გულიანად იცინოდა, მათ შორის პედრიტოც.

შიშის ძალა

აღბათ თავისი სიღრმითა და ყოვლისმომცველი ძალით ვერც ერთი ადამიანური განცდა ვერ შეედრება შიშს. ადამიანის სულისშემძვრელი სიყვარული და მრისხანება ახლოსაც ვერ მოვლენ შიშის ძალასთან, რადგან იგი თავისი ბუნებით ყველაზე უშუალო და ყველაზე ცხოვრებისეული გრძნობაა: ის სიცოცხლეს იცავს. ინსტინქტი, ლოგიკა, ინტუიცია ერთბაშად ცოცხლდება ჩვენში. სულისგამყინავი სიცივე,

საზიზღარი შემადონებელი გულისრევა, რაც კუნთებს უნებისყოფო რბილობად აქცევს, რაღაც საშინელი გარდაუვალობის შეგნება – ეს ყველაფერი უცებ გვკარნახობს, რომ შიში გვეწვია, შიში – და ეს საკმარისია. მაგრამ, სხვა მხრივ, თუ მის პირველ ნიშნებს დავძლევთ, შიში სასიცოცხლო ენერჯის უზარმაზარ მოზღვავებას იწვევს. სასოწარკვეთა ან მრისხანება ძალების უკიდურეს დამაბზას იწვევს, მაგრამ, დამეთანხმებით, თუ მრისხანების ან სასოწარკვეთის შემოტევას შეუძლია აიძულოს ადამიანი ათ წამში გაირბინოს ასი მეტრი, ჩვეულებრივი შიში მას ას ათის გარბენას აიძულებს.

ასე მსჯელობდა კარასალე, როცა ჩვენ ამ თემას შევეხეთ. სადგურის კაფეში ოთხნი ვიყავით: თავად კარასალე, ფერნანდესი – ახალგაზრდა ყმაწვილი ნაყვავილარი სახით, ხორციანი ცხვირითა და ძალზე ახლოს ჩასმული თვალებით, რომლებიც მძივის მარცვლებივით ელავდა

ცხვირის ძვალთან; მესამე გახლდათ ესტრადე – რომელიღაც საინჟინრო ინსტიტუტის მარადიული სტუდენტი; მეოთხე მე ვიყავი.

ფერნანდესი და კარასალე შორეული ნაცნობები იყვნენ. და თუმცა კარასალეს მსჯელობას არაფერი ჰქონდა საერთო იმ დოგმატიზმთან, რამაც ჩემს ნაამბობში იჩინა თავი, ფერნანდესმა მას მხიარული კადნიერებით გახედა, რაც მეტად დამახასიათებელია ახალგაზრდებისთვის.

– თქვენ რა, მშიშარა ხართ? – იკითხა მან.

– არა მგონია, არც ისე... ზოგჯერ სულაც არა, მაგრამ ხანდახან ისეც ხდება, რომ ამას ვგრძნობ...

– მაგრამ, ალბათ, შიშს არა. – არა, სწორედ რომ შიშს.

ყველასთვის ცნობილია, რომ ისინი, რომლებიც ადვილად ერევიან შიშს, ამით არ ტრაბახობენ, მაგრამ ფერნანდესი ჯერ კიდევ ძალზე ახალგაზრდა იყო, რათა მოკრძალება დაეფასებინა, ხოლო მეორე მხრივ, უკვე საკმაოდ მოზრდილი, რათა გულწრფელობა შეენარჩუნებინა. ესტრადემ კარასალეს აუბა მხარი.

– შიში მეც გამომიცდია. არაფერს ვამბობ იმ საშინელ შიშზე, რომელიც ბავშვს ეძალება, როცა დედას ჩახუტებულებს კი ისე გრძნობს თავს, როგორც ალყაშემორტყმულ ციხესიმაგრეში, რომლის გარშემოც გარემოცვის რკალი თანდათან ვიწროვდება, – ეს განსაკუთრებული შემთხვევაა. მაგრამ, ჩემი აზრით, რაღაც განსაზღვრულის შიში გაცილებით ნაკლებად მოქმედებს გონებაზე, ვიდრე ეს დანარჩენი ეშმაკეულობა. ჩემს ცხოვრებაში ერთ-ერთი ყველაზე ძლიერი განცდა ზუსტად ამას მოწმობს. ყოველ შემთხვევაში...

– არა, მოიცათ, გვიამბეთ, ეს როგორ მოხდა.

– მერჩივნა საერთოდ დამევიწყებინა; მაგრამ, კეთილი, მომისმინეთ.

თქვენ იცით, რომ მე ურუგვაელი ვარ. სანუხენიოდან, ჩრდილოეთიდან. მე იქ ყოველ ზაფხულს ჩავდივარ, უფრო სწორად – ჩავდიოდი. იქ დეიდაჩემი და ჩემი ორი და ცხოვრობს, აქამდე ჯერ კიდევ გაუთხოვრები. სახლი ახლა, ალბათ, გადააკეთეს, მაგრამ

მაშინ საცოდავად გამოიყურებოდა. ოთახი, რომელშიც მე ვცხოვრობდი, დანარჩენებისგან მოშორებით იმყოფებოდა. იცით, სოფლად სახლები რაღაც უცნაური პრინციპით შენდება – სამზარეულო, მაგალითად, ხშირად აღმოჩნდება ხოლმე სადღაც სახლის სიღრმეში მიკარგული.

რადგან, როგორც წესი, შინ გვიან ვბრუნდებოდი, ხოლო ჩემი ნაბიჯები სიმსუბუქით არასოდეს გამოირჩეოდა, სახლში მინაშენიდან შევდიოდი, რაც საცხოვრებელ ნაწილს ეკვროდა. ამგვარად, ცალკე შესასვლელი მქონდა და არავის ვაწუხებდი. ამით ზოგჯერ ბიძაჩემიც სარგებლობდა, როცა ძილის წინ თავის მეურნეობას შემოივლიდა ხოლმე. საკმაოდ გრძელი გზა იყო. ჯერ ბელელი, შემდეგ საწყობი, საჩხის გვერდით, რომლის ქვეშაც ოთხთვალა იდგა, და ბოლოს ფარდული, სადაც დაუმუშავებელ ტყავებს ინახავდნენ.

ერთხელ სახლში ღამის პირველ საათზე ვბრუნდებოდი. აღარ მოვყვები, რა სიწყნარეა ღამღამობით სან-ეუხენიოში, მით უფრო იმ დროს. საოცარი მთვარიანი ღამე იყო. ბელელი და საწყობი სიბნელეში გავიარე, რადგან გზა მშვენივრად ვიცოდი. მაგრამ ფარდული – სულ სხვა საქმეა: იქ დაკიდებული ტყავები ზოგჯერ ძირს ვარდებოდა, ხოლო კაუჭები, რაზეც მათ კიდებდნენ, სახეს გიფხაჭნიდა, ასე რომ, ეს არცთუ სასიამოვნო გახლდათ.

მე კარი გავადე, შიგნით შევაბიჯე, კარი ისევ დავკეტე და, როგორც ყოველთვის, ასანთის ასანთებად შევჩერდი. მაგრამ ცეცხლი აინთო თუ არა, მაშინვე ჩაქრა. გავშემდი, გული გამიჩერდა. არაფერს დავჯახებივარ, სიბნელეში ჩემ გარშემო – სიცარიელეა, მაგრამ აშკარად ვიგრძენი, რომ ცეცხლი ჩააქრეს, ვიღაცამ ალს სული შეუბერა.

დიდი ძალისხმევით თავი ნელა მივაბრუნე მარცხნივ, შემდეგ – მარჯვნივ, მაგრამ უკუნეთ წყვდიადში ვერაფერი გავარჩიე. მხოლოდ ფარდულის სიღრმეში, იატაკის დონეზე ატანდა ფიცრებს შორის სინათლის ბუნდოვანი წვრილი სხივები. ცეცხლი აშკარად ჩააქრეს: აქ, ფარდულში, ვიღაც იყო. მაგრამ ვინ და რისთვის? ნებისყოფის დაძაბვით ვაიძულე თავი დავმშვიდებულიყავი და კოლოფი გამეხსნა, რათა ისევ ამნთო ცეცხლი. თითქოს გავკარი კიდევ ასანთს... ისევ რომ ჩააქრონ? თითქმის ფიზიკურად ვიგრძენი, საზარელი, გამყინავი სიცივე როგორ აუყვებოდა ჩემს ხერხემალს, ცეცხლი კიდევ რომ ჩაექროთ... ხელი გამიშემდა. ვიფიქრე, რომ, ალბათ, აქ – ჩემ წინ, ჩემ გვერდით, ჩემ უკან – ვიღაც დგას და ამ პირქუმ სიახლოვეში ის უკვე მოემზადა ცეცხლის ჩასაქრობად, რათა იგი არ დამენახა!

ვეღარ მოვითმინე, დავძლიე საზიზღარი სისუსტე და ალაღბედზე წინ გავვარდი. მგონი, რაღაც კაუჭის მაგვარს წამოვედე, რაღაცას მივეხეთქე, სახე გავიკაწრე... და ბოლოს, როცა ოციოდე მეტი გავიბინე, რაც ჩემს ბოდვით მდგომარეობაში ღამის უსასრულობად მომეჩვენა, მივალწიე საპირისპირო კარს და სამშვიდობოზე გასულმა ძლივს ამოვისუნთქე. გონზე მოსული კითხვას შევუდექი ჩემს ოთახში და ოთხის ნახევრამდე ვკითხულობდი, სმენად ქცეულს ოდნავი ფაჩუნიც არ გამომპარვია. ეს ჩემს ცხოვრებაში ერთ-ერთი ყველაზე მძიმე ღამე იყო...

– ყოველ შემთხვევაში, – გააწყვეტინა კარასაღემ, – დიდხანს არ გაგრძელებულა განცდები.

- როგორ გითხრათ. მეორე ღამეს ბიძაჩემი მკვდარი იპოვეს – იგი დანის დარტყმით მოკლეს ფარდულის შესასვლელთან. ადამიანმა, რომელიც წინა ღამით ბიძაჩემს დარაჯობდა, ჩემს ასანთს შეუბერა სული, რათა ის არ დამენახა.

ალიყური

აკოსტამ, გემ «მეტეორის» მეზუფეტემ, რომელიც ყოველ ორ კვირაში ერთხელ პარანის ზემო წელში ადიოდა, ძალიან კარგად იცოდა ერთი ჭეშმარიტება, კერძოდ: ქვეყნად ვერაფერი, თვით ამ მდინარის დინებაც კი ვერ შეედრება არცის მოქმედების სისწრაფეს, როდესაც ის ნაპირზე არტელის მუშებს უვარდებათ ხელში. კორნერთან დაკავშირებულმა შემთხვევამ ეს კიდევ ერთხელ დაადასტურა.

ზემო პარანაზე მკაცრი წესი ან, თუ გნებავთ, კანონი არსებობს, რომელსაც კაცმა რომ თქვას, ერთი გამონაკლისი მაინც აქვს: აქ აკრძალულია მუშებისთვის არცის მიყიდვა. ის მაღაზიებში არ არის, და მათ არანაირად არც ერთი ბოთლი არ უნდა ჩაუვარდეთ ხელში. მანსუს^[221] ცხოვრება ხეტყის წყალსაზიდ ნავმისადგომებზე ისეთი მძიმე და უსიხარულოა, რომ სჯობს მათი აზრები ზედმეტად არ აფორიაქდეს. სულზე სულ რაღაც ასი გრამი სპირტი და ყველაზე დისციპლინირებული არტელი ორ საათში ბომბივით აფეთქდება.

აკოსტას არ სურდა საქმე ასეთ სერიოზულ შედეგებამდე მიეყვანა და ამიტომ მხოლოდ წვრილ კონტრაბანდას ეწეოდა – მუშებს იქვე, გემზე აწვდიდა თითო ჭიქას, ყოველი პორტიდან გავლისას. კაპიტანმა ეს იცოდა, ისევე, როგორც ყველა მგზავრმა – ძირითადად უფროსებმა და

ზედამხედველებმა, მაგრამ რადგანაც მარჯვე «კონტრაბანდისტი» უვნებელ დოზებს არ აჭარბებდა, ყველაფერი საუკეთესოდ მიდიოდა.

და აი, ერთხელ განგებამ ისე იწება, რომ აკოსტა წინ ვერ აღუდგა პეონების აფორიაქებული ბრბოს დაჟინებულ მოთხოვნას და ოდნავ მოადუნა თავისი სიფრთხილის მშვილდი. რაღაც წარმოუდგენელი ატყდა – მუშათა აბგები და გიტარები თავბრუდამხვევ ცეკვა-თამაშში აირია.

დიდი სკანდალი აგორდა. მოვიდა კაპიტანი, მას კი მგზავრები მოჰყვნენ. ამჯერად საქმეში შოლტი ჩაერთო და იგი მეტისმეტად ბობოქარ თავებზე როკავდა. კაპიტანისთვის ეს ჩვეული საქმე გახლდათ: დარტყმები ხშირ და ულმობელ რიგებად მიჰყვებოდნენ ერთმანეთს. ქარიშხალი მაშინვე დაცხრა. მიუხედავად ამისა კაპიტანმა ბრძანა ანძაზე ფეხებით მიებათ ერთ-ერთი მანსუ, ყველაზე შმაგი, რის შემდეგაც ყველაფერი ნორმაში ჩადგა.

მაშინ აკოსტას მიადგნენ. არტელის უფროსი, რომელიც ამავე დროს იმ პორტის მფლობელიც იყო, სადაც გემი შეჩერდა, მეზუფეტეს დაეტაკა:

- თქვენ ხართ ყველაფერში დამნაშავე! რაღაც საცოდავი ათი სენტავოსთვის პეონებს ღუპავთ და წესრიგს არღვევთ! მეზუფეტე, რომელიც წარმოშობით მეტისი იყო, როგორც შეეძლო თავს იმართლებდა.
- ხმა გაკმინდეთ, ნამუსი არა გაქვთ! – არ ცხრებოდა კორნერი. – რაღაც ათი ქეციანი სენტავოს გულისთვის... გარწმუნებთ, როგორც კი პოსადასში ჩავალთ, თქვენზე ყველაფერს მოვახსენებ მიტანს.

მიტანი «მეტეორის» მფლობელი იყო, მაგრამ ეს სულაც არ აღელვებდა აკოსტას, რომელმაც საბოლოოდ დაკარგა მოთმინება.

– თუ ასეა, – თქვა მან, – ეს თქვენ სულაც არ გეხებათ... თუ არ მოგწონთ, ვისთანაც გინდათ იჩივლეთ... ჩემი ბარის უფროსი მე ვარ.

– ვნახოთ, ვნახოთ! – დაემუქრა კორნერი და თავისი კაიუტისკენ გაემართა, მაგრამ უცებ ანძაზე მიბმულ მანსუს მოჰკრა თვალი. შესაძლოა, დასჯილს მისთვის დამცინავად არც შეუხედავს, მაგრამ კორნერს მოეჩვენა, რომ სწორედ ასე მოხდა, მით უფრო, რომ ინდიელის ცივ მზერასა და წვეტიან უღვაშში მან ის პეონი იცნო, რომელსაც ერთხელ უკვე შეეჯახა სამი თვის წინ.

იგი ანძისკენ გაემართა, მრისხანებისგან აჭარხლებული. მანსუ ისევ დამცინავად შესცქეროდა.

– უჰ, არამზადა! – დაიყვირა კორნერმა. – სულ შენ როგორ მეჩხირები თვალში! მე ხომ აგიკრძალე ნავმისადგომზე გამოჩენა, შე...

მანსუ ისე უმზერდა, თითქოს მისი სიტყვები არ ესმოდა. კორნერს სიბრაზისგან თვალთ დაუბნელდა, გონს გადავიდა და მას ჯერ ერთ ლოყაში სთხლიშა, შემდეგ მეორეში.

– აი, შენ... ძვირფასო! ასეთებს სხვანაირად ვერაფერს გააგებინებ.

მანსუ გაფითრდა, ყურადღებით აათვალიერ-ჩაათვალიერა კორნერი და ამოილულლულა:

– აბა, დამაცადე...

კორნერს კიდევ ერთი დარტყმით უნდოდა აეძულებინა პეონი ჩაეყლაპა თავისი მუქარა, მაგრამ თავი შეიკავა და იქაურობას გაეცალა, თან მებუფეტეს წყევლაკრულვას უთვლიდა, რომლის გამოც ატყდა მთელი ეს დავიდარაბა.

აკოსტაც ვერაფრით წყნარდებოდა – როგორ მოაბეზრა თავი კორნერმა, ამ წითურმა ენაჭარტალამ და მთელმა მისმა წყეულმა ნავმისადგომმა!

და მალე რაღაც მოიფიქრა. მდინარის ზემო წელში ყოველი რეისის დროს მას მალულად გადაჰქონდა არაყი პეონებისთვის, რომლებიც პუერტო პროფუნდიდადისკენ – კორნერის კუთვნილი პორტისკენ ეშვებოდნენ. პეონები ხმამალა ყვიროდნენ და კონტრაბანდას თავიანთ აბგებში მალავდნენ, იმავე ღამეს კი ნავმისადგომზე ნამდვილი ჯოჯოხეთი იწყებოდა.

ორი თვის განმავლობაში გემებს, რომლებიც მდინარის თავქვე ეშვებოდნენ, «მეტეორის» ყოველი მორიგი რეისის შემდეგ, პუერტო პროფუნდიდადიდან აუცილებლად მიჰყავდათ ოთხი-ხუთი დაჭრილი და სასოწარკვეთილი კორნერი ვერაფრით პოულობდა არყის გამავრცელებელს, – ყველა ამ უბედურების მიზეზს. მაგრამ ამ ვადის გასვლის შემდეგ აკოსტამ ჩათვალა, რომ მეტი გამწვავება აღარ ღირდა და მაჩეტეც გვერდზე გადადეს. საერთოდ კი მან ეს ყველაფერი არც ისე ცუდად

მოაწყო, თუ გავითვალისწინებთ, რომ იგი შურისძიებითაც საკმაოდ დატკბა და მოგებითაც, – ამ ყველაფერმა ხომ კორნერის ზურგზე გადაიარა.

გავიდა ორი წელი. მანსუ, რომელსაც ალიყური აჭამეს, ხან ერთ ნავმისადგომზე მუშაობდა, ხან მეორეზე, პუერტო პროფენდიდადში კი ფეხის დადგმაც აკრძალული ჰქონდა. ეს გასაგებიც იყო: კორნერთან ძველმა ქიშპმა და ანძასთან მომხდარმა ინციდენტმა იგი ადგილობრივი ადმინისტრაციისთვის არასასურველ პირად აქცია. მანსუ, ისევე როგორც ყველა ადგილობრივი

მოსახლეობა, მოხეტიალე ცხოვრებას იყო მიჩვეული, ყველაზე დიდი ხნით კი პოსადასში რჩებოდა ხოლმე, სადაც თავისი მეგობარი ქალების ხარჯზე ცხოვრობდა, რომელთა გულებიც უჩვეულოდ ძვერდა მისი წვეტიანი უღვაშის დანახვაზე. მოდურ ვარცხნილობას მოკლე ფაფრის სახით, რასაც ქვეყნის ჩრდილოეთ ნაწილში ნაკლებად გავრცელებული მძაფრი სუნამოები ჰქონდა დაფრქვეული, ალტაცებაში მოჰყავდა ინდიელი ქალები.

ზოგჯერ ის დაუფიქრებლად აწერდა კონტრაქტს ხელს და პარანას ზემო წელში მიცურავდა. მას ყოველთვის სიამოვნებით უხდიდნენ ავანსს, რადგან გამრჯე მუშა იყო. ყველგან სიამოვნებით ქირაობდნენ, ოღონდ არა პუერტო პროფენდიდადში: აქ იგი ზედმეტი იყო. მაშინ ისევ დარდი და აპათია ეძალებოდა, პოსადასში ბრუნდებოდა და იქ რამდენიმე თვით რჩებოდა, ნერვიულობდა და უღვაშზე სუნამოებს იპკურებდა.

გავიდა კიდევ სამი წელი. ამ ხნის განმავლობაში მანსუ მხოლოდ ერთხელ გამოჩნდა ზემო პარანაში. იმ დასკვნამდე მივიდა, რომ ცხოვრების სახსრების მოპოვების მისი ამჟამინდელი ხერხი გაცილებით ნაკლებად დამლელელია, ვიდრე ნავმისადგომებზე მუშაობა, და თუ ადრე ხელები ელლებოდა, ახლა გამუდმებით ფეხები ექანცებოდა, მაგრამ ეს მოსწონდა კიდევ.

პოსადასში ყოფნისას ის მხოლოდ ბახადაში^[23] ცხოვრობდა და ხანდახან პორტს ეწვეოდა

ხოლმე, ყოველ შემთხვევაში, სხვაგან არსად უყვარდა სიარული. ინდიელთა კვარტალიდან თითქმის არ გამოდიოდა: ხან ერთ მეგობარს ესტუმრებოდა, ხან მეორეს, შეივლიდა ტავერნაში, შემდეგ კი პორტში ჩაუშვებდა ღუზას, სადაც სხვებთან ერთად ხმაურით აღნიშნავდა პეონთა მორიგი პარტიის გამგზავრებას და დღეს ცეკვებით ამთავრებდა.

– ჰეი, მეგობარო! – უყვიროდნენ პეონები. – მოგბეზრდა ნაჯახი? მოცეკვავე ქალები უფრო გეჭაშნიკება, არა?

ინდიელი იღიმებოდა და კმაყოფილებით ისვამდა ხელს უღვაშსა და გადაგლესილ ხშირ თმაზე.

მაგრამ ერთხელ თავი ასწია, მიიხედა-მოიხედა და ყურადღებით დაუგდო ყური დამქირავებელთა საუბარს, რომლებიც საკმაოდ რიგიან ავანსს ჰპირდებოდნენ ახალჩამოსული მანსუების ჯგუფს. ხალხი კაბრიუვას პორტში სამუშაოდ სჭირდებოდათ, იმ ნავმისადგომთან ახლოს, რომელსაც კორნერი განაგებდა. იქ დიდი

რაოდენობით ხეტყე დაგროვდა და მუშები სასწრაფოდ ესაჭიროებოდათ. მსურველებს კარგ ანაზღაურებასა და არაყს ჰპირდებოდნენ.

ორი დღის შემდეგ ახლად ჩამოსული მანსუები, რომლებიც მანამდე რამდენიმე თვის განმავლობაში ხეტყისდაცურებაზე მუშაობდნენ, ისევ სამუშაოდ გაემგზავრნენ. ჯიბეში გროშიც აღარ დარჩენოდათ – ორმოცდარვასათიან მძვინვარე, ველურ ღრეობაში სულ გაფლანგეს ავანსის სახით აღებული მთელი ორასი პესო^[24]. პეონებს ძალზე გაუკვირდათ, როცა მათ შორის ყოჩალი ინდიელიც გამოჩნდა.

– შენც მათთან ხარ, მეგობარო? – ხარხარებდნენ ისინი. – რაო, ისევ ნაჯახი მოგენატრა? ჰა-ჰა-ჰა! ჰო-ჰო-ჰო!

ისინი კაბრიუვაში ჩავიდნენ და იმავე საღამოს მათ ბრიგადას ტივების შეკვრა დაავალეს.

ორი თვე მცხუნვარე მზეზე მუშაობდნენ, ძალაყინებით მორებს მდინარეში აგდებდნენ და ისე იძაბებოდნენ, რომ კისრის ძარღვები მშვილდივით ეჭიმებოდათ.

შემდეგ წყალში მოუწიათ მუშაობა და დაცურების დროს მორებს ერთმანეთთან აერთებდნენ. ოთხი, ზოგჯერ კი მთელი ექვსი საათის შემდეგაც, ადამიანი წყლიდან ტივზე აღიოდა, უფრო სწორად, აათრევდნენ ხოლმე, რადგან ის სრულიად კარგავდა ძალას. გასაკვირიც არ იყო, რომ ადმინისტრაციას ასეთი შემთხვევებისთვის ყოველთვის ჰქონდა არაყი მომარაგებული და

მხოლოდ ასეთ ვითარებაში ირღვეოდა კანონი. კაცი ერთ ჭიქას გადაკრავდა და ისევ წყალში ხტებოდა.

მანსუ სხვებთან ერთად ასრულებდა ამ მძიმე სამუშაოს და უზარმაზარი ტივით დაეშვა პურეტო პროფენდიდადისკენ. იგი ასე ვარაუდობდა იქამდე მიღწევას. მართლაც, სამმართველოში ის ან ვერ იცნეს, ანდა სასწრაფო სამუშაოს გამო უბრალოდ ყურადღება არ მიაქციეს მის ჩამოსვლას. ყოველ შემთხვევაში, მას და კიდევ სამ პეონს კარერიუმში ჯორების გადაყვანა დაავალეს და ისინიც მეორე დილითვე უკვე საქონელს მიერეკებოდნენ.

ძალიან ცხელი დღე იყო. ტყე ერთიან კედლად აღმართულიყო მზით გაჩახჩახებული წითელი გზის ორივე მხარეს. სელვის სიჩუმეში უფრო საგრძნობი ხდებოდა გავარვარებული ქვიშის გამაბრუებელი ოხშივარი. არც სიო ქროდა და არც ჩიტების ჭიკჭიკი ისმოდა. მცხუნვარე მზის ქვეშ ჭრიჭინებიც კი დადუმდნენ, ხოლო კრაზანებით გარშემორტყმული ჯორები დინჯად მიემართებოდნენ და დამძიმებული თავები ჩაექინდრათ.

დღის პირველ საათზე პეონებმა მატეს^[25] დასაღვევად შეისვენეს. ცოტა ხანში მათ თავიანთი უფროსი დაინახეს, მარტო ცხენზე ამხედრებული, ფართოფარფლებიანი ჩალის ქუდით. კორნერი მუშებს მიუახლოვდა და რაღაც ჰკითხა ახლოს მყოფ პეონს. უცებ ჩაიდანთან დახრილ ადამიანში მანსუ ამოიცნო.

კორნერს ისედაც წითელი სახე კიდევ უფრო მეტად აუჭარხლდა და უნაგირზე მკვეთრად გაიმართა.

- ეი, შენ! აქ რას აკეთებ? – ბრაზიანად დაიყვირა მან. ინდიელმა ნელა ასწია თავი.
- როგორც ჩანს, მისალმებას გადაეჩვიეთ, – უპასუხა მან და უფროსისკენ რამდენიმე ნაბიჯი გადადგა.

კორნერმა რევოლვერიამოიღო და სასხლეტს თითი გამოჰკრა. გაისმა სროლის ხმა, მაგრამ ტყვია აცდა მიზანს. მაჩეტეს დარტყმით პეონმა რევოლვერი გააგდებინა, კორნერის სასხლეტზე მიწებებულ საჩვენებელ თითთან ერთად. მეორე წამს ის უკვე მიწაზე ეგდო, ინდიელის ქვეშ ამოდებული. პეონები გაშემდნენ, თავიანთი ამხანაგის სიმამაცით აღტაცებულები.

- წადით! – გასძახა მანსუმ პეონებს ჩახლეჩილი ხმით, ისე, რომ თავი არ მიუბრუნებია.

ისინი წავიდნენ, მორჩილად გაირეკეს ჯორებიდა მალე თვალს მიეფარნენ.

მაშინ მანსუმ, რომელიც კორნერს ადგომის საშუალებას არ აძლევდა, მისი დანა შორს მოისროლა და სწრაფად წამოდგა. ახლა ხელში ტაპირის¹²⁶ ტყავისგან დამზადებული შოლტი ეკავა. – ადექი! – ბრძანა მან.

სისხლში ამოთხვრილი კორნერი ლანძღვა-გინებით ადგა და მანსუსკენ გაიწია, მაგრამ შოლტი ისეთი ძალით მოხვდა სახეში, რომ ისევ მიწაზე გაგორდა.

- ადექი! – გაიმეორა მანსუმ. კორნერი წამოდგა.

- წადი!

მრისხანებისგან გაგიჟებულმა კორნერმა ისევ სცადა მანსუს დატაკებოდა, მაგრამ შოლტი საშინელი ტკაცანით ახლა მის ზურგზე დაეშვა.

- წადი!

კორნერი დამორჩილდა. დამცირებამ, რის გამოც კინალამ დამბლა დაეცა, ხელზე სისხლიანმა ჭრილობამ, დაქანცულობამ – ამ ყველაფერმა აიძულა იგი დამორჩილებოდა. მიყენებული

შეურაცხყოფა დროდადრო მაინც აიძულებდა გაჩერებულიყო და ლანძღვა-გინებით მოეხებინა გული. მაგრამ მანსუს თითქოს არაფერი ესმოდა. შოლტი ისევ და ისევ შეუბრალებლად ეშვებოდა მის სხეულზე.

- წადი!

ისინი ასე მიდიოდნენ, ორნი, მანსუ ოდნავ უკან, ტყის ბილიკით, მდინარისკენ. მზე თავებს, ფეხებს, ფეხსაცმელებს უწვავდა. სელვა გაყუჩდა, თითქოს ჩათვლიძაო, დუმდნენ ადამიანებიც. მხოლოდ შოლტის სტვენა არღვევდა მყუდროებას, რომელიც კორნერის ზურგზე სრიალებდა.

- წადი!

ხუთი საათის განმავლობაში ასეთი სვლით კორნერმა სრულად გამოცალა დამცირებისა და ტკივილის ფიალა. ნაცემ-ნაბეგვი მძიმედ სუნთქავდა, გრძნობდა, თავში როგორ ასხამდა სისხლი და რამდენჯერმე ამაოდ სცადა გაჩერება. მანსუ

აღარაფერს ეუბნებოდა, მხოლოდ შოლტი აკეთებდა თავის საქმეს და კორნერიც ისევ მიაბიჯებდა.

მზის ჩასვლისას, პოლიციის სამმართველოსთვის გვერდი რომ აექციათ, შარაგზიდან ბილიკზე

გადაუხვიეს, რაც ასევეპარანასკენ მიემართებოდა. კორნერი, რომელმაც გადარჩენის უკანასკნელი იმედი დაკარგა, მიწაზე დაწვა და გადაწყვიტა ერთი ნაბიჯიც აღარ გადაედგა, მაგრამ მანსუმ ისევ შოლტი აამოქმედა.

– წადი!

მეხუთე დარტყმის შემდეგ კორნერი წამოდგა. ბოლო ერთი საათის განმავლობაში კორნერის თავსა და ზურგს, რომელიც მთვრალივით მიბარბაცებდა, დარტყმები ყოველი ოცი ნაბიჯის შემდეგ ატყდებოდა.

ისინი მდინარესთან მივიდნენ და იქვე დამაგრებულ ტივთან შეჩერდნენ. მანსუმ აიძულა კორნერი ტივზე გადასულიყო. კორნერს საბოლოოდ გამოეცალა ძალა და ტივის კუთხეში პირქვე დაემხო, სახე ხელებში ჩარგო. მანსუ მიუახლოვდა.

– ახლა კი, – მან შოლტი მოიქნია, – ეს იმისთვის, რომ მისალმება ისწავლო, ეს კი – თითიც რომ აღარავის დააკარო...

შოლტი უმოწყალო, თანაბარი ძალით ეშვებოდა კორნერს ხან სახეზე, ხან ზურგზე, ხან თავზე.

კორნერი აღარ ინძრეოდა. მანსუმ თოკები გადაჭრა, რომლითაც ტივი ნაპირზე იყო მიბმული, ნავში ჩაჯდა, თოკი კიჩოს მიამაგრა და მთელი ძალით მოუსვა ნიჩბები.

ტივისთვის ეს ბიძგი სრულიად საკმარისი აღმოჩნდა. იგი ნელა შებრუნდა, დინებაში მოექცა და მანსუმ თოკი გადაჭრა.

მზე ჩაესვენა და არემარე, რაც სულ ცოტა ხნის წინ საშინლად იყო გავარვარებული, სიგრილითა და სამარისებური სიმშვიდით აივსო. ცა ჯერ კიდევ მწვანე იყო. ტივი ნელა ბრუნავდა და თანდათან ქრებოდა ურუგვას სანაპიროს გამჭვირვალე შორეთში, მხოლოდ ხანდახან გამოჩნდებოდა, ახლა უკვე წვრილი ზოლის სახით.

მანსუც მიცურავდა, ირიბად კვეთდა მდინარეს, მაგრამ გეზი ბრაზილიის მხარეს ეჭირა, სადაც სიცოცხლის ბოლომდე უნდა დარჩენილიყო.

– სამუდამოდ ვტოვებ სამშობლოს, – დაიჩურჩულა მან და დამაშვრალი ხელი შეიხვია. გაყინული მხერით ტივს გახედა, რომელსაც უეჭველი დაღუპვა ელოდა და კბილებს შორის გამოცრა:

– სამაგიეროდ ეს ტიპი ხელს ვერავიზე აღმართავს. წყეული ქოფაკი!

ნადირობა მორებზე

მისტერ ჰოლის სახლში ვარდისფერი ხის ავეჯი არასოდეს გაჩნდებოდა, გრამოფონთან დაკაშვირებული ეს ამბავი რომ არა. ერთ საღამოს «ერბა კომპანის» კანტორასთან ჩავლილმა კანდიუმ ყურთამდე გაღებულ კარში დაინახა, რომ მისტერ ჰოლი რაღაც უცნობ მანქანასთან ფუსფუსებდა.

როგორც ყოველ ინდიელს, კანდიუსაც არაფრით გამოუხატავს თავისი გაოცება, ცხენი შეაჩერა და სულ სხვა მხარეს გაიხედა, მაგრამ განა ინდიელი ინგლისელს მოატყუებს? ვერც ვისკის რიგიანმა ულუფამ, ვერც სიცხემ, რომელიც იმ დახუთულ საღამოს განსაკუთრებით აუტანელი იყო, ვერაფერი დააკლო მისტერ ჰოლის მოქნილ გონებას. ინდიელის დანახვაზე გრამოფონიდან თავიც არ აუწევია. აფორიაქებული კანდიუ მცირე ყოყმანის შემდეგ სახლს მიუახლოვდა და კართან გაჩერდა.

– საღამო მშვიდობისა, სენიორ!.. რა კარგი მუსიკაა! – კარგია... – გამოსცრა მისტერ ჰოლმა.

– კარგია... – გაიმეორა კანდიუმ. – და რა ხმამალა უკრავს!

– ხმამალა, – დაეთანხმა მისტერ ჰოლი, თითქოს სტუმრის შენიშვნებში დიდი სიბრძნე იმალებოდა. კანდიუ მონუსხულივით უსმენდა მუსიკას. – ეს ძვირი ღირს, სენიორ?

– ძვირი?.. რაზე მეკითხები?

– ეს... მოლაყბე... აი, ბიჭები რომ მღერიან. მისტერ ჰოლმა უცებ გამოიღარა. «ერბა კომპანის» მოლარეში ბიზნესმენმა გაიღვიძა.

– დიახაც, ცხადია, ძვირი ღირს... შენ რა, ყიდვას ხომ არ აპირებ?

– თუ გაყიდვას მოინდომებ... – აღმოხდა კანდიუს, თუმცა დარწმუნებული იყო, რომ ასეთ ნივთს ვერ შეწვდებოდა. მოჩხრიალე ფირფიტაზე ნემსი ხტოდა...

მისტერ ჰოლი თვალს არ აცილებდა შემკრთალ ინდიელს. – იაფად გავყიდი...

ორმოცდაათ პესოდ! კანდიუმ თავი გააქნია, გულკეთილად უღიმოდა ხან მანქანას, ხან მის პატრონს.

– დიდი ფულია! არ შემიძლია. – შენ რამდენს მომცემ?

საპასუხოდ ინდიელმა მხოლოდ გაიღვიძა.

– სად ცხოვრობ? – არ ეშვებოდა მისტერ ჰოლი, რომელმაც გადაწყვიტა, რაღაც უნდა დაჯდომოდა, ინდიელისთვის გრამოფონი შეეჩქებინა.

– პორტში.

– ჰო-ო... მე ხომ გიცნობ... კანდიუ არა ხარ? – დიახ.

– მაშ, მორებზე ნადირობ?

- ხდება ხოლმე, პატრონი თუ არ ჰყავს...
- გინდა, მორებში გაგიცვალო? სამი დახერხილი მორი. მე თვითონ წამოვიღებ. რას იტყვი? კანდიუ კვლავინდებურად იღიმებოდა.
- ახლა არაფერი მაქვს... მაინც რა მანქანაა... ძალიან ეშმაკური რამეა?
- სულაც არა, ადვილია! ჯერ იქ უნდა მიატრიალო, მერე აქ. გასწავლი. მორები როდის იქნება?
- როგორ გითხრათ... მალე წყალი აიწვეს... როგორი ხე გინდა, სენიორ? – ვარდისფერი...
- ჰმ!.. ასეთ ხეს ძალიან იშვიათად აცურებენ, მხოლოდ ყველაზე დიდი წყალდიდობისას... გცოდნია მისი ფასი, სენიორ. მშვენიერი საქონელია.
- შენ კი სანაცვლოდ ნამდვილ გრამოფონს მიიღებ! ვაჭრობა ბრიტანული მუსიკის ჰანგების ქვეშ მიმდინარეობდა. ინგლისელი მთელი ძალით ცდილობდა თანხმობა დაეტყუებინა ინდიელისათვის, ის კი როგორც შეეძლო თავს იძვრენდა, პირდაპირ პასუხს გაურბოდა. მისტერ ჰოლმა ერთი რამე კარგად იცოდა: ასეთი შემთხვევის ხელიდან გაშვება არ შეიძლებოდა. ხუმრობა ხომ არ არის: თითქმის ნისიად – მისთვის მობეზრებული გრამოფონისა და ბოთლი

ვისკის სანაცვლოდ – უძვირფასესი ხის რამდენიმე ათეული ფიცარი! ბოლოს და ბოლოს, ინდიელსაც არაფრად უღირს მორების შოვნა. მოლაპარაკება გვიან ღამემდე გაიწელა...

კანდიუ პარანას ნაპირზე უკვე ოცდაათი წელია ცხოვრობს. ციებ-ცხელების უკანასკნელმა შეტევამ ისე დაასუსტა, რომ საეჭვოა კიდევ რამდენიმე თვე გაძლოს. მთელი დღეები გაუნძრევლად ზის თავის გასაშლელ სკამზე, თვალებზე გაცვეთილი ქუდი ჩამოუფხატავს. მხოლოდ მისი მკვდრისფერი ხელები ირხევა და ცახცახებს გაპუტული თუთიყუშივით. მძიმე შრომით დამახინჯებულები რაღაც ცხოველის თათებს ჰგვანან, ხოლო დაბერილი მწვანე ძარღვები, რომლებიც მაჯებიდან თითებისკენ მიემართებიან, მათ ორ ნეგატივს ამსგავსებენ.

მასში ადრინდელ კანდიუს ველარ ამოიცნობ! არადა იყო დრო, როცა ის პატიოსნად მუშაობდა დარაჯად ბანანის პლანტაციებში და, გარდა ამისა, პარანაზე უკანონო ბიზნესიც ჰქონდა – მდინარეში მორებს იჭერდა, რომლებიც დინებას მოჰქონდა ხეტყის წყალსაზიდი უბნებიდან. ასეთი შემთხვევები განსაკუთრებით მატულობდა წყალდიდობის დროს. ასევე კარგად მიდიოდა საქმე, თუკი რომელიმე პეონი გასართობად მაჩეტეს დარტყმით კვეთდა თოკს, რაც ტივს ჰქონდა შემოჭერილი. კანდიუს ნამდვილი დურბინდი ჰქონდა. დილაობით, ნაპირზე მჯდომი, ყურადღებით აკვირდებოდა მდინარის ზედაპირს. როგორც კი შეამჩნევდა იტაკარუბის კონცხთან მორს, თავისი ნავით მაშინვე გაექანებოდა ნადავლის შესახვედრად.

თუ მორს დროულად შენიშნავ, მისი დაჭერა არც ისე ძნელია. მაჩეტე გამოცდილი მონადირის ხელში და სწრაფი ნიჩბები თავის საქმეს აკეთებენ – უზარმაზარი მორი ისევე მიჰყვება ნავს, როგორც კატარღას.

პასტელიუმის წყალსაზიდ მონაკვეთზე, მდინარის ზემო წელში სამოცდლიანი არნახული გვალვის შემდეგ თავსხმა წვიმები დაიწყო. სიცხის დროს სამუშაოები შეჩერდა. ალსაპრიმასები¹²⁷ დასკდა, რკინის სალტეები მოძვრა. შვიდი ათასზე მეტი მორი – ეს უზარმაზარი ქონება! – ნიაკანგუაზუს ნაპირზე დაგროვდა. მაგრამ ფირმა «კასტელუმი და კომპანია» ღრმად იყო შემფოთებული და სიხარულს სულაც არ გამოხატავდა. როგორც ცნობილია, ორტონიანი მორები ჩალის ფასიც არ ღირს, სანამ ისინი პორტში არ არიან.

ბუენოს-აირესიდან ბრძანებები მოდიოდა სამუშაოთა განახლების შესახებ. უბნის მმართველმა ჯორები და ალსაპრიმასები მოითხოვა. მას შეჰპირდნენ, რომ ჯორები იქნებოდა, როგორც კი პირველივე კატარლით ფულს გააგზავნიდა. მაგრამ მმართველი ამტკიცებდა, რომ ფულის გადარიცხვას მხოლოდ ჯორების გამოჩენის შემდეგ შეძლებდა.

დრო გადიოდა, საქმე კი არ იძროდა. ძლიერი წვიმის მიუხედავად უბანში თვით კასტელუმი მივიდა და ნიაკანგუაზუს ფლატეებიან ნაპირზე ხორად დაყრილი აურაცხელი მორი დაინახა.

– რამდენისაა? – ჰკითხა მან მმართველს.

– დაახლოებით, სამასი ათასი პესოსი, – უპასუხა მან. სასწრაფოდ უნდა ემოქმედათ, ყოველგვარი ამინდის მიუხედავად. რამდენიმე ხანს კასტელუმი მდუმარედ გაჰყურებდა ადიდებულ მდინარეს. წვიმის ნაკადში რეზინის ლაბადიანი მხედრის ფიგურა და მისი ცხენი ერთმანეთს ერწყმოდა. უეცრად მან მდინარეზე მიუთითა და იკითხა:

– როგორ ფიქრობთ, დაფარავს წყალი ჭორომებს? – თუ ასეთი თავსხმა გაგრძელდება, ალბათ.

– ყველანი უბანზე არიან?

– დიახ! თქვენს განკარგულებებს ველოდებით!

– კარგი, – თქვა კასტელუმმა, – ვფიქრობ, რომ ყველაფერი კარგად აეწყობა. მომისმინე, ფერნანდეს, ამ საღამოსვე დაჭიმე ბაგირები და მორების წყალში ჩაყრა დაიწყეთ. ჯერჯერობით გზა თავისუფალია. დღეს ან ხვალ პოსადასში¹²⁸ ვიქნები. იქიდან პირველივე შესაძლებლობისთანავე ჩავუშვებთ ხეტყეს პარანაში. გასაგებია? ეს ჟუჟუნა წვიმა ძალიანაც გვაძლევს ხელს!

მმართველი თვალეზდაჭყეტილი შეჰყურებდა უფროსს: – ბაგირი მორების პირველ ასეულსაც ვერ გაუძლებს.

– შესაძლოა, ასეც მოხდეს, მაგრამ ეგ არაფერი. რამდენიმე ათასი დაგვიჯდება. ფიქრის დრო არ არის. მერე მოვილაპარაკოთ.

ფერნანდესმა მხრები აიჩეჩა და ჩუმად დაუსტვინა.

დღის ბოლოს წვიმა შეწყდა. გალუმპული პეონები მორებს ნაპირზე მიათრევდნენ და ყურეს აგებდნენ. წყალმა ძლიერ მოიმატა და კასტელუმი ნავით გაემგზავრა პოსადასში.

ძლიერ გვალვებს ძლიერი წვიმები მოჰყვა. მეორე დღეს საშინელი თავსხმა დაიწყო. ორი დღე-ღამის განმავლობაში მთები ზანზარებდა მათზე თავს დატეხილი წყლის ნაკადებისგან. წყალი ნიაკანგუაზუ აბობოქრებულ ნაკადად იქცა. იგი საშინლად ქუხდა და სწრაფად მიექანებოდა. გათოშილი პეონები მორებს ყურეში ყრიდნენ. სველი, სხეულებზე მიკრული ტანსაცმელი მათ სიგამხდრეს უსვამდა ხაზს. დადლილობისგან ქანცგაწყვეტილები ძალ-ღონეს არ იშურებდნენ. და ყოველთვის, როცა უზარმაზარი მორი ხტუნვა-ხტუნვით მიგორავდა თავქვე და დგაფუნით იძირებოდა წყალში, მათი მოხეიძე და გააფთრებული – უ-უ-უ-ჰ! – იქაურობას იკლებდა.

წვიმა კოკისპირულად ასხამდა, ბარჯები იმსხვრეოდა, გაწამებული ადამიანები ხშირად ლაფში ვარდებოდნენ, ციებ-ცხელება კი კვალდაკვალ დაჰყვებოდა.

მოულოდნელად ღვართქაფი შეწყდა. მეზობელი ტყიდან წვიმის ხმაური ისმოდა. ნიაკანგუაზე ყრუდ ბუზღუნებდა. ცალკეული, იშვიათი და მძიმე წვეთები ცვიოდა გაცრეცილი ციდან. მაგრამ ქარი არ უბერავდა და ჰაერში რაღაც სიმძიმე იგრძნობოდა. პეონებმა ხეირიანი დასვენებაც ვერ მოასწრეს, რომ წვიმამ ისევ დაუშვა. წყლის ერთიანი, მკვრივი, თეთრი კედელი მიწას დააცხრა.

ყურეებში მოტივტივე ბარიერმა გზა გადაუღობა პირველ მორებს, გაიღუნა და ჭრიალით აკავებდა შემდგომი პარტიის დაწოლას. საბოლოოდ ბაგირი, რომელმაც დატვირთვას ვეღარ გაუძლო, გაწყდა და... მორები მდინარის ნაკადში გაიფანტა.

კანდიუ დურბინდით აკვირდებოდა მდინარეს. «თუ წყალმა სან-იგნასიოში გასული ღამიდან ორი მეტრით მოიმატა, – ფიქრობდა იგი, – პოსადასში ალბათ საშინელი წყალდიდობა იქნება». მალე პირველი მორები გამოჩნდა. მოცურავდა კედრები და სხვა ჯიშები. მონადირე მოთმინებით უცდიდა თავის მომენტს.

ღამემ გადაიარა. წყალმა კიდევ ერთი მეტრით მოიმატა. მომდევნო საღამოს კანდიუმ იტაკურუბის კონცხთან საუკეთესო მორების ზვავი შენიშნა. მოდიოდა სრულიად მშრალი ხე-ტყე და საღამოს ბინდში ციმციმებდა. კანდიუ თვალს არ უჯერებდა! დაყოვნება აღარ შეიძლებოდა! კანდიუ ნავში ჩახტა და მთელი ძალით გაექანა მორების შესახვედრად. მაგრამ არც ისე ადვილია პარანაში წყალდიდობის დროს ცურვა. რა აღარ ხვდებოდა გზად მღვრიე, აქაფებულ ნაკადში!

ქარიშხლისგან ძირფესვიანად ამოთხრილ ხეებს შავი ფესვები მაღლა აეწიათ და გიგანტურ რვაფეხებს ჰგავდნენ. ჯორებისა და ძროხების ლეში მტაცებელ ცხოველთა ლეშთან ერთად მოცურავდა. ჭიანჭველათა ბუდეების მაღალი კონუსები – მიწის ბელტებთან ერთად, მკვდარი იაგუარიც შეხვდა. გველებს თავები ამოეყოთ წყლიდან და ისე მიემართებოდნენ.

კანდიუ გამუდმებით რაღაცას ეჯახებოდა, ცდილობდა გვერდი აექცია. საბოლოოდ მორს დაეწია, მაჩეტე მის ვარდისფერ რბილობში ჩაასო და ერთხანს ასე მიათრევდა.

ხეთა ტოტებინავს ედებოდა. იძულებული გახდა ტაქტიკა შეეცვალა. ლასო მორზე წამოაცვა და ნაპირისკენ მოუსვა. გააფთრებული ბრძოლა დაიწყო. ნიჩბების ყოველ მოქნევას თითქოს ინდიელის სიცოცხლის მცირე ნაწილი მიჰქონდა.

ასეთი უზარმაზარი მორის ამოთრევა და თანაც წყალდიდობის დროს სამ ჯანთან ჯეღსაც გაუჭირდებოდა, მაგრამ კანდიუს არსენალში პარანაზე ნადირობის ოცდაათწლიანი გამოცდილება ჰქონდა და გარდა ამისა, ძალიან უნდოდა გრამოფონის პატრონი გამხდარიყო.

დადამდა. მან ბევრი საოცარი რამ მოიტანა. სიბნელებში ისე ჩანდა, თითქოს ნავი შავ ზეთზე სრიალებდა. გვერდით განუწყვეტლივ მიედინებოდნენ ლანდები. ერთხელ ნავი დამხრჩვალს შეეჯახა. კანდიუმ თვალი მოჰკრა ფართოდ დაღებულ პირსა და შუშისმაგვარ თვალებს. ასპიტები კი, ეს დაუპატიჟებელი სტუმრები, თითქოს დროს არჩევდნენ ნავში ჩასაძრომად. კანდიუმ ერთხელ დაინახა, გემის ბორბლებით როგორ აცოცდნენ ისინი გემბანზე.

მორთან ტიტანური ბრძოლა გრძელდებოდა. იგი წყალქვეშ თრთოდა და თითქოს გამოცდას უწყობდა ინდიელის შეუპოვრობას. ბოლოს და ბოლოს, დანებდა ადამიანს. კანდიუმ მკვეთრად მოატრიალა ნავი, უკანასკნელი ძალ-ღონე მოიკრიბა და მორი პირდაპირ ფლატიანი ნაპირისკენ წაათრია.

მას, რაც ინდიელმა ათი წუთის განმავლობაში მოიმოქმედა, რათა მორი ბუქსირით მიეტანა ნაპირზე, არაადამიანური ძალისხმევა დასჭირდა. წარმოუდგენელი დამაბულობისგან კისერზე ძარღვები დაებერა, კუნთები ლამის დასკდომოდა. როდესაც გვერდზე გადახრილი ნავი ქვებს

შეეჯახა, კანდიუს მხოლოდ იმისთვის ეყო ძალა, რომ ნავი თოკით დაემაგრებინა და პირქვე უგონოდ დაეცა.

მისტერ ჰილმა მხოლოდ ერთი თვის შემდეგ მიიღო თავისი სამი ათეული ფიცარი და კანდიუს ზუსტად ოც წამში გადასცა გრამოფონი და საჩუქრად ოცი ფირფიტა.

ფირმა «კასტელუმმა და კომპანიამ», მორების დასაჭერად გამოგზავნილი კატარღების მთელი ფლოტილის მიუხედავად საკმაოდ მნიშვნელოვანი ზარალი განიცადა.

და თუ ოდესმე კასტელუმში სან-იგნასიოს ეწვევა და, ერთიგ ვნახოთ, ჩვენს მოლარესაც მოინახულებს, ფრიად განცვიფრებულიც დარჩება, როდესაც მის სასადილო ოთახში ვარდისფერი ხის მშვენიერ ავეჯს დაინახავს.

პატარა ენოტის ზღაპარი

ულრან ტყეში დედა ენოტი და სამი პატარა ენოტი ცხოვრობდა. ისინი ნაყოფებით, ძირხვენებითა და ფრინველთა კვერცხებით იკვებებოდნენ, ხოლო როცა ხეზე ჯდომისას საეჭვო ხმაურს გაიგონებდნენ, მაშინვე მიწაზე ეცემოდნენ და კუდაპრეხილები გაქცევით შველოდნენ თავს.

როდესაც პატარა ენოტები ოდნავ წამოიზარდნენ, დედამ ერთხელ ისინი ფორთოხლის ხეზე შეკრიბა და ასე თქვა:

– პატარა ენოტებო, თქვენ უკვე საკმაოდ დიდები ხართ იმისთვის, რომ საკვები თვითონ მოიპოვოთ. ეს ახლა უნდა ისწავლოთ, რადგან როცა დაბერდებით, ცალცალკე იცხოვრებთ, როგორც ყველა ენოტი.

თქვენ შორის უფროსს ძალიან უყვარს ხოჭოების დაჭერა, ისინი შეუძლია იპოვოს დამპალ ტოტებში, სადაც უამრავი ხოჭო და ქინქლაა.

შუათანა ხილის დიდი მოყვარულია, რასაც აი, იმ ფორთოხლის ჭალაში ნახავს, – იქ ფორთოხლები დეკემბრამდე იქნება.

უმცროსს, რომელიც ჩიტის კვერცხების გარდა არაფერს ჭამს, შეუძლია საითაც უნდა იქით გასწიოს, იმიტომ, რომ ჩიტის ბუდეები ყველგანაა. მხოლოდ კვერცხების საძებნელად მინდორში ნურასოდეს წავა, – ეს საშიშია!

პატარა ენოტებო, ქვეყნად ერთი რამაა, რისიც ძალიან უნდა გეშინოდეთ. ეს – ძაღლებია. ერთხელ შევებრძოლე მათ და ვიცი, რასაც ვამბობ. მას შემდეგ აი, ეს კბილი მოტეხილი მაქვს. ძაღლების კვალდაკვალ ყოველთვის ადამიანები მოდიან და დიდი, მომაკვდინებელი ხმაური მიაქვთ. როგორც კი სადმე მახლობლად ამ ხმაურს გაიგონებთ, მაშინვე ჩამოხტით ხიდან, რა მაღალიც უნდა იყოს. ამას თუ არ გააკეთებთ, მაშინ ალბათ მოგკლავენ.

ასე ამბობდა დედა ენოტი. შემდეგ კი მთელი ოჯახი დაეშვა ხიდან და სხვადასხვა მხარეს გაემართნენ, თან ცხვირებს ხან მარჯვნივ ჩრიდნენ, ხან მარცხნივ, თითქოს მიწაზე რაღაცას ეძებდნენ, – ენოტები ხომ ასე დადიან.

უფროსმა ენოტმა, რომელსაც ხოჭოების დაჭერა უყვარდა, ისინი დამპალ ტოტებსა და ჩამოცვენილ ფოთლებში მოძებნა და იმდენი ნახა, რომ მანამდე ჭამდა, სანამ არ დაეძინა.

შუათანამ, რომელსაც ნებისმიერ სხვა საჭმელს ხილი ერჩივნა, უხვად მიირთვა ფორთოხლები,

რადგან პარაგვაისა და მისიონესში ფორთოხლები ძალზე შორს, ტყეებში იზრდება და ადამიანები იქ არ შედიან.

უმცროსი, რომელსაც ძალიან უყვარდა ჩიტის კვერცხები, მთელი დღე დაეხეტებოდა და სულ ორ ბუდეს მიაგნო: ტუკანისა^[29] (მასში სამი კვერცხი იყო) და გარეული მტრედების (მასში კი – მხოლოდ ორი). სულ ხუთი პატარა კვერცხი იპოვა. აბა, ეს რას ეყოფოდა? ამიტომ სადამოს პატარა ენოტი ისეთივე მშვიდი იყო, როგორც ადრე დილით. იგისევედიანად დასკუპდა ტყის პირას, საიდანაც მინდორი ჩანდა და დედის გაფრთხილება გაახსენდა.

«რატომ არ უნდოდა დედას, რომ ჩიტის ბუდეები მინდორში მოძებნა?» – გაიფიქრა პატარა ენოტმა.

ასე ფიქრობდა და უცებ არც ისე შორიდან რაღაც ჩიტის გალობა მოესმა. «რა ხმამაღლა მღერის! – გაიფიქრა აღტაცებულმა. – ალბათ ამ ჩიტს ბუდეში დიდი კვერცხები აქვს». ჩიტი ისევ ამღერდა და მაშინ პატარა ენოტი მთელი ძალით გაიქცა იქით, საიდანაც გალობა ისმოდა.

მზე უკვე ჩადიოდა, ის კი ისევ გარბოდა, კუდაპრეხილი. მთელი ტყე გადაჭრა და ტყის პირიდან მინდორს გადახედა. შორს ადამიანთა სახლები გაარჩია და კიდევ ერთი კაცი, რომელსაც

მაღალყელიანი ჩექმა ეცვა და ცხენი თოკით მიჰყავდა. კიდევ, ჩიტს მოჰკრა თვალი, ძალიან დიდ ჩიტს, სწორედ იმას, რომელიც გალობდა. პატარა ენოტმა შუბლზე იტკიცა თათი და თქვა:

– რა სულელი ვარ! ახლა ვიცი, ეს რა ჩიტიცაა. ეს ხომ მამალია. ერთხელ დედამ ხიდან დამანახვა. მამლებს მშვენიერი ხმა აქვთ და ბევრი ქათამი ჰყავთ, რომლებიც კვერცხებს დებენ. ეჰ, ქათმის კვერცხი რომ გამასინჯა!..

როგორც ვიცით, ტყის ცხოველებს ქათმის კვერცხები ყველაფერს ურჩევნიათ. პატარა ენოტს ერთი წუთით დედის გაფრთხილება გაახსენდა, მაგრამ მხოლოდ ერთი წუთით. ქათმის კვერცხებით ყელის ჩაკოკლოზინების სურვილმა ყველაფერს სძლია და პატარა ენოტი მოჯადოებულებით დასკუპდა ტყის პირას. ის დაღამებას დაელოდა, რათა შემდეგ საქათმეს სწვოდა.

საბოლოოდ დაღამდა კიდევ და პატარა ენოტი ჩუმად, ფეხაკრეფით გაემართა ადამიანთა სახლისაკენ. მიუახლოვდა და ყურადღებით დაუგდო ყური: ჩამიჩუმი არ ისმოდა. აღფრთოვანებული პატარა ენოტი, რომელიც მზად იყო შეეჭამა ასი, ათასი, ორი ათასი კვერცხი, საქათმეში შეძვრა და პირველი, რაც დაინახა, იყო ქათმის კვერცხი – დიდი, მშვენიერი ქათმის კვერცხი, რომელიც მიწაზე იდო. თავიდან პატარა ენოტმა გაიფიქრა ის ჩაროზად შემოენახა – ეს

კვერცხი ხომ ძალიან დიდი იყო, მაგრამ ნერწყვები წამოუვიდა და კვერცხს თავისი ბასრი კბილები ჩაასო... ძლივს მოასწრო ნაჭუჭის წაკვნიტა, რომ – ბრახ! – ცხვირზე საშინელი დარტყმა – და საზარელი ტკივილი მთელ დრუნჩზე.

– დედა, დედა! – იყვირა ტკივილისგან გაგიჟებულმა და გასასვლელს მიაწყდა, მაგრამ ის მტკიცედ ეჭირათ და ადგილიც ვერ მოინაცვლა. მაშინვე ძაღლის ხრინწიანი ყეფა მოესმა...

სანამ პატარა ენოტი ტყის პირას დაღამებას ელოდებოდა, რათა შემდეგ საქათმეს სწვოდა, ადამიანი, რომელიც ამ სახლში ცხოვრობდა, კალოზე თამაშობდა თავის შვილებთან, ხუთი და ექვსი წლის ორ ქერთმიან ბავშვთან ერთად. პატარები სიცილით დარბოდნენ, ერთმანეთს უსწრებდნენ, ეცემოდნენ, ისევ სიცილით დგებოდნენ და კვლავ ეცემოდნენ. მამაც მათსავით ეცემოდა და ბავშვები ამით აღტაცებაში მოდიოდნენ. მაგრამ აი საბოლოოდ მათ შეწყვიტეს თამაში, რადგან უკვე გვიან იყო და მამამ ასე უთხრა თავის შვილებს:

– მე წავალ, ხაფანგს დავაგებ, სინდიოფალა უნდა დავიჭიროთ, თორემ წიწილებსა და ქათმის კვერცხებს გვპარავს.

კაცი წავიდა და ხაფანგი დააგო. შემდეგ ივახშმეს და დასაძინებლად დაწვნენ. მაგრამ ბავშვებს

არ ეძინებოდათ, საწოლებზე ცმუკავდნენ და თავიანთი გრძელი პერანგები ფეხებში ებლანდებოდათ. მამა სასადილო ოთახში გაზეთს კითხულობდა და ისეთი სახე მიეღო, თითქოს ვერ ამჩნევდა მათ გაწამაწიას. მაგრამ უცებ ბავშვებმა ცელქობა შეწყვიტეს და დაიყვირეს:

– მამა! სინდიოფალა ხაფანგში გაება! გესმის, როგორ ყეფს ჩვენი ტუკე? მამა, ჩვენც გვინდა მის სანახავად წამოვიდეთ.

მამა დათანხმდა თან წაეყვანა ისინი, მაგრამ იმ პირობით, რომ ბავშვები ფლოსტებს ჩაიცვამდნენ, – იგი მათ ყოველთვის უშლიდა ღამდამობით ფეხშიშველა სიარულს, რადგან ეშინოდა, გველს არ ეკბინა.

ყველანი ერთად გავიდნენ. და რა დაინახეს? დაინახეს, რომ მამამ ცალი ხელი ქეჩოში ჩაავლო ძაღლს, ხოლო მეორე ხელით ენოტი ასწია კუდით, სულ პატარა ენოტი, რომელიც საწყლად ჭყიოდა და ბზრიალასავით ტკაცატკუცი გაჰქონდა.

– მამა, არ მოკლა! – დაიყვირეს ბავშვებმა. – მთლად პაწიაა. ჩენ მოგვეცი.

– კარგი, მოგცემთ, – დაეთანხმა მამა. – მაგრამ კარგად მოუარეთ და რაც მთავარია – არ დაგავიწყდეთ, რომ ენოტებიც თქვენსავით სვამენ წყალს.

მამამ ეს იმიტომ თქვა, რომ ერთხელ ბავშვებს გარეული კატის კნუტი მოუყვანა და ისინიც გამუდმებით ხორციტ კვებავდნენ, რასაც სამზარეულოდან ეზიდებოდნენ, წყლის მიცემა კი ავიწყდებოდათ, ასე რომ, საბრალო კნუტი, ბოლოს და ბოლოს, მოკვდა. ამგვარად, ბავშვებმა ჩვენი პატარა ენოტი საქათმის გვერდით ზუსტად იმ გალიაში მოათავსეს, რომელშიც ოდესღაც პატარა გარეული კატა ცხოვრობდა და ისევ დასაძინებლად გასწიეს.

ნაშუადამევს, როცა ირგვლივ სამარისებური სიჩუმე იდგა, საბრალო პატარა ენოტმა, რომელიც ძლიერ დააშავა ხაფანგმა, მთვარის შუქზე სამი ლანდი დაინახა. ისინი ფრთხილად მოიპარებოდნენ მისი გალიისკენ. პატარა ენოტს გული აუფრთხილდა, როდესაც თავისი დედა და ორი ძამიკო იცნო, მის სამებნელად რომ გამოსულიყვნენ.

– დედა, დედა! – აჭყივლდა ტუსალი ხმადაბლა და სცადა დიდი ხმაური არ აეტეხა. – აქ ვარ, გამიყვანეთ აქედან! არ მინდა აქ დარჩენა. დედა... – და უნუგემოდ ატირდა.

მაგრამ, ყველაფრის მიუხედავად, ენოტების ოჯახი ძალიან ხარობდა, რადგან ყველანი ისევ ერთად იყვნენ და შეეძლოთ ერთმანეთისთვის ალერსიანად ეხახუნათ დრუნჩები. ენოტებმა მაშინვე გადაწყვიტეს შედგომოდნენ ტუსალის გათავისუფლებას. ჯერ ლითონის ბადის გაკვნიტა სცადეს და ოთხივე დიდხანს და შეუპოვრად მუშაობდა კბილებით, მაგრამ ამით არაფერი გამოვიდა. მაშინ დედა ენოტს ბედნიერმა აზრმა გაუელვა! და მან ასეთი რამ თქვა:

– წავიდეთ დაინსტრუმენტები მოვძებნოთ, რომლებსაც ადამიანები იყენებენ. ამ ინსტრუმენტებით ისინი რკინას ჭრიან. მათ ქლიბებს ეძახიან. ამ ქლიბებს სამი

გვერდი აქვს, ჩხრიალა გველივით. რამის გაჭრა თუ გინად, ის წინ და უკან უნდა ამოდრაო.

წავიდეთ, მოვძებნოთ!

ენოტებმა ადამიანის სახელოსნოში მიირბინეს და მალე ქლიბით დაბრუნდნენ. რადგან ჩათვალეს, რომ ერთი ასეთ სიმძიმეს ვერ ასწევდა, ქლიბს სამი ენოტი ჩაეჭიდა და საქმეს შეუდგნენ. ისე ბეჯითად მუშაობდნენ, რომ მთელი გალია ზანზარებდა, კვნესოდა და ჭრიალებდა. ხმაურზე ძალღმმა გაიღვიძა და რამდენჯერმე ყრულ დაიყეფა. მაგრამ ენოტებს არ დაუცდიათ, ასეთი სკანდალური საქციელისთვის როდის მოსთხოვდა მათ ძალღი პასუხს და ტყისკენ მოკურცხლეს ისე, რომ ქლიბი სულ გადაავიწყდათ.

მეორე დღეს გოგონა და ბიჭი ადრე ადგნენ და თავიანთი ახალი სტუმრის სანახავად გაემართნენ, სტუმარი კი ძალზე სევდიანი დახვდათ.

– რა დავარქვათ? – ჰკითხა დაიკომ თავის ძმას.

– მე ვიცი, – უპასუხა ბიჭუნამ. – დავარქვათ «ჩვიდმეტი»!

რატომ ჩვიდმეტი? ასეთი უცნაური სახელი ჯერ ტყის არც ერთი ცხოველისთვის არ დაურქმევიათ. მაგრამ ბიჭუნა ანგარიშს სწავლობდა და, ალბათ, ჩვიდმეტამდე იყო მისული.

და პატარა ენოტს ჩვიდმეტი დაარქვეს. ბავშვებმა მას პური, ყურძენი, შოკოლადი, ხორცი, კალიები და კვერცხები მიუტანეს. ერთ დღეში პატარა ენოტი ისე შეეთვისა ბავშვებს, რომ უკვე საღამო ხანს ნებას რთავდა მათ ყურის უკან მოეფხანათ. ბავშვთა გულწრფელი სიყვარული იმდენად ძლიერი იყო, რომ დაღამებისას პატარა ენოტი თითქმის ურიგდებოდა კიდეც თავის ტყვეობას. ის იმ გემრიელ საკვებზე ფიქრობდა, რაც შეიძლებოდა ხვალ ეჭამა და თბილად იხსენებდა ამ ქერათმიან, ასეთ მხიარულ, კეთილ და ალერსიან ბავშვებს.

ზედიზედ რამდენიმე ღამე ძალღს პატარა ენოტის გალიასთან ისე ახლოს ეძინა, რომ ტუსადის ახლობლები მასთან მიახლოებას ვერ ბედავდნენ და ეს მათ ძალზე ტკენდა გულს. ხოლო როდესაც ენოტებმა ისევ მოახერხეს გალიასთან მისვლა და პატარა ენოტის გასათავისუფლებლად ქლიბის ძებნას შეუდგნენ, მან ასეთი რამ თქვა:

– დედა, მე არ მინდა აქედან წასვლა. აქ ქათმის კვერცხებს მაჭმევენ და ძალიან კარგად მექცევიან. დღეს მითხრეს, რომ თუ კარგად მოვიქცევი, მალე გარეთაც გამომიშვებენ. ეს ბავშვები ჩვენ გვგვანან: ისინიც ძალზე პატარები არიან და ერთად ვთამაშობთ.

ენოტები ჯერ ძლიერ დანაღვლიანდნენ, მაგრამ შემდეგ დაშოშმინდნენ და გადაწყვიტეს, რომ ყოველღამე მოვიდოდნენ პატარა ენოტის სანახავად.

და მართლაც, ყოველღამით, ყოველგვარ ამინდში, დედა და ძმები ტუსადის სანახავად მოდიოდნენ. პატარა ენოტი მათ პურის ნაჭრებს აწოდებდა და ისინიც გალიის წინ სავახშმოდ დასხდებოდნენ ხოლმე.

ორი კვირის შემდეგ პატარა ენოტი უკვე თავისუფლად დასეირნობდა, ღამღამობით კი თავის გალიაში ეძინა. ყველაფერი შესანიშნავად მიდიოდა, თუ არ ჩავთვლით, რომ

იგი რამდენჯერმე ყურებით წაათრიეს იმის გამო, რომ საქათმესთან ძალზე ახლოს საეჭვოდ დასეირნობდა. პატარა ენოტსა და ბავშვებს ერთმანეთი ძალიან უყვარდათ და გარეულმა ენოტებმაც, როდესაც დარწმუნდნენ, როგორი კარგები იყვნენ ეს პატარა ადამიანები, შეიყვარეს ისინი.

მაგრამ აი ერთხელ, უკუნეთ ღამეში, როცა ძალიან ცხელოდა და შორს ჭექა-ქუხილის ხმა ისმოდა, გალიასთან მისულმა გარეულმა ენოტებმა პატარა ენოტს დაუძახეს, მაგრამ მათ არავინ უპასუხა.

ისინი შიშით მიუახლოვდნენ და კინაღამ ფეხი დაადგეს უზარმაზარ გველს, რომელიც

შესასვლელთან დახვეულიყო. ენოტები მაშინვე მიხვდნენ, რომ გველმა მათ პატარა ენოტს უკბინა, როცა ის გალიაში შედიოდა და მათ იმიტომ არ სცემდა პასუხს, რომ შესაძლოა უკვე ცოცხალიც აღარ იყო. ოჰ, ისინი შურს იძიებენ! ენოტებმა მყისვე შეუტიეს ჩხრიალა გველს, მის თვალწინ აქეთ-იქით დახტოდნენ, მეორე წამს კი ეცნენ და მოკლეს.

შემდეგ გალიასთან მიიბრინეს: იქ, ფეხებგაფშეკილი, მათი პატარა ენოტი იწვა, მთლად დასივებული, თათები უცახცახებდა და კვდებოდა. ისინი ამოდ დასტრიალებდნენ თავს, ამოდ ლოკავდნენ მთელი ნახევარი საათი. პატარა ენოტმა საბოლოოდ ამოიხვნეშა და მოკვდა. საერთოდ, ენოტები დიდად მგრძნობიარენი არ არიან გველის შხამის მიმართ, მაგრამ ჩვენს პატარა ენოტს ქვეწარმავალმა, ალბათ, პირდაპირ ვენაში უკბინა, ამიტომ მოკვდა ის ასე სწრაფად. როცა დარწმუნდნენ, რომ მათი პატარა აღარ ინძრეოდა, დედა ენოტი და ძმები მწარედ ატირდნენ და დიდხანს ქვითინებდნენ, შემდეგ ნელ-ნელა გამოვიდნენ გალიიდან, რადგან ველარაფერს იღონებდნენ, უკანასკნელად შემოუარეს იმ სახლს, სადაც ასე ბედნიერად ცხოვრობდა მათი პატარა ენოტი და ტყისკენ გასწიეს.

მაგრამ ტყეში დაბრუნებულებს ერთი აზრი არ აძლევდა მოსვენებას: რას იტყვიან ბავშვები, როცა მეორე დილით თავიანთ ძვირფას მეგობარს მკვდარს ნახავენ? მათ ხომ ის ძალიან უყვარდათ, ენოტებსაც ასევე ძლიერ შეუყვარდათ ეს ქერათმიანი პატარები.

ასე მსჯელობდა სამი ენოტი და საბოლოოდ გადაწყვიტეს გული არ ეტკინათ ბავშვებისთვის. მათ ასეთი რამ მოიფიქრეს: შუათანა ენოტი, რომელიც გარეგნობითაც და ქცევებითაც ძალიან ჰგავდა თავის უმცროს ძამიკოს, დაღუპული ძმის მაგივრად უნდა დარჩენილიყო გალიაში. პატარა ენოტისგან სახლის ყველა შესასვლელი კარგად იცოდნენ და ამიტომ ყველაფერი გააკეთეს, რათა ბავშვები ვერაფერს მიმხვდარიყვნენ. «შესაძლოა, პატარა ადამიანებს ზოგჯერ გაუკვირდეთ თავიანთი მეგობრის უცნაური საქციელი, მაგრამ ეგ არაფერი», – ფიქრობდნენ ენოტები. ასეც მოხდა.

როგორც ჩაიფიქრეს, ისე მოიქცნენ. ტყეში დაბრუნდნენ და თან მკვდარი პატარა ენოტი წაიღეს, მის ნაცვლად კი გალიაში შუათანა ძმა დარჩა. საბრალო პატარა ენოტი!

მეორე დღეს ბავშვებს მართლაც გაუკვირდათ თავიანთი მეგობრის უცნაური ქცევები, მაგრამ როცა დაინახეს, რომ ძველებურად ისეთივე კეთილი და ალერსიანი იყო, ვერაფერი იეჭვეს. პატარა ენოტმა და ბავშვებმა მხიარული თამაშები გააგრძელეს,

ხოლო გარეულმა ენოტებმა – ყოველ სადამოს თავიანთ პატარასთან სტუმრობა. იგი მათ მოხარული კვერცხებით უმასპინძლდებოდა, ისინი კი ტყის ამბებს უყვებოდნენ.

გიგანტური კუ

ოდესღაც ბუენოს-აირესში ერთი კაცი ცხოვრობდა. ცხოვრობდა ბედნიერად, რადგან ჯანმრთელი და შრომისმოყვარე იყო. მაგრამ ერთხელ ავად გახდა და ექიმებმა ურჩიეს, რომ მხოლოდ სუფთა ჰაერზე მომჯობინდებოდა, ქალაქში მისი დარჩენა კი არაფრით არ შეიძლებოდა. მაგრამ მას არსად არ უნდოდა წასვლა: ის რომ გამგზავრებულიყო, მისი უმცროსი ძმები შიმშილისგან დაიხოცებოდნენ. იგი ყოველდღიურად სულ უფრო და უფრო ცუდად ხდებოდა და აი, ბოლოს, მისმა ერთმა მეგობარმა, ზოოლოგიური ბაღის დირექტორმა, უთხრა მას:

– თქვენ ჩემი მეგობარი ხართ, მე ვიცი, რომ პატიოსანი და გამრჯე ადამიანი ბრძანდებით, ამიტომ მინდა საცხოვრებლად ქალაქიდან მოშორებით, ტყეში გადახვიდეთ. იქ სუფთა ჰაერზე ისეირნებთ და მალე გამოჯანმრთელდებით, ხოლო რადგანაც კარგი მსროლელი ხართ, ინადირეთ ველურ მხეცებზე და როცა ჩამოხვალთ, მათი ტყავები ჩამომიტანეთ. ფულს წინასწარ გადაგიხდით, რომ თქვენს ძამიკოებს უთქვენოდ არაფერი გაუჭირდეთ.

სნეული დათანხმდა და საცხოვრებლად გაემგზავრა ქალაქიდან ძალიან შორს, მისიონესშიც კი არა, უფრო შორს.

იქ ძალიან თბილოდა და ავადმყოფმაც ნელ-ნელა დაიწყო გამოკეთება.

ტყეში სულ მარტო ცხოვრობდა და საჭმელს თვითონ იკეთებდა. ფრინველებსა და გარეულ ცხოველებზე ნადირობდა და ამიტომ სადილად ხორცი ყოველთვის ჰქონდა. ამასთან, ხილსაც მიირთმევდა, რასაც ხეებიდან კრეფდა. ხის ქვეშ ეძინა, ხოლო ცუდი ამინდების დროს სულ ხუთ წუთში წნავდა თავისთვის საჩრდილობელს პალმის ფოთლებისგან და მის ქვეშ იჯდა, თან ჩიბუხს აბოლებდა; წვიმა კი კოკისპირულად ასხამდა და ირგვლივ ტყე ზანზარებდა ქარიშხლის ღრიალით.

მოკლული მხეცების ტყავებისგან მოსასხამი გააკეთა და ყოველთვის მხრებზე ჰქონდა წამოსხმული. ბევრი შხამიანი გველი დაიჭირა და ისინი ამოღრუტნულ გოგრაში ჩასვა; იმ ადგილებში დიდი გოგრებია, ნავთის ბიდონებივით.

ნელ-ნელა ჩვენმა მონადირემ ისევ აღიდგინა ჯანმრთელობა, კვლავ ლოყაწითელა და ჯან-ღონით სავსე გახდა. და აი ერთ მშვენიერ დღეს, როცა ძალიან მოუნდა ჭამა, რადგან ბოლო ორი დღე ნადირობისთვის მეტად უიღბლო გამოდგა, მან ტბის ნაპირზე უზარმაზარი იაგუარი დაინახა, რომელსაც თათებით კუ ეჭირა და მას გვერდულად აყენებდა, ცდილობდა თათი ბაკნის ქვეშ შეეყო, რათა ბრჭყალებით ხორცს მისწვდომოდა. ადამიანის დანახვაზე იაგუარმა

მრისხანედ დაიღრიალა, ისკუპა და ის იყო მონადირეს უნდა მიწვდომოდა, მაგრამ მარჯვე მსროლელმა ტყვია თვალეხს შორის ჩააჭედა და თავის ქალა დაუმსხვრია.

შემდეგ იაგუარს ტყავი გაადრო, რომელიც იმხელა აღმოჩნდა, რომ მთელი ოთახისთვის ხალიჩად გამოდგებოდა.

– ახლა კი, – თქვა მონადირემ, – კუს ხორცს გავსინჯავ, ამბობენ, ძალიან გემრიელიაო.

მაგრამ როცა კუს მიუახლოვდა, დაინახა, რომ ის მძიმედ იყო დაჭრილი – თავი თითქმის მოსწყვეტოდა ტანს და ძლივს იმაგრებდა.

შიმშილის მიუხედავად მონადირეს შეეცოდა საბრალო კუ. თოკით ტანი გარდიგარდმო შეკრა და საჩრდილობელამდე მიათრია, თავისი ერთადერთი პერანგი ნაკუწებად დახია, რადგან ჩვრები არ ჰქონდა და კუს თავი შეუხვია. კუს თოკით მიათრევდა, იმიტომ, რომ ის ძალიან დიდი იყო, სკამზე მაღალი, წონით კი მოზრდილ ადამიანს არ ჩამორჩებოდა.

კუ იქვე კუთხეში დარჩა, საჩრდილობლის ქვეშ და მთელი დღეების განმავლობაში იქ იწვა, ისე, რომ ერთხელაც არ განძრეულა.

მონადირე ყოველდღე მკურნალობდა, თავს უხვევდა, შემდეგ კი ზურგზე მსუბუქად უტყაპუნებდა ხელს.

საბოლოოდ კუ გამოჯანმრთელდა, მაგრამ მაშინ თავად მონადირე გახდა ავად. მას მაღალი სიცხე ჰქონდა, მთელი სხეული სტკიოდა. შემდეგ სულ მთლად ლოგინად ჩავარდა. სიცხე მატულობდა, წყურვილი აწამებდა, ყელი გაუშრა. მონადირე მიხვდა, რომ მძიმედ იყო ავად და მაშინ ხმა ამოიღო, თუმცა სრულიად მარტო იყო და ვერავინ გაიგებდა.

– მე მოვკვდები, – ამბობდა მონადირე, – აქ მარტო ვარ, ადგომა არ შემიძლია, ერთ ჭიქა წყალსაც ვერავინ მომაწვდის. აქ შიმშილისა და წყურვილისგან მოვკვდები. რამდენიმე ხანში სიცხემ კიდევ უფრო მოიმატა და მან გრძნობა დაკარგა.

მაგრამ კუს ყველაფერი ესმოდა და მიხვდა, რა უნდოდა ეთქვა მონადირეს. და მან გაიფიქრა:

«ამ ადამიანს მაშინ არ შევუჭამივარ, თუმცა ძალიან შიოდა. მან გამომაჯანმრთელა. ახლა მე ვუმკურნალებ».

მან ტბისკენ გასწია, იპოვა კუს პატარა ბაკანი, ნაცრითა და ქვიშით კარგად გაწმინდა, წყლით აავსო და კაცს მიუტანა, რომელიც უღონოდ იწვა თავის პონჩოზე^[34] და წყურვილით კვდებოდა. შემდეგ გემრიელი ძირხვენებისა და ნაზი ბალახების მოსაძებნად გაემართა და ისინი

მონადირეს მიუტანა საჭმელად. მონადირე ისე ჭამდა, რომ ვერც ამჩნევდა, ვინ კვებავდა, რადგან გამუდმებით ბოდავდა და ვერავის ცნობდა.

კუ ყოველდღე ტყეში დაეხეტებოდა, გემრიელ ძირხვენებს პოულობდა და მონადირესთან მოჰქონდა; ხეებზე ცოცვა რომ შესძლებოდა, მისთვის ხილსაც იშოვიდა.

ასე კვებავდა იგი მონადირეს მრავალი დღის განმავლობაში, კაცმა კი არც იცოდა, ვის მოჰქონდა მისთვის საჭმელი. ერთ მშვენიერ დღეს იგი გონს მოეგო, აქეთ-იქით გაიხედა და დაინახა, რომ მარტო იყო, რადგან საჩრდილობლის ქვეშ მხოლოდ ის და კუ იმყოფებოდნენ, რომელიც მხოლოდ ცხოველი გახლდათ.

და მან ისევ ამოიღო ხმა:

– მე სულ მარტო ვარ ამ ტყეში, ციებ-ცხელება ისევ გამაწამებს და აქ მოვკვდები, მხოლოდ ბუენოს-აირესშია ის წამლები, რომლებსაც ჩემი მორჩენა შეუძლიათ. მაგრამ იქამდე ვერასოდეს მივაღწევ, და აქ მოვკვდები...

როგორც თქვა, ისევ მოხდა: იმავე საღამოს ციებ-ცხელებამ ახალი ძალით შეუტია და ისევ დაკარგა გრძნობა. მაგრამ კუმ ამჯერადაც გაიგო მისი სიტყვები.

– ის თუ ტყეში დარჩება, – გაიფიქრა მან, – უთუოდ მოკვდება, რადგან აქ წამლები არ არის. ბუენოს-აირესში უნდა წავიყვანო.

ამის თქმა იყო და საქმესაც შეუდგა: თოკების მაგვარი წვრილი და მტკიცე ლიანები დაჭრა, მონადირე ფრთხილად დააწვინა ზურგზე და ისე მიიბა, რომ არ გადმოვარდნილიყო. დიდხანს ვერ მოახერხა კარგად მოერგო ზურგზე თოფი, ტყავები და გველებით სავსე გოგრა, მაგრამ, ბოლოს და ბოლოს, მაინც მოათავსა ეს ყველაფერი, ისე, რომ ავადმყოფიც არ შეუწუხებია და გზას დაადგა.

ამგვარად, კუ ზურგზე ტვირთაკიდებული მიდიოდა და მიდიოდა, დღითა და ღამით. გადაიარა ტყეები და მინდვრები, გადაცურა მთელი ერთი მილის სიგანის მდინარეები, გადალახა გაუვალი ჭაობები, სადაც რამდენჯერმე კინაღამ ჩაეფლო, ზურგზე კი მომაკვდავი ადამიანი ეწვა. ყოველი შვიდი-რვა საათის შემდეგ სადმე მშრალ ადგილზე ჩერდებოდა, თოკებს ხსნიდა და ავადმყოფს ფრთხილად აწვენდა მწვანე ბალახებზე. შემდეგ წყლის მოსატანად მიდიოდა, ტკბილ ძირხვენებს ეძებდა და ეს ყველაფერი მონადირესთან მიჰქონდა. შემდეგ თვითონაც ჭამდა, თუმცა ისე იღლებოდა, რომ გამოძინებას არაფერი ერჩინა.

ზოგჯერ მცხუნვარე მზის ქვეშ უხდებოდა სიარული; დახუთული ზაფხული იდგა, ციებ-ცხელება ძალზე აწამებდა მონადირეს და წყურვილისგან გაწამებული ხმამაღლა ბოდავდა. «წყალი! წყალი!» – ყვიროდა და კუც ყოველ ღონეს ხმარობდა, რომ მისთვის წყალი არ მოეკლო.

ასე მიდიოდა იგი დღეებისა და კვირების განმავლობაში. ყოველი საათის გასვლის შემდეგ სულ უფრო უახლოვდებოდნენ ბუენოს-აირესს, მაგრამ ასევე ყოველ საათს კუ სულ უფრო სუსტდებოდა, სულ უფრო ეცლებოდა ძალა, თუმცა ბედს მაინც არ უჩიოდა. ზოგჯერ ეცემოდა კიდევ და დიდხანს იწვა უმოძრაოდ, მონადირე კი გონს მოდიოდა და ამბობდა:

– მე მოვკვდები, სულ უფრო ცუდად ვხდები, მხოლოდ ბუენოს-აირესში მომარჩენდნენ, მაგრამ მე სიმარტოვეში მოვკვდები აქ, ამ ტყეში.

მას ეგონა, რომ ჯერ კიდევ თავისი საჩრდილობელის ქვეშ იყო და ირგვლივ ვერაფერს ამჩნევდა. მაშინ კუ დგებოდა და ისევ გზას აგრძელებდა.

მაგრამ აი ერთხელ, სადამო ხანს, საბრალო კუ დაეცა და ადგომა ვეღარ შეძლო. ძალამ უმტყუნა. მას ხომ უკვე მთელი კვირა იყო, არაფერი ეჭამა, რათა რაც შეიძლება მალე ჩაეღწია ბუენოს-აირესში.

როცა მთლად დაბნელდა, ჰორიზონტზე რაღაც შორეული სინათლე, რაღაც ნათება დაინახა, რომელიც მთელ ცას ანათებდა, მაგრამ არ იცოდა, ეს რა იყო. გრძნობდა, რომ სულ უფრო სუსტდებოდა და თვალები დახუჭა, რათა მონადირის გვერდით მომკვდარიყო, დარდობდა, რომ ვერ შეძლო ადამიანის გადარჩენა, რომელიც მის მიმართ ასეთი კეთილი იყო.

და მიუხედავად ამისა კუ უკვე ჩავიდა ბუენოს-აირესში, თუმცა ეს არ იცოდა. შუქი, რომელიც ცაზე დაინახა, ქალაქის ჩირაღდნების ათინათი იყო, და ის კვდებოდა, როდესაც უკვე ძალიან ახლოს იმყოფებოდა თავისი გმირული მოგზაურობის საბოლოო მიზანთან.

მაგრამ ვიღაც თავუნამ, – შესაძლოა ეს სულაც თავუნა პერესი^[31] გახლდათ, – შემთხვევით დაინახა მომაკვდავი მგზავრები.

– ეს რა ამბავია! – თქვა თავუნამ. – ასეთი დიდი კუ არასოდეს მინახავს. ზურგზე რა გაქვს? შეშა?

– არა, – ნაღვლიანად უპასუხა კუმ. – ეს ადამიანია. – საით გაგიწევიათ? – იკითხა ცნობისმოყვარე თავუნამ. – მე... მე... ბუენოს-აირესში მინდოდა წასვლა, – ისე ჩუმად უპასუხა საბრალო კუმ, რომ ძლივს გაიგებდით. – მაგრამ, როგორც ჩანს, აქ მოკვდები, იმიტომ რომ ვერასოდეს მივაღწევ...

– უჰ, შე სულელი, – სიცილით თქვა თავუნამ. – ასეთი სულელი კი არასოდეს მინახავს! შენ ხომ უკვე მოხვედი ბუენოს-აირესში! ჩირაღდნები, რომლებიც იქ, წინ ჩანს, სწორედ ბუენოს-აირესია.

ამის გაგონებაზე კუმ ისეთი ძალა იგრძნო, რაც არასოდეს განუცდია, რადგან მასში ისევ აკიაფდა მონადირის გადარჩენის იმედი. და მან გზა განაგრძო.

გარიჟრაჟზე კი, როცა ჯერ კიდევ ყველას ეძინა, ზოოლოგიური ბაღის დირექტორმა ცოცხალ-მკვდარი, ტალახში ამოსვრილი კუ დაინახა, რომლის ზურგზე ლიანებით მტკიცედ მიკრული მომაკვდავი ადამიანი იწვა. დირექტორმა თავისი მეგობარი იცნო და მყისვე იშოვა წამლები, რომელთა მიღებითაც მონადირე სწრაფად განიკურნა.

როდესაც მონადირეს უამბეს იმის შესახებ, თუ როგორ გადაარჩინა იგი კუმ, როგორ გაიარა სამასი მილი მის მოსარჩენად, მასთან განშორება აღარ მოისურვა. და რადგანაც არ შეეძლო სახლში ჰყოლოდა, რადგან იქ ძალიან ცოტა ადგილი იყო, მეგობარმა შესთავაზა თავისთან წაეყვანა, ზოოლოგიურ ბაღში და შეჰპირდა, რომ საკუთარი შვილივით მოუვლიდა.

ასეც მოხდა. ადამიანების ყურადღებითა და ალერსით ბედნიერი კუ მთელ ბაღში დასეირნობს. ეს სწორედ ის თქვენი ნაცნობი კუ გახლავთ, რომელიც ყოველდღე ბალახს წიწვნის მაიმუნების გალიასთან.

სადამოღობით მონადირე მასთან სტუმრად მიდის და ისიც შორიდან იგებს თავისი მეგობრის ნაბიჯებს. რამდენიმე საათს ერთად ატარებენ და კუ ისე არასოდეს უშვებს, სანამ დამშვიდობებისას აღერსიანად არ დაუტყაპუნებს ზურგზე ხელს.

თანასწორობის შესახებ

სენიორა მმართველმა კარი გააღო და კლასში ახალი მოსწავლე შეიყვანა.

– სენიორიტა ამალია, – მშვიდად მიმართა მან მასწავლებელს. – აი თქვენი ახალი მოსწავლე. მეცამეტე სკოლიდან...

არა მგონია, ეს განსაკუთრებულად განვითარებული ბავშვი იყოს. ახალ მოსწავლეს მორიდებით ჩაექინდრა თავი. კაფანდარა, ფერმკრთალი გოგონა ძალზე ღარიბი ოჯახიდან იყო და მისი ფაქიზი შესახედაობა კიდევ უფრო მეტად უსვამდა ხაზს ამ სიღარიბეს.

მასწავლებელმა სწრაფად მოავლო თვალი ახალი მოსწავლის ჩაცმულობას და გაუღიმა:

– ძალიან კარგი, სენიორიტა, აგერ აქ დაჯექით... მაშ ასე, სენიორიტებო, რაზე შევჩერდით?

– მე გპასუხობდით, სენიორიტა! მოყვასის პატივისცემის შესახებ! ჩვენ...

– ერთი წუთით! სენიორიტა პალომერო, ხომ ვერ გვეტყვით, რატომ უნდა ვცეთ პატივი ჩვენს მოყვასს? გოგონა ისე მოიღუშა, რომ თვალები გაუწითლდა და მასწავლებელს მიაშტერდა.

– აბა, სენიორიტა! თქვენ ხომ იცით, ასე არ არის? – დ-დიახ, სენიორიტა!

– მაშინ მიპასუხეთ. ახალ მოსწავლეს ყურები და ლოყები გაუწითლდა, თვალები ცრემლით აევსო.

– კეთილი, კეთილი... დაჯექით, – გაიღიმა მასწავლებელმა. – თქვენ მაგივრად აი, ეს სენიორიტა გვიპასუხებს.

– იმიტომ, რომ ყველანი თანასწორები ვართ, სენიორიტა! – სწორია! იმიტომ, რომ ყველანი თანასწორები ვართ! ჩვენ პატივი უნდა ვცეთ მდიდრებსაც და ღარიბებსაც, ძლიერებსაც და სუსტებსაც. პატივი უნდა ვცეთ ყველას, მინისტრიდან დაწყებული და მენახშირით დამთავრებული. თქვენ ეს გინდოდათ გეთქვათ, სენიორიტა პალომერო, ხომ ასეა?

– დ-დიახ, სენიორიტა...

გაკვეთილმა მშვიდად ჩაიარა. შემდგომ მასწავლებელს საშუალება ჰქონდა დარწმუნებულიყო,

რომ მისი ახალი მოსწავლე არც ისეთი სულელია, როგორც თავიდან ეგონა. მაგრამ გოგონა შინ ყოველთვის სევდიანი ბრუნდებოდა. მიუხედავად იმ თანასწორობისა, რის შესახებაც მათ გაკვეთილებზე ჩასჩინებდნენ, გოგონას კარგად ახსოვდა, როგორი გაოცება გამოიწვია მოსწავლეებში მისმა უხეშმა ბიჭურმა ფეხსაცმელმა. მას ეჭვიც არ ეპარებოდა, რომ ასეთი პათოსით განდიდებულ პატივისცემაში უკანასკნელი საფეხური ეკავა. მამამისი მენახშირე იყო და ფრაზა: «პატივი ყველას უნდა ვცეთ,

მინისტრიდან დაწყებულიდა მენახშირით დამთავრებული» – მას სასოწარკვეთაში აგდებდა. გოგონა სულელი არ იყო და მშვენივრად ესმოდა ამ «დამთავრებულის» მნიშვნელობა, რომ არავითარი თანასწორობა არ არსებობს. გოგონა, ცხადია, სულაც არ უკეთებდა ანალიზს ამ ფრაზას, მაგრამ თავისი უბრალო ფეხსაცმელის ლანჩით გრძნობდა, სად იყო თანასწორობის ის გადაულახავი მიჯნა, რომლის წინაშეც ის უნდა შეჩერებულიყო.

– მამაც კი პატივისცემის ღირსია, – თავისთვის იმეორებდა გოგონა.

და ერთხელ, მამის გვერდით, მისდამი მთელი თავისი სიყვარული და მისი განათლების მიმართ მთელი თავისი პატივისცემა მან მწარე ცრემლებში გადმოანთხია.

– ეგ არაფერი, ხულიტა! – გაიღიმა მამამ. – მაგრამ ნუთუ მართლა ასე თქვა: «მენახშირით დამთავრებულიო»?

– ჰო, მამა.

– ძალიან კარგი. საშუალო სკოლისთვის... მითხარი, იცი რაში მდგომარეობს თანასწორობა, რაზეც თქვენი მასწავლებელი საუბრობს? არა? მაშინ პირველივე ხელსაყრელი შემთხვევის დროს ჰკითხე ამის შესახებ. საინტერესოა, რას იტყვის.

«ხელსაყრელი შემთხვევა» მომდევნო თვეში მიეცა.

– «...იმიტომ, რომ ყველანი თანასწორები ვართ, მდიდრები და ღარიბები, ძლიერები და სუსტები».

– სენიორიტა!.. ერთი რამ არ მესმის... რაში ვართ ყველანი თანასწორები?

რამდენიმე წამით მასწავლებელმა გოგონაზე შეაჩერა მზერა, რაშიც აშკარად გაოცება იგრძნობოდა მისი უმეცრების გამო; ანდა შესაძლოა, მან მხოლოდ პაუზით ისარგებლა, რათა სასწრაფოდ მოეფიქრებინა შესაფერი პასუხი.

– სენიორიტა, – თქვა ბოლოს. – თქვენ რას ფიქრობთ? თუ პირველკლასელს დავუძახოთ ყველაფრის ასახსნელად? ამაზე რას იტყვით, სენიორიტებო?

მასწავლებლისგან წაქეზებული გოგონები დიდხანს და ხმამაღლა იცინოდნენ თავიანთ მეგობარზე.

– ასე! – ჩაიბუზღუნა მამამ. – სხვა პასუხს არც ველოდი. გულნატკენმა და თავგზააზნეულმა ხულიამ ეჭვით გახედა მამას.

– მაინც რაში ვართ თანასწორები, მამა?

– რაში, ჩემო გოგონა?.. იქ ალბათ გეტყოდნენ, რომ ყველანი ადამის შვილები ვართ, ან რომ თანასწორი ვართ კანონისა და სიკვდილის წინაშე... რომ გაიზრდები, მერე ვილაპარაკოთ. როცა ოქტომბრის თვეში განვლილი მასალა განმეორდა, მოყვასის მიმართ პატივისცემა ისევ ყურადღების ქვეშ მოექცა. მასწავლებელს ალბათ გაახსენდა ოდესღაც წამოჭრილი შეკითხვა, წამით ჰაერში გაუშეშდა თითი და თქვა:

– დიახ, მახსენდება... სენიორიტა პალომერო, მგონი თქვენ არ იცოდით, რაში ვართ ყველანი თანასწორები.

გასული თვეების განმავლობაში გოგონამ ძალიან კარგად შეითვისა ეს აქსიომა: ხოლო როგორც ცნობილია, ამგვარი დოგმები მოსწავლეებში მათში გარკვევის დაუძლეველ სურვილს იწვევს. ხულიასაც იგივე დაემართა. თუმცა მამის სიყვარულმა და მისი განათლების პატივისცემამ თავისი გაიტანა.

– არა, სენიორიტა...

ხულია ატირებული გამოვიდა საკლასო ოთახიდან. რამდენიმე დღის შემდეგ მთელი სკოლა უჩვეულო მღელვარებამ შეიპყრო: სენიორა დირექტორის იუბილე უნდა აღენიშნათ. დამდეგი ზეიმისთვის გოგონებს შესთავაზეს ყვავილების თაიგულები მოეტანათ, რომელთაგან ერთ-ერთს იუბილარს მიართმევდნენ.

მეორე დღეს მმართველის თანაშემწემ მოსწავლეებს ღია ბარათები დაურიგა და ზეიმზე მოსაწვევები მათი მშობლებისთვის. ხულია ამაოდ ელოდა თავის ბარათს: ისინი მხოლოდ კარგად ჩაცმულ მოსწავლეებს ერგოთ.

– ჰოო... – თქვა მენახშირემ. – ესეც შენ იმის შედეგი, რაზეც ვსაუბრობდით... გინდა ზეიმზე ყველაზე ლამაზი თაიგულით მიხვიდე? სიამაყისგან აჭარხლებული გოგონა მამას ჩაეხუტა.

და როდესაც მოსწავლეები შურით შეჰყურებდნენ მის თაიგულს, იგი ნეტარების მწვერვალზე იყო. დიახ, ეს მართლაც ყველაზე ლამაზი თაიგული გახლდათ. იმის გაფიქრებაზე, რომ სწორედ ის მიართმევს დირექტორს ყვავილებს და არა მისი რომელიმე მორთულ-მოკაზმული თანაკლასელი, გოგონა მღელვარებისგან ცახცახებდა.

და აი, საზეიმო მომენტიც დადგა. მასწავლებელმა ხულიას თავზე გადაუსვა ხელი, თაიგული გამოართვა და სახალხო განათლების მინისტრის ქალიშვილს, მათი სკოლის მოსწავლეს გადასცა, რომელმაც მქუხარე აპლოდისმენტების თანხლებით მიართვა ყვავილები აღელვებულ დირექტორს. ამჯერად მენახშირე ძალიან გაბრაზდა.

– იტირე, ჩემო პატარავ, იტირე. ასეც უნდა მომხდარიყო, ეს გარდაუვალია. გითხრა სიმართლე?! – შესძახა მან და მაგიდას მუშტი დასცხო. – საქმე ისაა, რომ არავის, გესმის, არავის, დაწყებული შენი დირექტორით და დამთავრებული მისი უკანასკნელი თანაშემწით, არ სჯერა არც ერთი სიტყვა, რასაც თვითონვე ამბობენ თანასწორობაზე. ან იქნებ, შენთვის ცოტაა ის

მტკიცებულებები, რაც უკვე მიიღე?.. თუმცა, ჯერ კიდევ ბავშვი ხარ... აი, როცა მასწავლებელი გახდები და შენს მოსწავლეებს თანასწორობაზე უამბობ, მაშინ ეს ყვავილების თაიგული გაიხსენე, და გამიგებ.

– დიახ, – მითხრა მასწავლებელმა, რომელიც ღიმილით იხსენებდა თავისი ბავშვობის ეპიზოდებს, – ჩემთვის ძნელი იყო ამ წყენის დავიწყება. და მაინც, მამა არ იყო მართალი. როცა ადამიანი გაცილებით მეტად განათლებულია, ვიდრე მისი

გარემოცვა, მისი გონება ერთგვარად კარგავს სისხარტეს და ყველაფერს სწორად ვეღარ აფასებს... საბრალო მამა! ისძალზე გონიერი იყო. ჩემმა მოსწავლეებმა კი მშვენივრად იციან, რადგან მე განუწყვეტლივ ამას ვუმეორებ, რომ ყველანი თანასწორნი ვართ, მინისტრიდან დაწყებული და მეწალით დამთავრებული.

ორი ხულიეტა

როდესაც ხელმოკლე ადამიანი ქორწინებას გადაწყვეტს, მატერიალური კეთილდღეობისათვის შეიძლება ნებისმიერი გმრობა ჩაიდინოს. ხშირად იმარჯვებს კიდევ, რადგან მისი სიყვარული, პასუხისმგებლობის გრძნობა და საკუთარი ძალების უსაზღვრო რწმენა აგულიანებს. მაგრამ თუ სტიმულს ქალის სიყვარული აძლევს, მაშინ საქმეს, როგორც წესი, სხვა დასასრული აქვს.

რამოსი ძალიან ღარიბი იყო, როცა ხულიეტა გაიცნო. ერთ-ერთ სადაზღვევო კომპანიაში პოლისების გაცემით თვეში სულ ას ოცდაათ პესოს იღებდა; ჭაბუკს მშვენივრად ესმოდა, რამდენჯერმე მეტიც რომ აელო, ვერც მაშინ შეძლებდა თავისი საცოლისთვის მომავლის უზრუნველყოფას, მაგრამ სიყვარული ყველაფერზე ძლიერი აღმოჩნდა და რამოსი დაინიშნა, ეს კი ნიშნავდა ძველებური სიზარმაცისაგან დაუყოვნებლივ გათავისუფლებას ყველა იმ საკითხში, რაც მატერიალურ მდგომარეობას ეხებოდა.

ადრე რამოსს არასოდეს სწამდა თავისი ძალების. მთელი თავისი ერთფეროვანი ცხოვრების განმავლობაში მას აზრადაც არ მოუვიდოდა რაიმე გაბედული ნაბიჯის გადადგმა, სიყვარულს მის სულში სილატაკისგან ნებისმიერ ფასად თავის დაღწევის მისწრაფება რომ არ გაეღვიძებინა. მან თავის თავში ისეთი თვისებები აღმოაჩინა, რაზეც ადრე წარმოდგენაც არ ჰქონდა და ქალაქ

სალტას შაქრის ქარხანაში მოეწყო სამუშაოდ. მისთვის ახალი საქმე ძნელი არ იყო, ამასთან, რამოსი საკმაოდ ნიჭიერი ადამიანი გახლდათ და ხულიეტას სიყვარულიც ძალას მატებდა.

იმ საღამოს, როდესაც საცოლეს თავისი გეგმების შესახებ აუწყა, ხულიეტა დიდხანს ტიროდა, ხან გულგრილი და ფიქრიანი ხდებოდა, ხან კი აღტაცებით ეხვეოდა. სალტა! ოჰ, ეს ხომ ძალიან შორსაა. ნუთუ არ შეიძლება აქ დარჩენა? ნუთუ თვეში ას ოცდაათ პესოზე ვერ იცხოვრებენ?.. რამოსი უფრო მეტ სად აზრს ინარჩუნებდა და ხულიეტას უკანასკნელ სიტყვებზე მხოლოდ სევდიანად გააქნია თავი. თანაც, ის ხომ დროებით მიდის. დარწმუნებულია, რომ ორ წელიწადში დიდ ფულს დააგროვებს, დაამყარებს საქმიან კავშირებს... და ისინი დაქორწინდებიან. ამ სიტყვებმა ხულიეტა ისევ იმედით, სიმამაცითა და მომავლის რწმენით აავსო. და აი ჭაბუკი სალტაში გაემგზავრა.

როდესაც რამოსი შაქრის ქარხანაში გამოცხადდა, პეონთა საბუთები ისეთ მდგომარეობაში დახვდა, რომ მინიმალური წესრიგის დასამყარებლად მას არაერთი დღე დასჭირდა. იგი ისე ბეჯითად მუშაობდა და ისეთ მოთმინებას იჩენდა პეონებთან ურთიერთობისას – მას კი უწევდა გარკვეულიყო ორასი ინდიელის ეკონომიკურ დიალექტიკაში, – რომ მაშინვე დაიმსახურა მმართველის კეთილგანწყობა, თუმცა ამ გარემოებას მის შრომის რიტმზე არავითარი გავლენა არ მოუხდენია, რაც რამოსის მხრიდან საკმაოდ გონიერი ნაბიჯი იყო.

ამასობაში ბუენოს-აირესიდან წერილები მოდიოდა: «ამას ვერ შევურიგდები». «ძალიან ვდარდობ». «შენს ადგილზე დღესვე გამოფრინდებოდი შენს ხულიეტასთან». «არ შეგიძლია თუნდაც რამდენიმე დღით ჩამოხვიდე?» რამოსი

პასუხობდა, რომ სწორედ მისი სიყვარულის გამო უნდა დარჩეს. და მართლაც, სამუშაოზე ჯერ კიდევ ისეთი ვითარება იყო, რომ წასვლაზე ვერც იოცნებებდა.

მაგრამ ერთ საღამოს ხულიეტასგან დეპეშა მიიღო: იგი მძიმედ ავად გამხდარიყო. ახალგაზრდა კაცს თავზარი დაეცა და სიმწრით ჩაფიქრდა თავის დაუმთავრებელ სამუშაოზე. მიუხედავად ამისა, მმართველს მიმართა, რომელმაც ცივად შეახსენა, რომ მისი გამგზავრება ჯერჯერობით მეტად არასასურველი იყო. მაგრამ რამოსი დაჟინებით ითხოვდა: მისი საცოლე სიკვდილის პირასაა.

...ბუენოს-აირესში ჩასვლისთანავე თავისი საცოლისკენ გაექანა. აღფრთოვანებული ხულიეტა კისერზე ჩამოეკიდა.

– როგორც იქნა, ჩამოხვედი! – იცინოდა იგი. – ნიძლავს ჩამოვალ, ის დეპეშა რომ არა, ალბათ ახლა აქ არ იქნებოდი!

რამოს ძალიან უყვარდა თავისი საცოლე და ბოლო სამი თვის საშინელი განშორების სიმწარე სულს უფორიაქებდა.

– ეს არ უნდა გაგეკეთებინა, – თქვა მან საბოლოოდ. – მე ხომ შენი ნახვა მინდოდა!

– ჰო, მაგრამ როცა დავბრუნდები, შეიძლება დამითხოვონ.

– დიდი ამბავი! – ხულიეტა რამოსს მოეხვია.

საღამომ მღელვარედ ჩაიარა. როცა რამოსმა უთხრა საცოლეს, რომ მეორე დღესვე უნდა წასულიყო, ხულიეტა უკმაყოფილოდ მოიქუფრა.

– ჰო, ვიცი, იმიტომ მიდიხარ, რომ არ გიყვარვარ.

– არა, ასე არ არის! აქ შიმშილით ხომ არ უნდა მოვკვდე! – არ ვიცი, არაფერი არ ვიცი! რომ გიყვარდე, არ წახვიდოდი.

ჭაბუკი დამძიმებული გულით დაბრუნდა სალტაში. ბოლო დღეებში თითქოს რამდენიმე წლით დაბერდა. ოთხი დღის შემდეგ ხულიეტასგან წერილი მიიღო, რომელშიც გოგონა ატყობინებდა, რომ წყვეტს მასთან კავშირს. ასე ორივესთვის უკეთესი იქნება.

რამოსი მშვენივრად ხვდებოდა, რომ ხულიეტამ ეს წერილი დედამისის გავლენით დაწერა, რომელმაც საბოლოოდ თავისას მიაღწია. რამოსს სამუშაო რჩებოდა, თავისი სამუშაო. ჭაბუკს, რომელიც მრავალი წლის განმავლობაში შიმშილობდა, ესმოდა, რომ, ბოლოს და ბოლოს, ამ ცხოვრებისეული აუცილებლობის წინაშე დადგებოდა. იგი შეძლებს გამდიდრებას და იქნებ ბედნიერებასაც მიაღწიოს, მაგრამ მმართველს არ უყვარდა სამუშაოზე საქმროების გაჩერება და განუცხადა რამოსს, რომ ურჩევნია სხვა ბუღალტერი დაიქირავოს, რომელსაც სასიყვარულო ვნებები ნაკლებ პრობლემებს უქმნის.

რამოსს აღარაფერი რჩებოდა. ისევ შიმშილი, შემდეგ რომელიღაც კომპანიაში მუშაობა თვეში ას პესოდ, და ასე მთელი ცხოვრება. სიყვარული, ბედნიერება, და რაც მთავარია, საკუთარი თავის რწმენა – ყველაფერი წარსულში შთაინთქა.

ერთ კვირა დღეს, როცა რამოსი ლინიერსში მიემგზავრებოდა, ვაგონში ახალგაზრდა სენიორა შემოვიდა ორ ბავშვთან ერთად. მატარებელი დაიძრა და სენიორა, რომელმაც სულის მოთქმაც ვერ მოასწრო, რამოსის პირისპირ დაეშვა სკამზე. კაცი ფანჯარაში იყურებოდა. როდესაც სენიორასკენ მოიხედა, მათ მაშინვე იცნეს ერთმანეთი. რამოსმა სწრაფად მოავლო მზერა მის

ტანსაცმელს და შემკრთალი მიესალმა. ქალმა, რომელიც სასიამოვნოდ იყო გაოცებული, ასევე გაუღიმა და კიდევ უფრო სწრაფად შეათვალიერა მისი სამოსი. იგი ძალზე გასუქებულიყო და სახეზე სრული ბედნიერება ეწერა.

– ამ გზით ხშირად დადიხართ? – იკითხა ქალმა.

– არა, აქ შემთხვევით ვარ...

– რა კარგია! აღარ მოვიწყენ... ზაფხულს აედოში ვატარებთ... იქ ფერმა გვაქვს. ქალი კაცზე გაცილებით მეტს ლაპარაკობდა.

– ცოლიანი ხართ? – იკითხა მან გულწრფელი ინტერესით.

– არა...

– მე ერთი წლის შემდეგ გავთხოვდი...

მან გაიღიმა და მორცხვად დადუმდა. მაგრამ აი, ისევ გაიღიმა, სრულიად გულლიად, იგი ხომ უკვე ექვსი წელია გათხოვილია და ორი შვილი ჰყავს.

– გახსოვთ ის დეპეშა, მე რომ გამოგიგზავნეთ? როცა ვიხსენებ... ჩიჩა, წინდები აიწიე! – მან ბედნიერი სახით მიმართა ბავშვს, რომელიც ადგილზე ვერ ისვენებდა. რამოსმა ალმაცერად გახედა ბავშვებს. გოგონებს მშვენივრად ეცვათ. ასე თავიანთ ბავშვებს მხოლოდ ის ქალები აცმევენ, რომლებსაც ოჯახური ცხოვრების პირველი დღიდანვე შეძლებული ქმრები ჰყავთ. მატარებელი ლინიერსს უახლოვდებოდა და რამოსიც დაემშვიდობა თავის თანამგზავრს. მან კვლავ ქალის დაკვირვებული მზერა იგრძნო.

«ცხადია, – სევდიანად გაიფიქრა მან ბავშვების ნაზი წინდების გახსენებისას, – მე არაფრად ვვარგვიარ». ეს კი გაცილებით ადრე გაითვალისწინა ხულიეტას დედამ.

ბრმა ფურირემი

ოდესღაც ტყეში ფურირემი ცხოვრობდა, რომელსაც ორი ტყუპი დაებადა, რაც ფურირემებში იშვიათად ხდება. ერთი ველურმა კატამ შეუჭამა და ცოცხალი მხოლოდ პატარა ფური დარჩა. ირმებს ის ძალიან შეუყვარდათ და უხაროდათ, როდესაც გვერდებში უღიტინებდნენ.

დედა აიძულებდა მას ყოველ დილით, გარიჟრაჟზე, ირემთა მცნებები გაემეორებინა, სადაც ნათქვამი იყო:

ფოთლები ჭამის წინ კარგად უნდა დაეცნოსო, რადგან ზოგიერთი მათგანი შხამიანია.

მდინარეს კარგად უნდა დააკვირდე, სანამ წყლის დასაღვევად დაეშვები, რათა დარწმუნდე, რომ იქ ნიანგები არ არიან.

ყოველ ნახევარ საათში თავი მაღლა უნდა ასწიო და ჰაერი დაეცნოსო, რათა იაგუარის სუნი იგრძნო.

როცა მდელიოზე ბალახს ჭამ, მას კარგად უნდა დააკვირდე, რათა გველი დროულად შენიშნო.

ეს მცნებები ყველა ირმის ნუკრისთვის «მამაო ჩვენოა» და როდესაც პატარა ფურირემმა კარგად დაისწავლა ისინი, დედა მარტოს უშვებდა სასეირნოდ.

ერთხელ, სადამო ხანს, როცა პატარა ფურირემი ტყეში დაეხეტებოდა და ნაზ ფოთლებს მიირთმევდა, უცებ დამპალი ხის ფულუროში უამრავი, რაღაც უცნაური, მტევნებად დაკიდული ბურთულები დაინახა. ისინი შავი ფერის იყო, გრიფელის დაფასავით.

რა შეიძლებოდა ეს ყოფილიყო? ფურირემი ოდნავ შეშინდა, მაგრამ რადგანაც დიდი ონავარი გახლდათ, უცნაურ მტევნებს ურქინა და მაშინვე მოკურცხლა.

მაღე შეჩერდა, უკან მოიხედა და დაინახა, რომ ბურთულები გასკდა და მათგან რაღაც ჩამოიღვენთა, და კიდევ უამრავი ოქროსფერი ბუზი გამოძვრა, რომლებსაც სიფრიფანა სხეულები ჰქონდათ და შეშფოთებით დაიწყეს აქეთ-იქით ტრიალი.

ფურირემი ახლოს მივიდა. ბუზები ყურადღებას არ აქცევდნენ. მაშინ ფრთხილად, ძალიან ფრთხილად გასინჯა ერთი წვეთი და კმაყოფილებით გაილოკა: წვეთები თაფლი აღმოჩნდა და თანაც ძალიან გემრიელი, იმიტომ, რომ მუქი ფერის ბურთულები სხვა არა იყო რა, თუ არა ფიჭა, რომელიც პატარა ფუტკრებს ეკუთვნოდა. ისინი არ იკბინებოდნენ, რადგან ნესტარი არ ჰქონდათ. ასეთი ფუტკრებიც არიან.

ორიოდე წუთში ფურირემმა მთელი თაფლი შეჭამა და სიხარულით ფრთაშესხმული დედასთან გაიქცა ახალი ამბის სათქმელად. მაგრამ დედამ მკაცრად დატუქსა.

- რაც შეიძლება ფრთხილად იყავი, შვილო, - თქვა დედამ. - თაფლი ძალიან გემრიელია, მაგრამ ფიჭიდან მისი ამოღება ძალზე სახიფათოა. ამას ყოველთვის ერიდე.

მაგრამ პატარა ფურირემი სიხარულით ჭკუაზე აღარ იყო. - ისინი ხომ არ იკბინებიან, დედა! იკბინება მხოლოდ კრაზანა და ბუზანკალი, ფუტკარი კი - არა.

- ცდები, ჩემო პატარა, - შეუსწორა დედამ. - დღეს უბრალოდ გაგიმართლა. ძალიან ცუდი ფუტკრებიც არიან. ფრთხილად იყავი, შვილო, რაიმე უბედურებას არ გადაეყარო.

- კარგი, დედა, კარგი! - დაამშვიდა პატარა ფურირემმა. მაგრამ მეორე დღეს დილიდანვე გაიქცა განაკაფზე, რომელიც ადამიანებმა უღრან ტყეში გაკაფეს. ეგონა, რომ იქ უფრო ადვილად იპოვიდა ფუტკრის ფიჭებს.

ბოლოს ერთი ფიჭა იპოვა. ამჯერად ფუტკრები მუქი ფერის იყვნენ, ზურგზე ყვითელი ზოლით. ისინი აფორიაქებულები დასტრიალებდნენ თავს თავიანთ ბუდეს, რომელიც ასევე სხვანაირი

იყო. პატარა ფურირემმა კი გაიფიქრა: «რადგან ფუტკრები უფრო დიდები არიან, თაფლიც, ალბათ, უფრო გემრიელი იქნება».

მას დედის რჩევა გაახსენდა, მაგრამ ჩათვალა, რომ დედა აჭარბებდა, რადგან დედა ირმები ყოველთვის ყველაფერს აჭარბებენ. და მთელი ძალით ურქინა ბუდეს.

ოჰ, ნეტავ ეს არ გაეკეთებინა! მაშინვე ათასობით კრაზანა გამოვარდა ბუდიდან, შემოეხვივნენ და უმოწყალოდ დაუწყეს კბენა დრუნჩზე, ფეხებზე, მთელ სხეულზე. მათი ნესტრები ესობოდა თავში, მუცელში, კუდში – ყველგან, ყველგან... მაგრამ ყველაზე ცუდი ის იყო, რომ კრაზანები მას თვალებშიც კბენდნენ. ათზე მეტმა კრაზანამ დაუნესტრა თვალები.

ტკივილისგან გაგიჟებული პატარა ფურირემი ხმამაღალი ყვირლით გაიქცა და მანამდე მირბოდა, სანამ გარშემო ველარაფერი დაინახა: ის დაბრმავდა, სულ, სულ დაბრმავდა.

ქუთუთოები საშინლად დაუსივდა, თვალები ძალიან სტკიოდა, ვერაფერს ხედავდა. შიშისა და ტკივილისგან აცახცახებული გაუნძრევლად იდგა და მწარედ სლუკუნებდა:

– დედა!.. დედა!..

დედამ, რომელიც უკვე თავისი ქალიშვილის მოსაძებნად გამოსულიყო, რადგან მას ძალიან დააგვიანდა, საბოლოოდ იპოვა იგი და სასო წარეკვეთა, როცა დაინახა, რომ მისი პატარა დაბრმავებულიყო. მან ფრთხილად წაიყვანა იგი სახლში და სანამ მივიდოდნენ, ფატარა ფურირემს თავი დედის კისერზე ედო, ხოლო ცხოველები, რომლებიც მათ გზაში ხვდებოდნენ, სევდიანად უმზერდნენ პატარა ფურირემის დაბრმავებულ თვალებს.

დედამ არ იცოდა, რა განეკურნა. როგორ განკურნოს შვილი? მაგრამ მას გაგონილი ჰქონდა, რომ სოფელში, ტყის გადაღმა ცხოვრობს კაცი, რომელსაც ბევრი წამალი აქვს... ეს კაცი მონადირე იყო და ზოგჯერ ირმებზეც ნადირობდა, მაგრამ საერთოდ, ის ძალიან კეთილი იყო.

დედას ჯერ ეშინოდა შვილი ადამიანთან წაეყვანა, რომელიც ირმებზე ნადირობდა, მაგრამ სასოწარკვეთამ აიძულა ასე მოქცეულიყო. თუმცა, სანამ მონადირესთან გაემურებოდა, გადაწყვიტა სარეკომენდაციოწერილი ეთხოვა ჭიანჭველაჭამიასთვის, რომელიც ადამიანის დიდ მეგობრად ითვლებოდა.

და მალე, პატარა ფურირემის საიმედო ადგილზე დატოვების შემდეგ, ის უკვე ტყეში მირბოდა და იაგუარის თათებს სასწაულით გადაურჩა. როცა თავისი მეგობრის სახლს მიაღწია, ისე იყო დაღლილი, რომ ნაბიჯის გადადგმაც აღარ შეეძლო.

ეს მეგობარი, როგორც უკვე აღვნიშნეთ, ჭიანჭველაჭამია გახლდათ, მაგრამ არა ჩვეულებრივი, არამედ განსაკუთრებული ჯიშის ჭიანჭველაჭამია, პატარა. მას

ყვითელი ქურქი ეცვა, ხოლო ყვითელი ქურქის ზემოდან – შავი ჟილეტი მხრებზე ორი თასმით. ასეთ ჭიანჭველაჭამიებს ძალიან მოქნილი კუდი აქვთ, რადგან ისინი ხეებზე ცხოვრობენ და ტოტებზე კუდით დაკიდება უყვართ.

როგორ დამეგობრდნენ ჭიანჭველაჭამია და მონადირე? ტყეში ეს არავინ იცოდა, მაგრამ ოდესმე ამასაც გავიგებთ. ამგვარად, საბრალო დედამ ჭიანჭველაჭამიას სახლთან მიირბინა. ტუკ-ტუკ-ტუკ, – დააკაკუნა მან, სწრაფი სირბილისგან სულს ძლივს ითქვამდა.

– ვინ არის? – იკითხა ჭიანჭველაჭამიამ. – მე ვარ, ფურირემი!

– აი, ვინ ყოფილა! რა გნებავს, ფურირემო?

– თქვენთან სარეკომენდაციო წერილის სათხოვნელად მოვედი, რაც მონადირეს მინდა მივუტანო. ჩემი გოგონა, პატარა ფურირემი, სრულიად დაბრმავდა.

– ოჰ, პატარა ფურირემი? – შეწუხდა ჭიანჭველაჭამია. – ის ძალიან საყვარელია. თუ მისთვის გჭირდებათ, კეთილი, მოგცემთ, რასაც ითხოვთ. არაფრის დაწერა არ არის საჭირო...

ეს უჩვენეთ და მიგიღებთ.

და თავისი კუდის წვერით ჭიანჭველაჭამიამ ფურირემს გველის გამხმარი თავი გაუწოდა, მთლად გამხმარი თავი რომელსაც შხამიანი კბილები შენარჩუნებული ჰქონდა.

– ეს უჩვენეთ, – გაიმეორა ჭიანჭველებზე მონადირემ. – სხვა არაფერია საჭირო.

– გმადლობ, ძვირფასო ჭიანჭველაჭამია! – უთხრა ძალიან კმაყოფილმა ფურირემმა, – თქვენც ძალიან საყვარელი არსება ბრძანდებით. და ის სწრაფად გაიქცა, რადგან უკვე გვიანი ღამე იყო და განთიადი ახლოვდებოდა.

მან თავის მღვიმეში მიირბინა, გამოიყვანა თავისი ქალიშვილი, რომელიც გამუდმებით ჩუმად კვნესოდა და ისინი ერთად მივიდნენ სოფელში, სადაც ძალიან ნელა მოუწიათ სიარული. ისინი სახლების კედლებს ეკვროდნენ, ძაღლებს რომ სუნის არ ეგრძნოთ.

და აი ისინი უკვე მონადირის სახლის კართან არიან. ტუკ-ტუკ-ტუკ! – დააკაკუნა დედა ირემმა.

– ვინ არის? – გაისმა კარის უკან ადამიანის ხმა. – ჩვენ ვართ, ფურირემები!.. გველის თავი მოვიტანეთ.

დედამ სასწრაფოდ აუწყა ეს მონადირეს, რათა მას სცოდნოდა, რომ ისინი ჭიანჭველაჭამიას მეგობრები არიან.

– ჰოო, – თქვა მონადირემ კარის გაღებისას. – რა მოხდა? – ჩვენ თქვენთან მოვედით, რათა ჩემს გოგონას დაეხმაროთ, პატარა ფურირემს, – ის დაბრმავდა.

და დედამ მონადირეს მთელი ეს ტრაგიკული ამბავი უამბო. – ჰმ!.. აბა, ვნახოთ, რა სჭირს ამ სენიორიტას, – თქვა მონადირემ.

ის სახლში შებრუნდა, მაღალი სკამი გამოიტანა და მასზე პატარა ფურირემი ისე დასვა, რომ ადვილად შეძლებოდა მისი თვალების დანახვა. იგი დიდხანს ათვალიერებდა მათ დიდი მრგვალი შუშით, საბრალო დედა კი ფარნით უნათებდა.

– საშიში არაფერია, – თქვა ბოლოს მონადირემ და პატარა ფურირემს სკამიდან ჩამოსვლაში მიეხმარა. – მაგრამ მოთმინებაა საჭირო. ყოველ საღამოს თვალებზე ეს მაღამო დაადეთ და ოცი დღე სიბნელეში გყავდეთ, შემდეგ კი ეს ყვითელი სათვალე გაუკეთეთ და აუცილებლად განიკურნება.

– დიდი მადლობა, სენიორ! – სიხარულით თქვა მადლიერმა ფურირემმა. – როგორი დავალებული ვარ თქვენგან!

– არაფერია, – ღიმილით უპასუხა მონადირემ. – მხოლოდ ძაღლებს მოერიდეთ: მეზობელ კვარტალში ერთი კაცი ცხოვრობს, რომლის ძაღლებიც სპეციალურად ირმებზე არიან დაგეშილი.

ფურირემებს ძალიან შეეშინდათ. უკანა გზაზე ისინი ფრთხილად მიდიოდნენ, მიწას ოდნავ ადგამდნენ ფეხს და ყოველ ნაბიჯზე ჩერდებოდნენ. მაგრამ, ამ ყველაფრის მიუხედავად, ძაღლებმა იყნოსეს და მთელი ერთი მილის მანძილზე სდიეს. დედაშვილი ტყის ფართო განაკაფზე გარბოდა, პატარა ფურირემი წინ მირბოდა და ხმამაღლა ბლაოდა.

მკურნალობა მონადირის რეცეპტის მიხედვით მიდიოდა. ვერავინ წარმოიდგენდა, რა ძალისხმევის ფასად უჯდებოდა დედა ფურირემს თავისი პატარა გოგონას ფულუროში გაჩერება მთელი ოცი შფოთიანი დღის განმავლობაში. ფულუროში ძალიან ბნელოდა. მაგრამ აი, ერთხელ დილით დედამ რქებით გადაწია ტოტების დიდი გროვა, რომლითაც ფულუროს შესასვლელი ამოქოლა, რათა იქ დღის სინათლეს არ შეეღწია და პატარა ფურ-ირემი თავისი ყვითელი სათვალით გარეთ გამოიჭრა. – მე ვხედავ, დედა! – ყვიროდა იგი. – ყველაფერს ვხედავ!..

ფურირემი კი თავით რომელიღაც ტოტზე მიეყრდნო და სიხარულისგან ატირდა, როცა თავისი გოგონა ისევ ჯანსაღი დაინახა.

პატარა ფურირემი მთლიანად გამოჯანმრთელდა, მაგრამ მხნე, ჯანმრთელი და კმაყოფილი მაინც სევდიანი იყო: ერთი იდუმალი აზრი არ აძლევდა მოსვენებას. ეს აზრი კი აი როგორი გახლდათ: მას, რაღაც უნდა დაჯდომოდა, სურდა მადლობა გადაეხადა იმ ადამიანისთვის, რომელიც მისმიმართ ასეთი კეთილი იყო, მაგრამ არ იცოდა, ეს როგორ გაეკეთებინა.

თუმცა საბოლოოდ რაღაც მოიფიქრა. იგი დიდხანს დაეხეტებოდა მდინარის ნაპირზე, ჭაობებში და რუხი ყანჩას ბუმბულები შეაგროვა, რათა ისინი მონადირესთან წაეღო. მონადირე კი, თავის

მხრივ, ასევე იხსენებდა ხოლმე პატარა უსინათლო ფურირემს, რომელსაც ოდესღაც მკურნალობდა.

და აი ერთ წვიმიან საღამოს მონადირე თავის ოთახში კითხულობდა და ძალიან კარგ ხასიათზე გახლდათ, რადგანაც ის-ის იყო შეაკეთა თავისი ჩალის სახურავი, საიდანაც წყალი აღარ წვეთავდა. უცებ კაკუნით მოესმა, კარი გააღო და პატარა ფურ-ირემი დაინახა, რომელსაც კბილებით რუხი ყანჩას წვიმისგან დასველებული ბუმბულების გროვა ეკავა.

მონადირეს გაეცინა, პატარა ფურირემი კი ნალვლიანი და დარცხვენილი გაბრუნდა უკან, ეგონა, რომ მონადირე მის საბრალო საჩუქარზე იცინოდა. შემდეგ მან დიდი ბუმბულები შეაგროვა, სულ მშრალი და სუფთა და ერთ კვირაში ისევ მივიდა მონადირესთან. და მონადირეს, რომელსაც მაშინ სიხარულისგან გაეცინა, ამჯერად არ გაუცინია, პატარა ფურირემს რომ არ სწყენოდა, მან ხომ მისი სიცილის მიზეზი ვერ გაიგო. სამაგიეროდ მონადირე თავის პატარა მეგობარს თაფლით გაუმასპინძლდა და ფურირემმა ის უდიდესი სიამოვნებით მიირთვა.

მას შემდეგ მონადირე და პატარა ფურირემი დიდი მეგობრები გახდნენ. ის ცდილობდა კაცისთვის რაც შეიძლება მეტი რუხი ყანჩას ბუმბულები მოეტანა, რომლებიც საკმაოდ ძვირი ღირს, საათობით იჯდა ქოხში და მონადირეს ესაუბრებოდა. ის კი მაგიდაზე ყოველთვის დებდა

მოვარაყებული ჯამით თაფლს და თავისი მეგობრისთვის მაღალ სკამს დგამდა. ზოგჯერ მას სიგარებსაც აძლევდა, რასაც ფურირემები დიდი სიამოვნებითა და ჯანმრთელობისთვის ყოველგვარი ზიანის მიყენების გარეშე მიირთმევენ. ასე ატარებდნენ დროს ცეცხლის პირას, როდესაც გარეთ წვიმა და ქარი რანჩოს ჩალის სახურავზე ხმაურობდნენ. პატარა ფურირემი, რომელსაც ძაღლების ემინოდა, მონადირესთან მხოლოდ ბნელ, ავდრიან საღამოებში მიდიოდა. შებინდებისას, როდესაც წვიმა იწყებოდა, მონადირე მაგიდაზე თაფლიან ჯამს და იქვე ხელსახოცს დებდა, თვითონ კი ყავას სვამდა და კითხულობდა. ხშირად კარს გახედავდა იმის მოლოდინში, თუ როდის გაიგონებდა ასე კარგად ნაცნობ «ტუკ-ტუკს» და როდის გამოჩნდებოდა ზღურბლზე მისი პატარა მეგობარი.

ბელგიური საფლავეები

ისინი თეთრი მტვრიანი გზით მიდიოდნენ. სიცივემ, რომელიც უკვე თავს ახსენებდა, აიძულა ისინი ყოველგვარ ლაზადასა და საბანში გახვეულიყვნენ, რაც კი თან ჰქონდათ. ბევრი ოთხთვალეებით მიდიოდა, ზოგიერთი ძაღლებშემბმულ ურიკაზე მოთავსდა, უმეტესობა კი ფეხით მიაბიჯებდა.

ისინი ბელგიის გზით მიდიოდნენ, რაც ჯერ კიდევ სულ ცოტა ხნის წინ ასეთი წყნარი და მშვენიერი იყო. ახლა კი საითაც უნდა გაგებოდათ – წინ, უკან, მარჯვნივ თუ მარცხნივ, – არსად არაფერი დარჩენილიყო. ორ მეტრზე მეტად მიწიდან არაფერი იყო აღმართული: ქალაქები, მიწები, ხეები – ყველაფერი შავ ნარჩენებად გაკრულიყო მიწაზე. ხალხი წინა საღამოს გაემგზავრა და ზარბაზნების გრიალი განუწყვეტლივ კვალში სდევდა.

უკანასკნელ წუთებში შეგროვებული სანოვაგე არ კმაროდა ამდენი ადამიანის დასაკურებლად. ძუძუმწოვარა ბავშვები, რომლებიც ახლახან მოწყვიტეს დედის ძუძუს და რძის ერთ წვეთსაც აღარ იღებდნენ, პირველივე დღეს ენტერიტით დაავადდნენ.

სალამოს ათი საათისთვის თანამდევნი გრუხუნი მოახლოვდა და ლტოლვილებმა ნაბიჯს აუჩქარეს.

ისევე, როგორც წინა დღეს, კოლონაში მშვიერი, გამოუძინებელი ბავშვების ტირილი და ძუძუმწოვართა კვნესა ისმოდა, რომლებსაც დედის გადახურებული რძე მუცლებს სტკენდა.

ლამემ გადაიარა, მაგრამ გაცრეცილ რიჟრაჟს წვიმა მოჰყვა. მამაკაცებმა ლაზადების კაპიუშონები გადაიფარეს, ხოლო დედებმა მათ ნაღვლიანად გახედეს და გაყინულ პატარებს სველი საბნები გადააფარეს.

კოლონა გაჩერდა, საჭმლის ნარჩენები შეაგროვეს – ახლა უკვე მართლაც ნარჩენები, რადგან მეტი აღარაფერი იყო, – და ქალებმა და ბავშვებმა შიმშილი მოიკლეს. რაღაცრაღაცები დარჩა კიდეც: ბევრი ქალი, დაქანცულობით გატანჯული, არც კი გამოსულა თავისი ოთხთვალადან. მაშინ მცირედი მოხუცებსა და ავადმყოფებსაც ერგოთ. ლაზადებისა და ცხენების მჭმუნვარე მასა ისევ დაიდრა, კანონადა კი ჯიუტად თან მიჰყვებოდა...

წვიმას შუადღეზეც არ გადაუღია. ლტოლვილები დროებით შეჩერდნენ.

– რა მოხდა? – გაისმა აქა-იქიდან. – საჭმელი არაფერია! წავიდეთ!

– წავიდეთ! – ისმოდა მთელ კოლონაში.

ბებერი ჯაგლაგით შებმული ოთხთვალათი ქალი მიდიოდა, რომლის ქმარიც ამბერესის ციხესიმაგრესთან დარჩა საომრად. მას სამი შვილი ახლდა, რომელთაგან ყველაზე უფროსს ახლახან შესრულებოდა ხუთი წელი.

როცა კოლონა გაჩერდა, ქალმა შემფოთებითასწია თავი, ისე, რომ თავისი ყველაზე პატარის ფუთვნა არ შეუწყვეტია.

– რა მოხდა? – იკითხა მან.

– ისეთი არაფერი! – უპასუხა ვიღაცამ – ახლავე დავიდრებით!

– ჩემს ბიჭს... – წყნარად დაიწყო დედამ, რომელიც ბავშვს დასცქეროდა და ნერვიულად ადებდა ხელს შუბლზე, ყელზე, ხელზე. – სიცხე აქვს! – მან გვერდით მიმავალ ქალს მიმართა. – ასე აღარ შეიძლება... რატომ ვდგავართ? – მას მიზეზი აინტერესებდა.

– ახლავე წავალთ! – დაიყვირა ვიღაცამ ხრინწიანი ხმით. – მოითმინეთ! თქვენი ჯერიც მოვა! მაშინ ქალმა წყნარად მიმართა დედას:

– იქ ასაფლავებენ... რამდენიმე ადამიანი მოკვდა... დედამ დაჭყეტილი თვალები

შეანათა: – ბავშვებიც?

ქალმა თანხმობის ნიშნად რამდენჯერმე დაუქნია თავი. კოლონის პირველ რიგებში ატეხილი ხმაურის მიხედვით ცხადი გახდა, რომ ხალხი, ბოლოს და ბოლოს, ადგილიდან დაიძრა.

– მადლობა ღმერთს! მადლობა ღმერთს! – ამოიოხრა დედამ. – ალბათ აღარ გავჩერდებით, არა? მგონი... – ის გაჩუმდა და აჩქარებით მოუსვა ხელი შვილის ხელებსა და ყელს, – ტემპერატურამ დაიწია... ჰო, დაიწია... – და ისევ ქალს მიმართა: – ძუძუმწოვარა ბავშვებიც?..

მან ისევ დაუქნია თავი. დედამ მზრუნველობით შეფუთნა პატარა ვაჟიშვილი, თუმცა შემდეგ პულისის გასასინჯად ისევ საბნის გადაწევა მოუხდა.

– მადლობა ღმერთს... მადლობა ღმერთს... – იმეორებდა გამუდმებით და ბავშვს არწევდა.

კოლონა გზას განაგრძობდა, წვიმა გადალებას არ აპირებდა და საღამოხანს სიცივისა და

საშინელი საკვებისგან დასნეულებული ბავშვები უფრო ხმამაღლა ატირდნენ. გადატანილი მღელვარებისა და დაღლილობისგან გადახურებული დედის რძე წამლავდა ისედაც ავადმყოფ პაწიებს, რომლებიც ძილში შფოთავდნენ.

ოთხთვალას გვერდით მიმავალმა ქალმა დედას პურის შეჭამანი შესთავაზა, მაგრამ მან არაფერი უპასუხა. – მალე მივალთ, – თქვა ქალმა.

დედამ თავი ასწია, სახეზე სრული სასოწარკვეთა ეხატა. – ის კვდება! – დაიყვირა მან. – აი რას მოვესწარით!

ნახეთ! მოკიდეთ ხელი! იწვის! და მთლად სველია... ჩემი ბიჭუნა! ორი სხვა პატარა ცახცახით ეკვროდა დედას. კოლონა შეჩერდა. დედა შიშით იყურებოდა აქეთ-იქით დაჭყეტილი, გაწითლებული თვალებით.

– ისევ მარხავენ?... ვის?

პასუხი არავის გაუცია. რა თქმა უნდა, გასაპატიოსნებელი კიდევ ბევრი იყო, მაგრამ ამჯერად სხვა მიზეზით შეჩერდნენ. ბავშვები მხოლოდ რძით შეიძლებოდა გადაერჩინათ: ძროხის, ცხენის, ცხვრის რძით, სულ ერთია. მაგრამ სად უნდა ენახათ?

საღამოს ერთფეროვანმა, მჭმუნვარე ადგილებმა რამდენადმე იცვალეს სახე. ზარბაზნებს აქამდე ჯერ არ მოუღწევიათ, ფერმები და სოფლები მთელი და ხელუხლებელი იყო, მაგრამ უბედურების ქარიშხლად ქცეულმა შიშმა ზღვის ნაპირთან მიხვეტა ადამიანებიც და საქონელიც, საკვებიც და ტანსაცმელიც. იმ ლტოლვილებმა, რომელთაც ჯერ კიდევ შერჩენოდათ ძალა, სწრაფად მოჩხრიკეს ბედლები და ფარდულები... მაგრამ არაფერი: პურის ერთი ნატეხიც კი არსად იყო...

წვიმა წუთითაც არ ასვენებდა ადამიანებს და აიძულებდა მათ თავშესაფარზე ეფიქრათ.

- ბავშვები სიცივით კვდებიან! ყველანი გაცივდნენ!
- მართალია, მაგრამ მათთვის ასეთი საკვებიც საწამლავია! რაღაც უნდა დაგვიჯდეს, რძე უნდა ვიშოვოთ! წავედით!
- ისინი დედებს ხელებში უკვდებიან!
- რძეს თუ ვერ ვიშოვით, მით უფრო დაიხოცებიან! ისინი უნდა გადავარჩინოთ, ვინც ჯერ კიდევ ცოცხალია! წავედით!
- ჰო, ჰო, წავედით!

საბრალონი, გალუმპულები, დაღლილობისგან, შიმშილითა და უძილობისგან გასავათებულები კვლავ გზას დაადგნენ, თან სწეული ბავშვების ავისმომასწავებელი ხიხინი მიჰყვებოდათ.

ამ საღამოს რამდენჯერმე გაჩერდნენ, მაგრამ მიზეზს აღარავინ კითხულობდა: ამაზე საკმაოდ ნათლად მეტყველებდა დედების ხმამალა გმინვა. კოლონა ყოველ საათს მცირდებოდა, თხელდებოდა, იკლებდა, უბედური ქვეყნის გზები ბავშვთა საფლავებით იფარებოდა.

მომდევნო დღის გარიჟრაჟზე ქალი, რომელიც წინა დღეს ოთხთვალას გვერდით მიდიოდა, ისევ მივიდა მასთან. ორივე პატარა კვლავინდებურად დედას მიკრობოდა. სახეები გაწითლებოდათ და ფართოდ დაღებულ პირებით მძიმედ სუნთქავდნენ. წყალი თმაზე ეწვეთებოდათ და თვალეზამდე ჩასდიოდათ.

- მალე მივალწევთ... - გაიმეორა ქალმა რამდენჯერმე, ისევე როგორც წინადღით. დედა შეკრთა და ქალს მიაშტერდა.
- პაწია როგორ არის? - იკითხა ქალმა.
- ცუდად, - უპასუხა დედამ მოკლედ და საფენები გადაშალა. - ხედავთ? ნახეთ! აქ შეხედეთ! - დაამატა მან და ბავშვს ფეხები აუწია. - ხედავთ, როგორი საფენებია? ბავშვი მწვანე წუმპეში ბორგავდა.
- ყოველ წუთს ახალი საფენი! ოჰ, ღმერთო ჩემო! - ყრუდ დაიკვნესა მან და სახეზე ხელები გადაისვა.

პაწიამ ფეხებზე წვიმის წვეთები იგრძნო და ატირდა. - დააფარეთ, დააფარეთ! - ააჩქარა ქალმა.

- დავაფარო! - სასოწარკვეთით შესძახა დედამ. - ეს...

სველი... ერთი ნახეთ!.. აი რას მოვესწართ! ხელი მოკიდეთ! ეს ჩემი შვილია... ოჰ, ჩემო ბიჭო, ჩემო პატარა!.. - ყრუ გმინვით იგი ბავშვს დაემხო. ამ წუთიდან ახლოს არავის იკარებდა.

– რა გინდათ? – ყვიროდა იგი. – არ მომკვდარა, არა! წადით, აქედან, თქვენ გეუბნებით!
მაგრამ სალამოს ბავშვი მაინც წაიყვანეს, უკვე გარდაცვლილი, მენინგიტით, ისევე როგორც ბევრი სხვა.

დედის ნერვებმა ვერ გაუძლო ამ უბედურებას, იგი მწარედ აქვითინდა, შემდეგ კი საბანში გაეხვია, დარჩენილი პატარები მუხლებზე დაისვა, რომლებიც დროდადრო წყვეტდნენ თავიანთ მშფოთვარე ძილს, რათა დედას სახეზე მიკროდნენ, ნაწყვეტნაწყვეტ და ხრინწიანად სლუკუნებდნენ და თვალებს არ ახელდნენ.

გადაუღებლად წვიმდა. ავადმყოფებისთვის მშრალ ტანსაცმელს აღარავინ ეძებდა: სიკეთის იმედი აღარ ჰქონდათ.

მეორე დილით გადაწყდა ოთხთვალეებში დედები თავიანთ ბავშვებთან ერთად ჩაესვათ, რათა მათ რაც შეიძლება მალე ემოვათ სადმე რძე, რომელიც ყოველ წუთას სულ უფრო საჭირო ხდებოდა. ასეც მოიქცნენ, ცხენებისთვის რაღაც საბრალო ნარჩენები შეაგროვეს და უნუგემო

დედების ბრბო, რომელთაც ხელში მომაკვდავი ბავშვები ეკავათ, გზას დაადგა და სალამო ხანს კოლონას რამდენიმე კილომეტრით გაუსწრო.

და უეცრად განწირულთა ამ საბრალო ჯგუფს იმედის შემახილი აღმოხდა: ქალებმა ბელგიელ ცხენოსანთა რაზმი დაინახეს. მაგრამ მოახლოებულმა ოფიცერმა ქალებს უბრძანა მათთვის ყველა ჯერ კიდევ ვარგისი ცხენი დაეთმოთ.

– როგორ!.. ჩვენი ბავშვები ხომ დაიხოცებიან! – ყვიროდა ორი შვილის გაგიჟებული დედა. – ლეიტენანტო! ბატონო ლეიტენანტო! ისინი მოკვდებიან, აქ თუ დავრჩებით!

ოფიცერმა, რომელიც მკერდამდე ტალახში იყო ამოსვრილი, ნერვებმოშლილმა, ჩამომხმარმა ერთი თვის განუწყვეტელი ბრძოლებით, ასევე დაიყვირა:

– ყველა, ყველა მოკვდებით, არტილერიას თუ ვერ გადავიტანთ! ჩველანი, თქვენც, ჩვენც, ყველა, ვინც ჯერ კიდევ ცოცხალია! გესმით? ცხენები, ჩქარა!

შორიდან, აღმოსავლეთიდან და სამხრეთიდან ყრუ გურუხნი ისმოდა. ბელგიური არმია ზღვისკენ მიიწევდა.

– მზად არის? – მკაცრად იკითხა ოფიცერმა. – წინ, სწრაფად!

და თავისი ცხენი გააჭენა.

რეკვიზირებული ცხენების საბრალო ჯგუფი თვალს მიეფარა, ბინდბუნდში გაქრა, ოთხთვალეები კი ისევე დარჩა ადგილზე, ტალახში ხელნებით დაბჯენილი. სადღაც, შესაძლოა, სულ ახლოს, იყო გადარჩენა: სოფელი, მშრალი ტანსაცმელი, ცხელი რძე. დამკრძალავ პროცესიად, ძუძუთა ბავშვების მოხეტიალე სასაფლაოდ ქცეული ადამიანები უსუსურად შექუჩდნენ ბნელი გზის შუაში, უმოწყალო წვიმის ქვეშ, რაც შეუბრალებლად ანადგურებდა ახალი ცხოვრების იმედის ყლორტებს.